მერაბ მეგრელიშვილი

ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან



გამომცემლობა „ლაზარე+“
ბათუმი 2013

ვუძღვნი პროფესორ მალხაზ სიორიძის ხსოვნას

ნარკვევებში წარმოდგენილია 2008-2013 წლებში სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული, აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებები ბათუმის წარსულსა და დღეგანდელობაზე. მასში დახასიათებულია ბათუმის კულტურულ-გეოგრაფიული გარემო, წარმოჩენილია საზღვაო-საბანკო, სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებები ასევე ნაჩვენებია რელიგიური დაწესებულებების და ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

რედაქტორი:
ოთარ გოგოლიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:
რევაზ უზუნაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

სულხან ალექსაია
ისტორიის დოქტორანტი

გამომცემლობა **„ლაზარე+"** 2013
ISBN 978-9941-9244-2-2

ბათუმის ისტორიის მკვლევარები

1935 წელს ახლადშექმნილ სამასწავლებლო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ისტორიულ დისციპლინათა კათედრა, რომელსაც საკუთარი ბიუჯეტიც კი გააჩნდა.

ისტორიის კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პროფესორები: სვიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ნამორაძე, სარგის კაკაბაძე, იასე ცინცაძე, აბელ კიკვიძე, მამია დუმბაძე, ტიტე ხუნდაძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, კონსტანტინე გრიგოლია, იური კაჭარავა, ვარლამ დონაძე, ლეჟან ებანოიძე, ნიკოლოზ ჭეიშვილი, კუკური ლილუაშვილი, იური სიხარულიძე, მიხეილ სვანიძე, ვლადიმერ სიჭინავა, ნესტორ ინწკირველი, პარმენ ცქვიტარია, აბელ სურგულაძე და სხვები.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში ინახება ბათუმში მოღვაწე ისტორიკოსების ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომები. მეცნიერ-მკვლევარები ადგენდნენ, როგორც ყოველწლიურ ისე მრავალწლიან სამუშაო გეგმებს. სამეცნიერო მუშაობა გეგმიურ ხასიათს ატარებდა. სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის მიზნით კათედრის სხდომებზე წარ სწარ ხდებოდა სამუშაო გეგმების შეჯერება და დამტკიცება. ჩვენ შევისწავლეთ ბათუმელი ისტორიკოსების პირად ფონდებში დაცული მნიშვნელოვანი ისტორიული მასალა, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს და დღესაც აქტუალურია. ჩვენს მიერ შესწავლილია პროფესორების იური სიხარულიძის, მიხეილ სვანიძის, კუკური ლილუაშვილის, ნიკო ჭეიშვილის, ვლადიმერ სიჭინავას, აბელ სურგულაძის და სხვა მეცნიერ ისტორიკოსთა პირად ფონდებში დაცული ნაშრომები.

პროფესორი იური სიხარულიძე

აჭარაში მოღვაწე ისტორიკოსების სწავლა-აღზრდისა და საერთოდ ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ იური სიხარულიძეს. ბატონი იური წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ნაშრომების ერთი ნაწილი. ბატონი იურის ნაშრომი: „სამცხის ონომასტიკონი (მასალები მესხურ გვარ-სახელთა შესწავლისათვის)" იმდენად მაღალპროფესიულ დონეზე იყო შესრულებული, რომ პროფესორები ნიკოლოზ ჭეიშვილი და პარმენ ცქვიტარია იძულებულნი გახდნენ მისი ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეხაზინათ თბილისში. მკვლევარს ნაშრომში აღწერილი აქვს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის რაიონების გვარები. ფეხით შემოუვლია სამცხე-საათაბაგო, მოტანილი აქვს ცნობები თუ რომელ სოფელში რამდენი მესხური კომლია. ასევე მის მიერ შესწავლილია მდიდარი ფოლკლორული მასალა, ეპიტაფიები. ბატონი იური არ იზიარებს პროფესორ აჭარიანის და პროფესორ ილია აბულაძის მოსაზრებას გვარის წარმომავლობის შესახებ და ამ ტერმინის სპარსულ წარმომავლობას ასაბუთებს. მეცნიერის ნაშრომში „ახალციხის რაიონის ტოპონიმიკა" შეტანილია ათასზე მეტი სახელი, მასში მოცემულია რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა, გამოკვლეულია ნასოფლარები, შესწავლილია ფოლკლორული მასალა და ა.შ ასევე აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ადიგენის რაიონის ტოპონიმიკა".

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაშ-

რომი „საძოვრებით სარგებლობის წესის საკითხისათვის საქართველოში". ნაშრომში საუბარია აჭარის საზაფხულო საძოვრების (იაილა) შესახებ, დასუსტებულია საძოვრებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე ტყეებით და საძოვრებით სარგებლობის წესები. მის მიერ შესწავლილია თურქული მიწისმფლობელობის და მიწითსარგებლობის წესები აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში.

ბატონი იური დიდი ორატორი და მხატვრული სიტყვის დიდოსტატია, რაზედაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მისი ნაშრომი „აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში". გადმოგცემთ ხოგიერთ ამონარიდს ამ ნაშრომიდან სადაც, მხატვრულადაა აღწერილი ისტორიული მოვლენები. იგი გვიამბობს, რომ რამდენი წლის განმავლობაში უმოწყალოდ გვარბია მტარვალმა. ჰოი! რა სისისხლი დაიქცა, ჰოი! რა ნაშენი ქვეყანა გაოხრდა და გაეერანდა?!. მოძალადე დამპყრობლები მიღწეულით როდი კმაყოფილდებოდნენ, ისინი ველურის გაშმაგებით ისწრაფვოდნენ ჩვენი მიწა-წყლისაკენ. მტრებმა ყოველი მხრიდან შეხუთეს ფეოდალურად დაშლილი ქვეყანა, ცომარტოხელეს მისი ცალკეული ნაწილები., მაგრამ საქართველოს მოშლა ვერავითარმა ქარტეხილმა ვერ შეძლო. საქართველო გადარჩა.

პროფესორი იურის სიხარულიძე ნაშრომში „უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ" ეპაექრება ნოდარ ლომოურისა და სიმონ ყაუხჩიშვილის ახრს, პეტრა-ბათუმის იგიეობის შესახებ, რაც დღესაც მეცნიერთა სადისკუსიო საგანს წარმოადგენს. პროფესორი იური სიხარულიძე ამბობს, რომ ერთადერთი რაც საოუოდ ხდის ამ დებულებას არის საკმაო დაშორება ციხისძირსა და ბათუმს შორის, საძნელო საქმედ ჩანს

კავშირის დამყარება ბათუმსა და ციხისძირს შორის. ასევე გასათვალისწინებელია მის მიერ წარმოდგენილი კონტრარგუმენტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ბათუმი არ მდებარეობდა იმ ადგილას, რომელიც დღეს მას უჭირავს. აღებული პერიოდისთვის ბათუმის მდებარეობა საძიებელია ყოროლისწყლის მიდამოებში და ამ მდინარის ჩრდილოეთით ვიდრე ჩაქვისწყლამდე. მეცნიერი ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებს ამ ორი კულტურული კერის დამაკავშირებელ ხღვით მისასვლელ გზას. პლინიუსის და არიანეს მიერ მოხსენიებული ბათის-ბათუს უნდა იყოს ყოროლისწყალი და არა მარტო მდინარე, არამედ როგორც დასახლებული პუნქტი, ნავსადგური. ამ მდინარეს სახელწოდება ღრმა მიუღია მის შესართავში არსებული ღრმა ნავსადგურისაგან. ბათუს ლიმენ ნიშნავს ღრმა ნავსადგურს. ბოლოს ბატონი იური დაასკვნის, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ ხანგრძლივ და ღრმა შესწავლას მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ამ სანაპირო ზოლის არქეოლოგიური შესწავლა.

დოცენტი ვლადიმერ სიჯინავა

ბათუმელი ისტორიკოსებისთვის დღესაც სამაგიდო წიგნია ბატონ ვლადიმერ სიჯინავას ჯერ კიდევ 1958 წელს გამოცემული წიგნი „ბათუმის ისტორიიდან".

ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს მეცნიერმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. ერთ-ერთი ამათთაგანია მისი ნაშრომი: „ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის ბათუმში 1878-1900 წწ". მასში მდიდარი სტატისტიკური, საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია XIX საუკუნეში ბათუმის წამყვანი როლი დასავლეთ საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკური განვითარების საქმეში. აქვეა წარმოდგენილი ნავსადგურის მშენებლობის ისტორია. მეცნიერ-მკვლევარს სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნა აქვს გაკეთებული, რომ XIX საუკუნეში ბათუმი მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქად ქცია ნავთობის ექსპორტმა, რომლის მოცულობა მიმწოდებელი იყო ბათუმის ნავსადგური. აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ბათუმის სოციალ-ეკონომიკური განვითარება 1926-1927 წლებში". აქვეა ცნობები ქალაქის მეურნეობის, დემოგრაფიის, ჯანმრთელობის საქმის, კულტურული ცხოვრების შესახებ და ა.შ

მეცნიერი საინტერესოდ მსჯელობს 1925 წელს ბათუმი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის შესახებ. იგი განიხილავს 1925 წელს ნავსადგურის მშენებლობის შესახებ მოსკოვის საპროექტო ბიუროს მიერ წარმოდგენილ ინჟინერ ფლორინის პროექტს და თბილისის კავკასიის სანავსადგურო განყოფილების მიერ წარმოდგენილ მეორე პროექტს. ფლორინის პროექტი ითვალისწინებდა ნავსადგურის მშენებლობის გაშლას

კახაბრის მაღლობებამდე. პროექტი დაიწუნეს, რადგან იგი ქალაქს ორ ნაწილად გაყოფდა, ასევე გამოიწვევდა მრავალი დაწესებულების სხვა თავისუფალ ადგილზე გადატანას, რაც სამწუხაროდ ქალაქს არ გააჩნდა. მეორე პროექტის მიხედვით კი დაგეგმილი იყო ნავსადგურის განვითარება აღმოსავლეთით თბილისის ქუჩამდე. ბატონი ვლადიმერი ქალაქის განვითარების მიზნით ნაშრომში იძლევა საჭირო და აუცილებელ რეკომენდაციებს, კერძოდ, რომ ბათუმის სწრაფი ზრდა მოითხოვდა მისი საზღვრების გაფართოებას არა მარტო კახაბრის დაბლობის გამოყენებით, არამედ მოსაზღვრედ მდებარე მთიანი ბორცვებისა და მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის ხეობებისა და დაბლობთა გამოყენებით. მეცნიერის ეს იდეები დღესაც აქტუალურია. ძირითადად დღეს ქალაქთმშენებლობა მიმდინარეობს ძველი ბათუმის ტერიტორიაზე, რაც ქალაქს მის ისტორიულ სახეს უკარგავს. ზღვის პირას გაშენებულ ქალაქს ალამაზებს ორსართულიანი თეთრი შენობა-ნაგებობანი და მოკირწყლული ფართო ქუჩები. რუსული მმართველობის პერიოდშიც კი ყოველი ქუჩა და ყოველი სახლი სანტიმეტრებში ითვლებოდა და მთავარი ყურადღება გადატანილი იყო საჰაერო სივრცისა და არქიტექტურული სილამაზის მოწყობაზე. დღეს ქალაქი გადატვირთულია ერთმანეთზე მიბჯენილი მაღალსართულიანი სახლებით.

ნაშრომში „ბათუმის სოციალ-ეკონომიკური განვითარება 1923-1926 წლებში" განხილულია მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის საქმის, განათლების განვითარების და სხვა საკითხები.

მეცნიერმა ბათუმის ისტორიას მიუძღვნა ნაშ-

რომები „ბათუმი 1927-1930 წლებში" და „ბათუმის საქალაქო მეურნეობა 1921-1923 წლებში" ბატონმა ვლადიმერმა ასევე შეისწავლა ბათუმში არსებული ყაბრიკა-ქარხნების ისტორია. აღსანიშნავია მისი „ბათუმის კოფეინის ქარხნის ისტორია". მასში მდიდარი საარქივო მასალის საფუძველზე მოცემულია ქარხნის სამომავლო განვითარების გეგმა, მუშახელის დასაქმების საკითხი და ა.შ

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „აჭარა XIX საუკუნის პირველ ნახევარში" სადაც საუბარია ბათუმში აფხაზების ჩასახლების მიზეზების შესახებ. განხილულია თურქების მიერ საქართველოს დაპყრობის და მოსახლეობის იძულებით გამაჰმადიანების, აჭარაში მიწათსარგებლობის თურქული წესების დანერგვის და სხვა საკითხები.

დღეს ბატონ ვლადიმერ სიჭინავას დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ მისი აღსრდილები, ბათუმის ისტორიის მკვლევარები პროფესორები მალხაზ სიორიძე და რევაზ უზუნაძე.

პროფესორი აბელ სურგულაძე

პროფესორი აბელ სურგულაძე განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენს აჭარის ისტორიული წარსულის მიმართ. მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება-მოღვაწეობა, თითქმის ყველა მისი სამეცნიერო პუბლიკაცია, სტატია თუ წიგნი ეძღვნება ამ კუთხის ისტორიულ წარსულს. აქ მოღვაწე მამულიშვილთა გმირულ თავგადასავალს. ერთგან ბატონი აბელი აღნიშნავს კიდეცაც, რომ ყველა ამ კუთხეს აქვს საერთო ისტორიული თავგადასავალი, უძველესი დროიდან დღემდე.

ნაშრომში „აჭარა უძველესი დროიდან XVII საუკუნემდე" პირველწყაროების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე მის მიერ შესწავლილია აჭარის ისტორიული წარსული. ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ მონღოლებისა და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. პროფესორმა აბელ სურგულაძემ დიდი მუშაობა გასწია აჭარის ისტორიის ნარკვევების დამუშავებისა და გამოცემისთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომები „კულტურული მშენებლობა აჭარაში 1921-1941 წლებში", „აჭარა 1921-1945 წლებში", „აჭარა 1945-1980 წლებში". მასში გამოყენებულია მნიშვნელოვანი სტატისტიკური, საარქივო მასალა.

წლების განმავლობაში ბატონი აბელი კითხულობდა ლექციებს ახალ და უახლეს ისტორიაში. მის მიერ შესწავლილი და დამუშავებულია სალექციო კურსი „დასავლეთ ევროპის ქვეყნების და ამერიკის უახლესი ისტორიიდან".

ბათუმში ქართველი და რუსი ხალხოსნების მოღვაწეობას მიეძღვნა მისი ნაშრომი „აჭარა 1878-1921 წლებში". ამაზე საკითხს შეუსნენ მეცნიერები აბ.

კიკვიძე, შ. ცაგარეიშვილი და ვლ. სიჭინავა. მათგან განსვავებით ბატონი აბელი ხალხოსნური მოძრაობის პერიოდს უკავშირებს არა XIX საუკუნის 90-იან წლებს, არამედ 70-იან წლებს. მეცნიერთა შორის ერთ-ერთ საკამათო საკითხად ჩნდება „მჭედლიშვილის" პიროვნების დადგენის საკითხი, რომელიც ხალხოსნების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ბათუმში და რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნდა. ბათუმის ისტორიის მკვლევარი ვლ. სიჭინავა მიიჩნევს, რომ ეს იყო ცნობილი ხალხოსანი, ბოსლეველი ევსტატი მჭედლიძე (იხ. ვლ.სიჭინავა „ბათუმის ისტორიიდან" ბათ. 1958 გვ.202). ბატონი აბელის ა'ხრით კი მჭედლოვი კათოლიკე ლუკა მჭედლიშვილია, რომელიც XIX 60-70-იან წლებში ბათუმში ცხოვრობდა. მის შესახებ ბატონი აბელი წერს, რომ ეს იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი, ფრიად განსითარებული და ნაკითხი, მშობლიური ისტორიისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე. მას გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც ქართველი მაჰმადიანებიც სარგებლობდნენ (იხ. აბელ სურგულაძე „გულო კაიკაციშვილი" თბ. 1973 გვ.7-8). მისი აზრით ხალხოსნებს სწორედ ლუკა მჭედლიშვილთან უნდა ჰქონოდათ კავშირი. ამას განაპირობებდ ასი არამარტო მდიდარი ბიბლიოთეკა, არამედ, რაც მთავარია სარწმუნოებრივი კუთვნილებაც. ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანთაგან მხოლოდ კათოლიკეებს ჰქონდათ შედარებით თავისუფალი ცხოვრებისა და საქმიანობის უფლება, რითაც დაუყონებლივ უნდა ესარგებლათ ქართველ ხალხოსნებს. ჩვენი აზრით სავარაუდოდ ეს შეიძლება ყოფილიყო ბათუმის თვითმმართველობის წევრი XIX საუკუნის 80-იან წლებში ლ.მჭედლოვი, რომელიც დიდ მიწებს ფლობდა აჭარაში და რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნდა.

პროფესორმა აბელ სურგულაძემ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქართველთა გმირულ თაგადასავალს. ამ მხრივ საყურადღებოა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ ნაქარია მშველიძის რეცენზია აბელ სურგულაძის ნაშრომზე „ქართველები ფაშიზმისაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში 1941-1945 წლებში". რეცენზიაში ვკითხულობთ: „აბელ სურგულაძეს სერიოზული მუშაობა აქვს ჩატარებული. მას შეუსწავლია აღნიშნულ საკითხზე მომუშავე მკვლევარების თითქმის ყველა ნაშრომი და მასზე გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები, ასევე შესწავლილი აქვს პერიოდული გამოცემები, მემუარული და ეპისტოლარული მასალა. ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული ჩვენი რესპუბლიკის არქივებსა და მუზეუმებში. ყოველივე ამის შემდგე მან ბევრი, დღემდე უცნობი მასალა მოიძია, რომლებიც შეუტანია კიდეც მეცნიერულ მიმოქცევაში. ავტორს დიდი მუშაობის შედეგად პოლონეთის ტერიტორიაზე მებრძოლი არაერთი ქართველი პარტიზანის გვარი დაუდგენია". (რსუ ბიბლიოთეკა, ფონდი 9 აბ.სურგულაძის წლიური ნაშრომი ბათ.1974 გვ.42).

მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული მისი ნაშრომები: „მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები ჟურნალ „მოამბის" ფურცლებზე" და „მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები გაზეთ „კვალის" ფურცლებზე". ბატონი აბელის კალამი აჭარის ისტორიულ ყოფით კულტურასაც შეეხო. ნაშრომში „ქართული ეთნოგრაფიული აზრის ისტორიისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარ"–ში ავტორს აჭარის ეთნოგრაფიული კუთხით შესწავლის მიზნით

განსოგადებული აქვს ცალკეულ მკვლევართა მიერ გაწეული მუშაობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი წერილები და რეცენზიები. ამ მხრივ საყურადღებოა მისი რეცენზია პროფესორ კ.ლილუაშვილის ნაშრომზე „მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა". მასში ვკითხულობთ: „ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის განხილვასთან დაკავშირებით მსჯელობიდან გამორჩა ერთი უაღრესად საინტერესო საკითხი. ცნობილია, რომ ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლი აიღეს 1204 წლის 13 აპრილს, ამავე წლის 14 აპრილს კი ტრაპიზონის იმპერია ჩამოყალიბდა. ხომ არ იყო ეს ორი ფაქტი ურთიერთკავშირში? ნუთუ ჯვაროსანთა მოქმედებამ გაუადვილა ქართველებს შეექმნათ ტრაპიზონის იმპერია. თ.უსპენსკის აზრით XII საუკუნის დამლევს მიმდინარეობდა ბიზანტიის დეცენტრალიზაციის პროცესი. ამრიგად 1204 წლის ამბები ტრაპიზონის იმპერიის ფორმირების მხოლოდ გარეგანი დამაჩქარებელი ფაქტორი იყო. გერმანელმა ისტორიკოსმა ფალმერაიერმა კი იგი ტრაპიზონურ-ბიზანტიური ე.ი ბერძნული და ტრაპიზონურ-კოლხური ე.ი ქართული რიენტაციის პარტიებს შორის ბრძოლაში ამ უკანასკნელის გამარჯვების ნიშნად ჩათვალა. ანალოგიური აზრი განავითარა პროფესორმა გ.გოზალიშვილმა".

პროფესორი კ.ლილუაშვილი აკრიტიკებს იმ მკვლევარებს, ვინც რელიგიურ მოტივს ბიზანტიაზე ჯვაროსანთა ლაშქრობის ძირითად მიზნად თვლის. ბატონ აბელს რელიგიის როლის ასეთი დამცირება მიუღებლად მიაჩნია, რადგან მოქმედება წარმოებს შუა საუკუნეების ევროპაში. სწორედ რელიგიურმა მოტივმა განაპირობა დაშორება ბიზანტიასა და

დასაელეთ ევროპას შორის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბი'სანტია'ში აშკარად ამბობდნენ: „უმჯობესია კონსტანტინოპოლ'ში თურქული ჩალმას ვხედავდე, ვიდრე ლათინურ ტიარასიო, ევროპა'ში კი აღნი'შნავდნენ, რომ თურქები მტრები არიან, ხოლო სქი'სმატი,კოსი ბერძნები მტრებ'ზე უარესნიო".

პროფესორ აბელ სურგულაძის პირადი ფონდის შესწავლის შემდეგ კიდევ მეტად დაეარწმუნდით მეცნიერის დიდქართველობასა და დიდკაცობაზე.

სამეცნიერო კონფერენციის მასალები
210 წლის 20-22 მაისი.
ბათუმი 2010

კულტურულ-გეობრაფიული გარემო

ა.ნ კრასნოვი აჭარის კულტურულ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ

რუსი მეცნიერი ა.ნ კრასნოვი წიგნში „სამხრეთ კოლხეთი" გვესაუბრება კოლხეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული სახლვრების შესახებ. ა.ნ კრასნოვი ერთნიშნად მიუთითებს, რომ ისტორიკოსებისთვის იგი ყოველთვის იყო კოლხეთის ქვეყანა. ისტორიულ წარსულში ვის მფლობელობაშიც გადადიოდა ეს ქვეყანა, ასკვნის რუსი მეცნიერი-ლაზიკის, იმერეთის, გურიის, ქუთაისის გუბერნიის თუ ბათუმის ოლქის, იმისდა მიხედვით იცვლიდა იგი სახელწოდებას. ის ნაწილი, რომელიც რიონის დაბლობს უკავია წარმოადგენს ჩრდილოეთ კოლხეთს, ხოლო მისი სამხრეთი ნაწილი მოიცავს ტერიტორიას აჭარის მთის ფერდობიდან ჭოროხს იქით ზღვამდე და მდინარე ჩოლოქამდე. ქობულეთსა და თურქეთის სახლვრებამდე და ასევე გ'სას ტრაპიზონისკენ.

რუსი ბოტანიკოსი აჭარის ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს აღწერისას ვერ მალავს აღფრთოვანებას და მის დასახასიათებლად არ იშურებს ეპიტეთებს. იგი ერთგან შედარებას აკეთებს საკუთარ ქვეყანასთან და აღნიშნავს, რომ რუსეთი კონტინენტალური ქვეყანაა, მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტს არ აქვს საშუალება იხილოს ზღვის სანაპირო. რუს კაცში სამხრეთ კოლხეთის ჰავა, ფლორა და ფაუნა განცვიფრებას იწვევს, რადგან მისი მსგავსი საკუთარ მამულში არ გააჩნია. ბათუმში ჩამოსულ, ნაკლებად დაკვირვებულ ტურისტსაც კი თვალში ეცემა სანაპიროს გასწვრივ არსებული მთის კონტურები, რომელიც არაიდენტურია ჩრდილო კავკასიის სანაპიროსი. აქ არ არის უმაღლესი მწვერვალები, ფართო დაბლო-

ბები, მაგრამ მიუხედავად ამისა მთების მნიშვნელოვანი ნაწილი ინარჩუნებს ეროზიას და იგივე სიმაღლეს, მთის ფერდობი ეყრდნობა ზღვას. ასეთია ციხისძირი, მწვანე კონცხი. ჭოროხის მთები.

ა.ნ. კრასნოვი შედარებას აკეთებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან და დასძენს რომ, ისევე როგორც იტალიაში, მსგავსად ამისა გაზაფხულზე თოვლით დაფარული აჭარის მთების ძირში მოლივლივე ლურჯი ზღვა ეფერება ფერდოვან სანაპიროს, მწვანეში ჩაფლულ აყვავილებულ დეკას, იელსა და კესანეს. ნახევარეერსის სიღრმიდან ამოზიდული ძლიერი ტალღები ეხეთქებიან ფერდობებს და ქმნიან ღრმა გამოქვაბულებს. ბათუმში სამთრის ქარბუქი რეცხავს ზღვის სანაპიროს. ბათუმის ზღვა დიდი ხნის უკან შესძლებდა აღეგვა პირისაგან მიწისა სანაპირო, რომ არა ზღვის დონის ცვალებადობა. ზღვის დონის წყლისაგან განთავისუფლება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ხმელეთის წყლით ხელახალი დაფარვა, ან კიდევ მსგავსად იაპონიაში განცალკევებულ. მწვანეში ჩაფლულ პატარა კუნძულებისა, ფელუკაზე მჯდარი თქვენ შეძლებთ ახლოს მიხვიდეთ ბათუმის ზღვის სანაპიროსთან.

სწრაფი მთის მდინარე ჭოროხი ზღვაოსნებს აიძულებდა მისი ვიწროებიდან შორს წასულიყვნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ძლიერი ღელვები.

პრეისტორიულ პერიოდში კოლხეთის ტერიტორია წყლით იყო დაფარული, კახაბრისა და ჩაქვის დაბლობი ზღვით იყო შემოფარგლული. ადამიანის ფხიზელი თვალი აქ ნათლად შეამჩნევს ტერასებს, რომლისაც ზღვა და მასში შემავალი მდინარე ქმნის. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ასეთი ტერასები აჭარისწყალის ვიწროებში. ასევე შეიძლება მისი ნახვა სანაპიროს სხვა ადგილებში. ფორმირების პე-

რიოდში მყოფი კოლხეთის მთები მთლიანად დაფარული იყო წყლით. იგი მოგვაგონებდა ვულკანურ არქიპელაგს ან კიდევ სანტორინის წყლის ქვეშა ვულკანს.

წყლის ფსკერიდან ამოზიდულ ვულკანური წარმოშობის კუნძულებს არ გააჩნდა საკუთარი ფლორა და ფაუნა. მათი დამკვიდრება მოხდა მომიჯნავე მთებიდან. წარსული ეპოქის სუბტროპიკული კულტურები გამყინვარების პერიოდში გაანადგურდნენ. ეს უკანასკნელია მიზეზი იმისა, რომ ბათუმის სანაპირო ღარიბია მცენარეთა ორიგინალური სახეობების ხრდა განვითარებით. ისინი ძირითადად აერთიანებენ სანაპიროს დანარჩენ მცენარეულ საფარს, რომელსაც ბოტანიკოსები მიაკუთვნებენ ჰონტოს ოლქს. მცენარეული საფარის ზრდა განვითარებისათვის აქ იყო არსებობისათვის აუცილებელი პირობები. განსაკუთრებით კი იმ სუბტროპიკული კულტურებისთვის, რომლებმაც გადაიტანეს კავკასიაში, გეოლოგიურ წარსულში არსებული გამყინვარების რთული პერიოდი.

ამის მიუხედავად კოლხეთის უცხო ფლორა ინარჩუნებდა თავის სუბტროპიკულ სახეს. თუ ტყეებში ცოტა იყო ეფედრა, რომელიც ადამიანის მიერ იქნა განადგურებული, სამაგიეროდ მრავლად იყო ურთხელი და წითელი ხე. ფოთლოვანი ხეებიდან გავრცელებული იყო წაბლი, წიფელი, რცხილა. მარადმწვანე ჯიშებიდან მხოლოდ აქ, სანაპიროსე იყო გავრცელებული წყავი, დეკა, ბზა, მოცვი და ა.შ

ამრიგად, რუსი ბოტანიკოსის ა.ნ კრასნოვის მიერ გადმოცემული ისტორიული მასალა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აჭარის კულტურულ გეოგრაფიული წარსულის შესახებ.

აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში
სამეცნიერო კონფერენციის მასალები
ბათუმი 2010

ბათუმში მიწათსაკუთრებისა და სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების შესახებ (XIX სს. დასასრული - XX სს. დასაწყისი)

აჭარის ა.რ.არქივში ინახება 1858 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნატორის მიერ სახელმწიფო საზღვრებსა და მიწებთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტი, სადაც საუბარია რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრების აღდგენის თაობაზე და ქობულეთის რეგიონის სოფლების ჩეხდანას, ნაცხავატევის და ქაქუთის მდებარეობის შესახებ. არსებული საბუთიდან ირკვევა, რომ ნაცხავატევი არასოდეს არ ყოფილა თურქეთის ბატონობის ქვეშ და გურია-აჭარის საზღვრებში იყო მოქცეული. ჩეხდანა ქრისტიანული სოფელი იყო, ხოლო ნაცხავატევი კი მუსლიმანური რელიგიის მატარებელი.

1879 წლის 1 ივნისს ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების შემდეგ, პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება ბათუმში მიწათსაკუთრების წესების შესახებ, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობის მიწა'ზე საკუთრების უფლება-მოვალეობანი იზღუდებოდა.

ბათუმში მოქმედი მიწის საკუთრების რუსული კანონი შესაბამისობაში იყო ჯერ კიდევ 1864წელს რუსეთში მიწის რეფორმების დროს მიღებულ კანონთან.

1878 წლის შემოერთებამდე ბათუმში მოქმედებდა მიწათ საკუთრების თურქული კანონი (მიწის კოდექსი „დუსტურ") რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა რელიგიის მსახურთ. რუსეთი მიწის საკუთრებასთან

დაკავშირებული კანონის მიღებით ცდილობდა ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გაკლების დასუსტებას. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის, გენერალ მაიორ ნ.ო. ერისთავისადმი ბათუმის ქალაქის თავის მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ ვინმე ისმაილ აღა ფაშა ზადე ფლობდა ქალაქში მიწებს, მაგრამ 1880 წლის დასაწყისში გადასახლდა რა ის თურქეთში და ითვლებოდა მუჰაჯირად, ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე დაკარგა მან ბათუმში მიწაზე საკუთრების უფლება. მესაკუთრის არსებული მიწა გადაეცა ბათუმის პოლიციის სამმართველოს.

მიწაზე საკუთრების რუსული კანონი უპირატესობას ანიჭებდა რუსეთის მოქალაქეებს, უფრო მეტიც, ხელისუფლება მოუწოდებდა რუსეთის განაპირა მხარეებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომ ჩამოსულიყვნენ ბათუმში და განსახლებულიყვნენ არსებულ მიწებზე.

ქალაქ ბათუმის საზღვრები (ყოფილი პორტო-ფრანკო, რომლის საზღვარი გადიოდა მდ. ანგისაზე და არა მეჯინისწყალზე, ანგისის სამხრეთ დასაელეთი ნაწილი ეკუთვნოდა ნიკოლაძეებს) მოიცავდა 33 დესერტინა 939 კვ. საჟ. მიწის ფართობს, ხოლო დანარჩენი მიწა ბათუმის ოლქის საზღვრებს გარეთ მდებარეობდა.

1881 წელს მებაღე დალფონსმა ინჟინერ პოლიტკოვსკისა და მაგისტრ-ბოტანიკოს ზეიდლიცთან ერთად ჩაქვის თავში 123 დესეტინა მიწა შეიძინა.

მებაღე დალფონსმა ბათუმში არსებულ საკუთარ მიწაზე გააშენა ხეხილის ბაღი, დეკორატიული ხეები და მცენარეთა სათბური.

ამ პერიოდში ქალაქ ბათუმის გამწვანებაში უცხო

ოლებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მებაღეებს ი. გორდეზიანს. ი. ლიონიძეს და გ. დოლიძეს. გიორგი დოლიძეს საკუთარი ბაღი ჰქონდა გაშენებული ბათუმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ქალაქის მოსახლეობა სეირნობდა.

1899 წლის 15 ნოემბერს ბათუმის თვითმმართველობამ დააკმაყოფილა რუსეთის მებაღეთა საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოთხოვნა 1900 წელს ბათუმში მცენარეული კულტურების გამოფენის მოწყობის შესახებ.

1900 წელს ქალაქ ბათუმის არქიტექტორმა ა.ბენკლიანცმა შეადგინა მიწის გეგმა 1830,32 კვ.საჟ.განთავსებული ნაეთობის ქუჩაზე №6, რომელიც არენდით ჰქონდა აღებული კიევის სამრეწველო ბანკს. ასევე ბათუმში მიწაზე საკუთრების უფლება გააჩნდათ რუსულ ამხანაგობა „ნავთობს" და ბათუმში არსებულ ირანის საკონსულოს.

მართალია რუსები დაეპატრონენ ბათუმის მიწებს, მაგრამ მათთვის სასარგებლოდ უვლიდნენ კიდევაც. მათ ბათუმის შემოგარენში არსებული ჭაობიანი ადგილები ამოაშრეს, არხები გაიყვანეს და გამოთავისუფლებულ მიწებზე ხელი მიჰყვეს სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებას. ამ პერიოდში ბათუმის შემოგარენში არსებულ კერძო მიწებზე ე.წ. „სოფელ ჭაობში" მოჰყავდათ ბრინჯი, ღომი, სიმინდი, გაშენებული იყო ბაღ-ვენახი, მისდევდენ მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და აშ. არსებული რეგიონი ბათუმის ბაზარს უზრუნველყოფდა რძისა და ხორცის პროდუქტებით.

ბოტანიკოსები ბათუმის სანაპიროს მცენარეულ საფარს მიაკუთვნებენ პონტოს ოლქს. ბათუმის სანაპირო არც ისე მდიდარი იყო მცენარეთა ორიგინალური

სახეებით, მაგრამ არსებობისათვის აუცილებელი საუკეთესო პირობების გამო იქმნებოდა მცენარეული საფარის განვითარების კარგი საშუალება. პროფესორი ა.ნ. კრასნოვი წიგნში „სამხრეთ კოლხეთის" აღნიშნავდა, რომ მკაცრი ზამთრის პერიოდში,როცა გაგრასა და სოხუმში ნაზი მცენარეები ვერ ძლებენ,აქ ბათუმში ზღვის ზეგავლენით მცენარეები ინარჩუნებდნენ სიცოცხლეს.

ამრიგად ზემოთ მოტანილ დოკუმენტურ მასალაში წარმოსენილია აღნიშნულ პერიოდში ქალაქ ბათუმში რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული მიწათ საკუთრებისა და სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ცალკეული საკითხები.

საერთაშორისო კონფერენციის მასალები
ბათუმი 2010 29-30 ივნისი

1874-1911 წლებში ბათუმის და ართვინის ოლქების სახელმწიფო მმართველობითი მოწყობის და ბათუმის სავაჭრო მიწების შესახებ

1878 წლის 15 ივლისის რუსეთსა და თურქეთს შორის რატიფიცირებული ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლით ოსმალეთმა რუსეთის იმპერიას დაუთმო ბათუმის ტერიტორია.

1878 წელს ბათუმში შემოსვლისას რუსებს დახვდათ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია და გურიელის სასახლე.

1878 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის ბრძანება ბათუმისა და ართვინის ოლქების დროებითი გამგებლობის შესახებ.

ბათუმის ოლქი შეიქმნა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობიდან. ბათუმის ოლქი სამხედრო და ადმინისტრაციულ დარგში დაუქვემდებარეს კავკასიის არმიის სარდლობას, ხოლო ადგილზე მართვა-გამგეობას ახორციელებდა ქალაქ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი. მისი მოადგილე განაგებდა საოლქო სასამართლოს.

ბათუმი საპორტო ქალაქად გამოცხადდა. ქალაქ ბათუმის მართვა-გამგეობა თავდაპირველად რუსეთის საპორტო ქალაქ პეტროვსკის მმართველობის წესებისამებრ მოაწყვეს. ბათუმის ოლქი დაყვეს სამ მხარედ, ხოლო თითოეული მხარე კი სამ კუთხედ, კერძოდ 1. ბათუმის ოლქი – კინტრიში, ბათუმი გონიო, 2. ართვინის ოლქი – ართვინი, არტანუჯი შავშეთ-იმერხ-

ევი. 3. აჭარის ოლქი – ზემო აჭარა, ქვემო აჭარა და მაჭახელი.

რუსეთის ხელისუფლების მთავარი მიზანს ბათუმის ოლქში წარმოადგენდა სიმშვიდის შენარჩუნება და მისი გადაქცევა რუსეთის იმპერიის ნაწილად. რუსეთის იმპერიის მიერ მიღებული საერთო კანონების საფუძველზე ადგილობრივი მცხოვრებნი ისჯებოდნენ რუსეთის სახელმწიფო ღალატისთვის, სამხედრო აჯანყებისთვის. მათთვის არასასურველ პირებს ოლქიდან ასახლებდნენ. უამრავი პატრიოტი აიძულეს დაეტოვებინათ საქმობლო. ყოველ ოლქში განათავსეს ერთი ფეხოსანი და ერთი ცხენოსანი ასეული.

რუსეთის მოსახლეობას მისცეს ბათუმისა და ყარსის ოლქებში თავისუფალ მიწებზე დასახლების უფლება.

1878 წლის 11 დეკემბრის კავკასიის ოლქის უფროსის მოადგილის გენერალ – ადიუტანტ სვიტოპოლკ მირსკის ბრძანების საფუძველზე მიიღეს ბათუმისა და ყარსის ოლქებში სასამართლოს მოწყობის დროებითი წესები, რომელიც შესაბამისობაში იყო სასამართლოს უწყების შესახებ რუსეთში 1864 წლის 20 ნოემბერს მიღებულ კანონთან. ბათუმის ოლქი დაუქვემდებარეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს, ხოლო ყარსის კი ერევნის საოლქო სასამართლოს. რუსეთის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე განსაკუთრებული სასჯელი იყო დაწესებული ჩადენილ დანაშაულზე რწმენის და სახელმწიფოს წინააღმდეგ. (აჭარის არ ცსა, ფონდი ი-81, ანაწ 1, საქმე 1, გვ. 129)

1900 წლის 3 სექტემბერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა აუცილებელ და რუსეთისთვის სასარგებლო საქმედ მიიჩნია ბათუმის და ართვინის ოლქების

გამოყოფა ქუთაისის გუბერნიიდან. სამხედრო გუბერნატორი საჭიროდ არ თვლიდა სოხუმის ოლქის მიერთებას შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან. რუსეთი ხელს უწყობდა აფხაზეთის გამოყოფას დანარჩენი საქართველოსგან და ამით აფხაზებში აძლიერებდა სეპარატისტულ განწყობას. რუსები ამას ხსნიდნენ აფხაზი მოსახლეობის რუსეთისადმი კეთილი განწყობის, აფხაზების განსხვავებული ცხოვრების წესის, ისტორიული წარსულის, მიწათმოწყობის და ოლქის მმართველის და ზოგადი პრინციპების შეუთავსებლობით საერთო წესებთან. აქედან გამომდინარე რუსები მოითხოვდნენ სოხუმის ოლქის განსაკუთრებულ მოწყობას.

რუსები ბათუმის და ართვინის ოლქის სახელმწიფო მმართველობითი მოწყობის ფორმებს უსადაგებდნენ ურალის გუბერნიის მმართველობით ფორმებს, ხოლო ბათუმში განხორციელებული მიწათმოწყობის რუსული კანონი აღებული ჰქონდა რუსეთში ჯერ კიდევ 1864 წელს მიწის რეფორმების დროს მიღებულ კანონთან.

რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული კონსტანტინეპოლის ტრაქტატის მიხედვით თურქეთმა ბათუმის ოლქის მიწები გადასცა რუსეთს. რუსეთის ხელისუფლებამ ბათუმში არსებული მიწები რუსეთის სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა.

რუსეთის იმპერიასთან ბათუმის ოლქის მიერთების შემდეგ, 1879 წლის 11 ივნისს პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარმოუდგინა მოხსენება „ბათუმის მიწათსაკუთრების შესახებ", სადაც მოითხოვდა სავაჭრო მიწების ქალაქის თვითმმართველობისთვის გადაცემას. გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ მირსკის თანხმობის შედეგად

საეკუფო მიწები გადავიდა ქალაქის საკუთრებაში. აზიზიესა და ერგეს მეჩეთების საეკუფო მიწები გასახელმწიფოვდა და შეუერთდა ქალაქს. რუსეთის ჯარების მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ, თავდაპირველად აზიზიეს მეჩეთის საეკუფო ქონება გადაეცა პოლიციურ სამმართველოს და ამას ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ ეს მეჩეთი გამოყენებული იყო სამხედრო დანიშნულებისთვის. რუსების მიერ აზიზიეს მეჩეთის უძრავი ქონება შეფასდა 3-4 მილიონი რუსული რუბლით. რუსების მიერ ნაადრევად მიღებული გადაწყვეტილება არ გამართლდა, რადგან საეკუფო სამართალი რელიგიური ნიშნის მიხედვით აკანონებდა საკუთრებას კერძო და სამოგადო სარგებელში. ამიტომაც იკრძალებოდა მისი გაყიდვა და გადაცემა სახელმწიფო ხელისუფლებისთვის. (ბარ. торнау „особенности мусульманского права" 1880. проф. и. Нофали „курс мусульманского права" 1886) ასე რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ ახალი კანონის მიღებამდე საეკუფო მიწების მიმართ გამოცხადებული გადაწყვეტილებები ცხადდებოდა უკანონოდ და იგი გადაეცა მათ მიერ არჩეულ მუსულმანურ კომისიას, მაგრამ ამ კომისიამ დიდხანს ვერ იარსება. საეკუფო მიწებთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: вакуфные в карской и бывшей батумского областях подчинить правилам установленным нашими законодательством для вакуфных именины у закавказских суннитов (продолж. 1876 г. Т.XI Ч.1. уст. иностр. исповед продолж. к.ст. 1143 примеч. 104-113) (აჭარის არ ცსა. ფონდი ი-81, საქმე 1, აღწ.1 გვ. 79)

რუსები ცდილობდნენ აგიტაცია-პროპაგანდის გზით ადგილობრივ მოსახლეობაში მიწაზე კერძო საკუთრების უფლებების შეკვეცას. რუსეთის ხელისუ-

ფლება მოუწოდებდა მმართველ ძალებს, რომ სოფლის მოსახლეობაში მიწის მესაკუთრეთა მიმართ შეექმნათ არასასურველი, მტრული განწყობა.

რუსები ადგილობრივი მოსახლეობიდან კატეგორიულად მოითხოვდნენ მხარდაჭერას და აცხადებდნენ, რომ ისინი არ ცნობდნენ სავაყუფო საკუთრებას, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალაქსა თუ სოფელში, რადგან მათი აზრით ვაყუფი ქმნიდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებდა რომ: „мусульманское духовенство есть, бесспорно сами опасни враг Наш в деле упрочения нашей власти в присоединенном крае. поэтому необходима принять все меры к снижению его влияния на местное населения, что и должно заключаться прежде всего в недопущение его к землевладению в крае"

(აჭარის არ ცსა, ფონდი ი-81, აღწ 1, საქმე 1, გვ. 114)

მათ ეს იმიტომაც აშინებდათ, რომ აჭარელი ბეგები არ ემორჩილებოდნენ არცერთ დამპყრობს, არც თურქს და არც რუსს. საქართველოს დასაპყრობად მოსული მტერი მიწაზე არსებული კანონებს აუქმებდა და საკუთრების მისეულ კანონებს აწესებდა.

ახალშემოერთებულ ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლებამ კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო: „к недвижимым вакуфным имуществом в присоединенном крае должно быть поконченно раз и навсегда" (აჭარის არ ცსა. ფონდი ი-81, აღწ 1, საქმე 1, გვ. 104)

მიწის შესახებ მიღებული ახლი რუსული კანონი არ ცნობდა სავაყუფო საკუთრებას, ხოლო მიწათსარგებლობის დადგენილი წესი არ იძლეოდა მისი გადაცემის უფლებას იურიდიული პირების ხელში. კანონი მმართველ ძალებს უფლებას აძლევდა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტათ ამა თუ იმ პირის ხელში მიწის გადაცემის საკითხი.

რუსეთის ხელისუფლება აჯილდოებდა იმ პირებს, ვინც საკუთარი ნებით უთმობდა მათ მიწებს. საეკლესიო მიწები წლების განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში, იცვლიდა 3-4 მესაკუთრეს, ბევრი ჰყიდდა მიწას და მიდიოდა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის 1895 წლის 6 სექტემბრის მიმართვაში მოითხოვდა საეკლესიო საკუთრების გაუქმებას და ამ მოთხოვნის მთავარ მიზეზად ასახელებდა სასულიერო საკუთრებითი სამართლის შეუთავსებლობას ევროპულ საკუთრებით სამართალთან.

ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში რუსეთის ხელისუფლებას აჭარის შემოერთებისა და მასზე ძალაუფლების განმტკიცების საქმეში ძირითადი ხელისშემშლელ ძალად მიაჩნდა მუსულმანური სამღვდელოება. ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გაჯანსაღების შესუსტების მიზნით ისინი რეგიონში არსებულ მიწათსარგებლობის კანონებს ცვლიდნენ საკუთარი კანონებით და ამით ხელს უწყობდნენ ქვეყანაში რუსეთის იმპერიის ძალაუფლების გავრცელებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. (აჭარის არ ცხ., ფონდი ი-81, აღწ 1, საქმე 1, გვ. 25, 30, 42: ფონდი ი-6 აღწ. 1, საქმე. 590
2. ავალიანი ა. „მიწათფლობელობის ფორმები აჭარაში" ბათუმი 1960.
3. ბარამიძე ი. „საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში" (XIX ს. 70-80-იან წლებში) ბათუმი 1999 წ.

ჟურნალი „არხეიონი" I
ბათუმი 2011

სტატიის თანაავტორია
პროფესორი შოთა მახარაძე

ტ. ფარბერი ბათუმის ოლქის შესახებ

ტატიანა ფარბერი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბათუმში XX საუკუნის 50-იან წლებში. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ბათუმის ოლქი 1905-1907 წლებში", რომელიც ხელნაწერის სახით ინახება შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. ნაშრომის გაცნობის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე მისი თარგმნა და გამოქვეყნება.

ბერლინის ტრაქტატით რუსეთმა შემოიერთა არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შევიდა სამი მხარე: ბათუმის, ართვინის, აჭარის.

ბათუმის ოლქს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ქუთაისის გუბერნია, აღმოსავლეთით თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, დასავლეთით ლაზისტანის სანჯაყი. სულ ბათუმის ოლქს ეკავა 3779 კვ.კმ ფართობი. 1905-1907 წლებში ბათუმის ოლქის მოსახლეობა შეადგენდა 144322 ადამიანს, რომელთაგანაც 82008 იყო მამაკაცი, ხოლო 62314 ქალი.

ტ.მ. ფარბერის მიერ აღწერილი და შესწავლილია აღნიშნულ პერიოდში ბათუმში არსებული შემდეგი დაწესებულებები: საბაჟო, სანოტარო განყოფილება, ფოსტა-ტელეგრაფი, ხაზინა.

ბათუმის საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად აირჩიეს პოლკოვნიკი ბერსი. 1878 წლის 8 ნოემბერს ბათუმი პორტო ფრანკოდ გამოცხადდა.

1888 წლის 12 იანვრის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა გაუქმდა და ბათუმის ოლქი დაიყო ბათუმის და ართვინის მხარეებად. აღნიშნული მხარეები შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. 1903 წლის 1 ივლისიდან ისევ აღადგინეს ბათუმის ოლქი სამხედრო გუბერნატორის ხელმძღვანელობით. აღმინ-

ისტრაციული თვალსაზრისით ბათუმის ოლქი დაიყო 7 უბნად. მათგან ბათუმის მხარე აერთიანებდა 4 (კინტრიშის, გონიოს, ქეედა და ზედა აჭარის); ხოლო ართვინის მხარე 3 უბანს (ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხეულის).

ეკონომიკური და სასაზღვრო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთი ყოველდღიურად აძლიერებდა სამხედრო – სასაზღვრო და სავაჭრო – საზღვაო ფლოტს შავ ზღვაზე.

კარლ მარქსის თქმით ბათუმის პორტი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნების გემებისთვის იყო ერთადერთი თავშესაფარი. რუსეთის მიერ მისმა დაპყრობამ თურქეთს წაართვა ბოლო საზღვაო სადგური პონტოზე და იგი რუსეთის ზღვად გადაიქცა. ტ.მ. ფარბერის აზრით რუსეთი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნების ისტორიაში პროგრესულ როლს თამაშობდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში რუსეთმა ბათუმში დააფუძნა სავაჭრო – სანაოსნო საზოგადოება, რომელიც უსრუნველყოფდა რუსული კაპიტალის მოზიდვას. ინგლისელი კონსულის ჯ. პალგრეივ თქმით ბათუმი იქცა სავაჭრო ქალაქად.

1878 წლის 25 აგვისტოს ბერლინის შეთანხმების საფუძველზე თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა დევრიშ ფაშამ ბათუმის გასაღები (გასაღები ინახება ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) ჩააბარა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს გენერალ სვიატოპოლკ მირსკის. მალე, 1879 წელს ბურუნ – ტაბიეს ადგილას რუსებმა ააგეს მისხილის ციხე-სიმაგრე, რომლის კომენდანტად დანიშნეს გენერალ – მაიორი კოლდეევი. ამ ციხე – სიმაგრეში

რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი იდგა. ამაეე ადგილას რუსეთს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჰქავდა თავისი სასაზღვრო ჯარი.

ტ.მ. ფაბერის მონაცემებით ამ დროისთვის ბათუმში იყო 5 ეკლესია, 3 მეჩეთი, 5 დაწყებითი სკოლა, 4 აბანო, 4 ქარხანა და მათ შორის ნავთობჩამოსასხმელი. ბათუმის წლიური შემოსავალი შეადგენდა 70.000 მანეთს.

1878 წლის ოქტომბრიდან 1880 წლის ჩათვლით უცხოეთის ქვეყნებიდან და რუსეთის პორტებიდან ბათუმში შემოვიდა 226.582 მანეთის საქონელი, ხოლო საზღვარგარეთ და რუსეთის პორტებში ბათუმიდან გავიდა 91.428 მანეთის საქონელი. ბათუმის პორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა: შემოტანილი საქონლის სახით 906.380 მანეთი, ხოლო გატანილი საქონელი 365.712 მანეთი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის პორტს მეტი მნიშვნელობა შესძინა მარგანეცისა და ქვანახშირის წარმოებამ, ასევე ბაქოს ნავთობმა.

1883 წელს რკინიგზამ ბათუმი დააკავშირა სამტრედიას, ფოთს, თბილისს, ბაქოს. 1886 წლის 5 ივლისს პორტო-ფრანკო გააუქმეს. 1888 წელს შეიქმნა ბათუმის თვითმმართველობა.

დიუპრიეს მონაცემით, 1807 წელს ბათუმში იყო 2.000 მცხოვრები, 1873 წელს კი 4.970 (მალმუსის მონაცემით) ადამიანი. 1880 წელს ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 9.500 კაცამდე, 1897 წლის აღწერის მიხედვით კი 28.1556 ადამიანი. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის მოსახლეობის რაოდენობამ 35.000 მიაღწია. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ქართველები, აფხაზები, ბერძნები, სომხები, თურქები, ირანელები, რუსები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები.

შავი – კასპიის სა'სოგადოების (შემდგომ'ში როტშილდის) ქარხანამ ინჟინერ პალა'შკოვსკის ინიციატიით 1882 წელს დაიწყო ბიდონების წარმოება. ამაყე პერიოდ'ში ბათუმ'ში იყო ოთხი ქარხანა 1) კასპია – შავი –ხელის ნავთობის სავაჭრო სა'სოგადოების; 2) ი.ი. მანთა'შევის; 3) სიდერიდისის; 4) სატურიანის. 1889 წელს ბათუმ'ში დაფუძნდა ბინიათი ოღლის თამბაქოს ქარხანა, ხოლო 1899 წელს ლევებერგის. ამ ქარხნებ'ში თამბაქო შემოდიოდა ართვინიდან. ბათუმის და სოხუმის ოლქებიდან, გურიიდან, ყუბანის ოლქიდან, სოჭასა და ყირიმიდან. ამ დროისათვის სხვადასხვა სახის სამრეწველო პროდუქციას ბათუმ'ში აწარმოებდა 366 საწარმო. როტშილდის ქარხანა'ში მუშაობდა 6.000 კაცი. სატურიანის ქარხანა'ში 1200; მანთა'შევ'ში 4.000, სხვადასხვა საწარმოებ'ში 2.000 კაცი. სანაპირო სამუშაოებ'ზე დასაქმებული იყო 3.000 კაცი. ბათუმის ოლქ'ში იყო 45 ბრინჯაოს (აქედან ართვინ'ში 34, ბათუმ'ში 11), 14 ვერცხლის, 10 რკინის საბადო. ბრინჯაოს აწარმოებდა ინგლისური კომპანია. მინერალური საბადოების წარმოება – განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1901 წელს შექმნილმა კავკასიის ბრინჯაოს მწარმოებელმა სა'ზოგადოებამ. 1903 წელს ბრინჯაოს მწარმოებელი ორი ქარხანა ეკუთვნოდა დოქტორ ლიეინს. მერისის და ქედის საბადოებ'ზე ამუშავებდნენ 200.000 ფუთ მადანს, ურგეს ქარხანა ყოველწლიურად ამუშავებდა 50-60 ათას ფუთ წითელ მადანს. 1889 წლიდან 1902 წლამდე ქარხანამ გამოადნო 100 ათასი ფუთი წითელი მადანი. 1902 მოპოვებული იქნა 961.266. ფუთი მადანი. ბათუმის ოლქის მოსახლეობა დაკავებული იყო სოფლის მეურნეობით. რუსული კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდებოდა სოფლის მეურნეობაში. ამ პერიოდ'ში საგ-

რძნობლად გაძლიერდა ბათუმის ოლქის მიწების კოლონიზაცია. ჩნდებიან მსხვილი მიწათმფლობელები: პოპოვი, სოლოვცევი, სტოიანოვი, რუსეთიდან ბათუმის ოლქში მოედინება მუშა ძალა, რომლებიც ძირითადათ დასაქმებული იყვნენ ჩაის პლანტაციებში. ჩაქვის მამულში მუშაობდნენ ტამბოვიდან მოსული მუშები, რომლებიც სოფ: გორგაძეებში ცხოვრობდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჩაის კულტურის წარმოებას და გასაღებას. ქართული ჩაი რუსული ეტიკეტით გადიოდა მსოფლიო ბაზარზე.

1884 წლის ივნისში ზეიდლიცმა ჩინეთიდან ბათუმში ჩამოიტანა ჩაის ნერგები და გადასცა მიწათმფლობელ სოლოვცევს, რომელმაც პირველმა დაიწყო ჩაის ბუჩქების გაშენება. მიწათმფლობელმა პოპოვმა პროფესორ ტიხომიროვთან ერთად იმოგზაურა ჩინეთში და ბათუმში ჩამოიტანა ჩაის საუკეთესო ნერგები. ჩაის კულტურა გაშენდა ჩაქვში, კაპრეშუმში, სალიბაურში. პოპოვმა სალიბაურში აა'შენა ჩაის ფაბრიკა. მოგვიანებით, ჩაის კულტრის შესწავლის მიზნით ინდოეთში (ცეილონზე) და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია პროფესორ კრასნოვის მეთაურობით. მიწათმფლობელმა ვუჩინომ, სტოიანოვმა, ბიხოვცევმა გააშენეს ჩაის პლანტაციები.

XX საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმის ოლქში ჩაის პლანტაცია ჰქონდა 65 რუს კოლონიზატორს. 1903 წელს მოკრეფილი იქნა 257.656 ფუთი მწვანე ჩაის ფოთოლი. 1895 წელს პოპოვის მიერ ქართული ბაიხოს ჩაი პირველად იქნა გატანილი მსოფლიო ბაზარზე 20 ფუთის ოდენობით. 1902 წელს უცხოეთში გატანილი ჩაის რაოდენობამ შეადგინა 17.027 ფუთი. 1898 წელს ქართული ჩაი გამოფენაზე გაიტანეს პეტერბურგში,

პარი'ს'ში, გლა'ზგო'ში. ბათუმის ოლქ'ში ჩაის კულტურასთან ერთად ა'წარმოებდნენ აგრეთვე ბამბ'ეულსა და შალე'ულს. ამ საქმით დაკავებული იყო ფრანგ'ული კომპანია.

ამრიგად ტ.მ ფარბერის მიერ 'ს'ემოდ მოტანილი ფაქტობრივი მასალა ნათლად წარმოაჩენს XIX-XX ს. დასაწ'ყის'ში ბათუმის ოლქ'ში არსებ'ულ სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას.

Merab megrelishvili
T.farber-about Batumi District
Summary

T.farber lived and worked in Batumi, in 50 years of XX century. He wrote „ Batumi District in 1905-1907 years". manuscript is kept in Shota Rustaveli scientific library. in article is discussed mani issues of named work, also social- economical situation at the end of XIX century and the beginning of XX century in Batumi district.

ჟურნალი „არხეიონი" II
ბათუმი 2011

საზოგადოებრივ – პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში XX საუკუნის დასაწყისში

საუკუნეების მანძილზე რუსეთის საზღვრებში მოქცეული საქართველო ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ ერთიანობას. რუსეთს ვერ წარმოედგინა იმპერიის საზღვრებს გარეთ შავი ზღვა, კავკასია და საქართველო. მით უფრო ვერ წარმოუდგენია დღეს, როცა სსრკ კავშირის დაშლის შემდეგ მან დაკარგა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე. რუსეთი ყველა ღონეს ხმარობდა საქართველოს დასამორჩილებლად.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოში წარმოებული „დაჰყავი და იბატონეს" პოლიტიკის შესაბამისად, რელიგიურ, ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტურ სიტუაციებს ჰქონდა ადგილი.

1906 წლის 20 ნოემბერს ბათუმში ტერორისტული შეტაკებები განხორციელდა სომეხ გრიგორიანელებს და კათოლიკებს შორის. ადგილობრივ სომხურ-გრიგორიანულ ორგანიზაციას „დაშნაკ ცუტუნს" მხარს უჭერდა ართვინის მოსახლეობა. მათ შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ოლქის სამხედრო გუბერნატორი იძულებული გახდა გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. ბათუმში დაწესდა პოლიციელების პატრულირება, დღისით და ღამით აიკრძალა ყოველგვარი სახის იარაღის ტარება.

1906 წლის 25 ნოემბერს, სამხედრო გუბერნატორის მიერ ართვინის მხარის გამგებელ კაპიტან ვოიჩეკისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ გამწვავდა ურთიერთობა სომეხ გრიგორიანელებსა და მუსლიმანებს შორის. სამხედრო გუბერნატორს განსაკუთრებით აშინებდა ანტი-სახელისუფლებო

გამოსვლები და ყველაფერს აკეთებს ამის თაობაზე ასაცილებლად (აჭარის არ არქივი. ფ. ი-1, აღწ.1 ს. 417 გვ. 2).

მოსახლეობის დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია 1908 წლის 13 სექტემბერს ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ტიმოთე პერიკლეს ძე ტრიანტაფილიდესის მკვლელობამ.

მკვლელობის ნიადაგზე დაიძაბა ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის. რადგან იგი ბრალდებოდა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

ექიმ ტიმოთე ტრიანტაფილიდესის დიდი წვლილი მიუძღოდა ქალაქის წინსვლაში. მან შეისწავლა ბათუმის კლიმატი და დაბეჭდა შესანიშნავი წიგნები „ბათუმის კლიმატი და ასთმა", „ბათუმის კლიმატი და ნერვოზი" და ა.შ მისივე პროექტით იყო აგებული ბარბარეს ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს დღეს არსებული, ბაროკოს სტილში ნაგები ორსართულიანი თეორი შენობა. საბჭოთა პერიოდში მისი მეუღლეს, აჭარაში მოღვაწე ცინეკოლოგ ქალს, ეს შენობა ჩამოართვეს ამჟამად შენობიდან მოხსნილია აბრა, რომელიც გვაუწყებდა მისი მფლობელის ვინაობას და დამსახურებას.

1909 წლის აგვისტოს ბოლოს ვარნაში (ბულგარეთი) ჩატარდა სომხური ორგანიზაცია „დაშნაკ-ცუტუნის" ყრილობა, რომელმაც განიხილა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი თურქეთისა და რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ რეგიონებში, რუსეთის დაქვემდებარებაში იყო: ართვინი, ბათუმის ოლქი, ყარსის ოლქი, ნახიჩევანი, ერევნის გუბერნია, თურქეთის კი ერზრუმი, ვანი და ტრაპიზონი. აჯანყების მომზადება დაევალეს ორგანიზაციის წევრს მურატს, რომელსაც გადაეცა დიდი თანხა იარაღის

შესაძენად, კერძოდ, კონსტანტინეპოლ'ში მან მიიღო 60 ათასი ფრანკი. ამ მიზნით დიდი რაოდენობის იარაღი შემოიყიდა ბათუმ'ში, ტრაპიზონსა და სამსუნ'ში. ადგილებზე რუს ხელისუფალთა მიერ აჯანყების ჩასახშობად განხორციელდა კონტრღონისძიებები (აჭარის არ ცსა. ფ. ი-1, აღწ.1 ს. 436 გვ. 7). მოგვიანებით აჯანყების გეგმა გასცეს და იგი მარცხით დამთავრდა.

1912 წელს გავრცელდა ხმები ომის შესახებ, რომ რუსეთ-თურქეთის საზღვარზე თურქეთი აძლიერებდა ჯარს და თურქებთან ომის დაწყების შემთხვევაში, მთელი კავკასია, განსაკუთრებით ქართველები დაა სომეხი დამნაკები გამოვიდოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ხემოთქმული დადასტურდა.

ჯარების დისლოკაციის ადგილად გამოაცხადეს ტრაპიზონი. ამ გადაადგილებას ხელმძღვანელობდა აბას-ბეგ ფაშა. ყარსთან და ერზრუმთან გაიგზავნა 80 ათასი ჯარისკაცი, ხოლო ტრაპიზონში 70 ათასი. ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა ფერიკ-ფაშა. ერცელდებოდა ომისკენ მოწოდების პროკლამაციები. გამოცხადდა პარტიზანული ძალების მობილიზაცია 18-დან 47-წლამდე. გავრცელებული ხმების თანახმად, ომის მიზანს წარმოადგენდა კავკასიაში დკარგული მიწების დაბრუნება (აჭარის არ ცსა. ფ. ი-1, აღწ.1 ს. 588 გვ. 11).

1912 წლის 11 დეკემბერს გავრცელდა ცნობა, რომ თურქეთში წასული მუხაჯირების ერთი ნაწილი მოუწოდებდა ადგილობრივ მოსახლეობას წასულიყვნენ მოხალისეებათ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსების წინააღმდეგ მოქმედ თურქეთის არმიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ასლან ბეგი – შვილი სანჯაყ ბეგ ზადე აბაშიძისა.

მოგვიანებით ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნა-

ტორი. პოლკოვნიკი რომანოვსკი ატყობინებდა მეფის-ნაცვლის კანცელარიას, რომ ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თანხის შეგროვების და მობილიზაციის შესახებ რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის არმიის დასახმარებლად არ დადასტურდა (აჭარის არ ცსა. 1. ფ. აღწ.1 ი-1, ს. 551 გვ. 62).

1915 წლის აგვისტოს ბოლოს არსებულმა სამხედრო მდგომარეობამ განაპირობა ბათუმში დაწყებითი სკოლების დახურვა და ქალაქის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების გადაყვანა ქალაქ ქუთაისში.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან მისაერთებლად რუსეთის ხელისუფლების მიერ ადგილებზე ფართო სააგიტაციო მუშაობა წარმოებდა. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობა ამას მხარს უბაძდა. იწერებოდა წიგნები, ეწყობოდა გამოფენები.

არა მარტო იმ დროს, არამედ საბჭოთა პერიოდშიც და დღესაც შეინიშნება საქართველოში არაობიექტურ. გაყალბებულ ფაქტებზე დაყრდნობილი წიგნების ბეჭდვის ცუდი ტენდენცია სადაც გაზვიადებული და დამახინჯებულია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორია.

1903 წლის 25 აგ. ტოს ბათუმის საზოგადოებამ აღნიშნა ქალაქ ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 25 წლისთავი. ამ დღის აღსანიშნავად ქალაქის თვითმმართველობამ გრიგოლ ვოლსკის ხელმძღვანელობით შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა ღონისძიებების მოწყობის ფართო პროგრამა. დაფინანსება სთხოვეს კასპია-შავი ზღვის ნავთობგადამამუშავებელ და საეჭრო საზოგადოებას პარიზში. ხალხის გულის მოსაგებათ ააგეს სახალხო სახლი, რომელსაც მიანიჭეს რუსეთის იმპერატორ მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელი.

სახალხო სახლთან არსებობდა თეატრი, ბიბლიოთეკა, უფასო დაწყებითი სკოლა და სასადილო. ასევე დადგა საკითხი ბათუმში არქეოლოგიის მცირე მუზეუმის გახსნის შესახებ.

ამაყე სხდომაზე ექიმმა ტიმოთე ტრიანტაფილიდესმა დასვა საკითხი მუშათა საცხოვრებლების მშენებლობის შესახებ, რადგან ამ პერიოდში რუსეთის განაპირა მხარეებიდან მასიურად ჩამოდიოდნენ ბათუმში საცხოვრებლად, სასწაველებლად და დასასვენებლად.

რუსები ბათუმს უწოდებდნენ ფანჯარას ევროპაში არა მარტო გეოგრაფიული, არამედ კლიმატური პირობების გამო (თბილი ზღვის ჰავა) აქ რუსეთის გუბერნიის შინდა ნაწილებიდან აგზავნიდნენ ბავშვებს სასწაველებლად. სწორედ ამ მიზნით 1893 წლის 22 მარტს ბათუმის თვითმმართველობამ გადაწყვიტა ქალაქში, ზღვასთან ახლოს, გაეხსნათ 4-კლასიანი ვაჟთა კლასიკური გიმნაზია (ახლანდელი უნივერსიტეტის შენობა) (აჭარის არ ცსა. ფ. ი-6, აღწ. 1 ს. 251 გვ. 3). ამ ადგილს დღესაც ბევრი შურის თვალით უყურებს.

1893 წლის 22 მარტს გამართულ ბათუმის თვითმმართველობის სხდომის დღიურში ვკითხულობთ: „престиж нашей власти и нашей цивилизации должен быть поднят на наибольшую высоту„ აქვე მინიშნებულია, რომ ბათუმის გიმნაზია უნდა გახდეს სრულიად რუსეთის ჩვეულებრივი გიმნაზია, სადაც მოსწავლეები აღიზრდებიან „в русском духе". ამასთანავე, შესაძლებელი გახდება ამ გიმნაზიაში რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა ბავშვებმაც მიიღონ განათლება და ჯანმრთელობაც გაიკაუონ, რის სათანადო პირობებიც აქ არსებობს (აჭარის არ ცსა. ფ. ი-ნ, აღწ. 1 ს. 102 გვ. 36).

რუსი ჩინოვნიკები უკრძალავდნენ გიმნაზიის მოსწავლეებს ტრადიციული ქუდების ტარებას და მოითხოვდნენ მათგან ეგრეთ წოდებული „ფურაჟკების" ტარებას, როგორც თვითონ ამბობდნენ: „как символ принадлежности к русской государственности", ე.წ. „ფურაჟკების" ტარების ტრადიცია საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი საარქივო მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ წლების მანძილზე რუსეთის ხელისუფლება საკუთარი მიზნების გათვალისწინებით ებრძოდა ქართულ ტრადიციას, წეს-ჩვეულებას, თვითმყოფადობას და ყველა ღონეს მიმართავდა საკუთარი სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად.

გამოყენებული წყაროები:

1. აჭარის არ ცსა. ფონდი ი-1 აღწ. 1 საქმე 417, 436, 551, 588

2.აჭარის არ ცსა. ფონდი ი-1 აღწ. 1 საქმე 251, 102.

Merab megrelisvili
To Russia-Georgian Relationship at the begining of XX centry

summary

This article deals with the description of XX centry Russia-Georgian Relationship based on the Archives materials.

საქართველო და მსოფლიო
„წარსული და თანამედროვეობა"
ბათუმი 2009

საკონსულოები ბათუმში 1901-1903 წლებში

ბათუმში საკონსულოების მოღვაწეობის საკითხი შესწავლილი იქნა აქ განსვენებულ პროფესორ მალხაზ სიორიძის მიერ. ბატონი მალხაზი აღნიშნავდა, რომ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლები, სხვადასხვა გარემოებათა გამო არაიშვიათად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ამის მიუხედავად შესაძლებელია ძირითად მათგანთა მისამართების დადგენა. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში საკონსულოების ადგილსამყოფელის და კონსულთა ვინაობის დადგენა და მათი მოღვაწეობის შესწავლა მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას. XX საუკუნის დასაწყისში ეკუთვნოდა გიმნაზიაში მოღვაწე ნიკოლოზ დერუგინი წიგნში „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან" აფიქსირებს 14 სახელმწიფო საკონსულოს.

ავსტრია-უნგრეთის საკონსულო განთავსებული იყო მარინეს (დღევანდელი მემედ აბაშიძის) და თბილისის (ბარათაშვილის) ქუჩების კუთხეში, კერძო მფლობელის ვუჩინოს სახლში, კონსული ჯონ სტივენსი. ბატონი მალხაზი დიდი ბრიტანეთის ვიცე კონსულად წარმოგვიდგენს სტივენს, მაგრამ არ მიუთითებს სახელს, ეს იყო პატრიკ სტივენსი, რომლის რეზიდენცია მდებარეობდა ბაზრის (დღევანდელი ზურაბ გორგილაძის) და ვოზნესენსკის (დღევანდელი მელიქიშვილის) ქუჩების კუთხეში, კერძო მფლობელ ჯაიანის სახლი.

ბელგიის საკონსულო მდებარეობდა მარინეს (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე, კონსული ო. დეიბელი.

გერმანიის საკონსულო განთავსებული იყო ოღლას ქუჩაზე ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული ფრიდრიხ ბურგკარდტი.

საბერძნეთის საკონსულო მდებარეობდა ტაძრის ქუჩაზე, ბერძენი მოქალაქის ანგელიდის კერძო სახლში, კონსული იყო არისტიდ პავლიდისი.

დანიის საკონსულო მდებარეობდა ტაძრის ქუჩაზე, კონსული გ.ხ ვარნეკე. იტალიის საკონსულო რეზიდენცია განთავსებული იყო საზღვაოს (დღევანდელი 26 მაისის სახელობის) ქუჩაზე, კონსული ერნესტ სპანიოლი. ბატონ მალხაზს იტალიის კონსულად დასახელებული პყავს ლორენსო ვალერი. ეს უკანასკნელი დასაზუსტებელია.

ირანის საკონსულო მდებარეობდა ოღღას ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული მირსა აღა ხანი.

1906 წლის 24 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე ირანის კონსული ბათუმში მცხოვრები კოლონისტების სახელით მოითხოვდა 400-500 კვ. საჟ. მიწის გამოყოფას. მათ სურდათ შიიტური სწავლებისთვის მეჩეთის აშენება. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მიწის გამოყოფას შერემეტიევის (დღევანდელი ლუკა ასათიანის) ქუჩაზე, რომელიც ეკუთვნოდა თავად მაჭუტაძეს. ისინი უარს აცხადებდნენ ანგისაში მათთვის გამოყოფილ მიწაზე. თვითმმართველობის სხდომაზე გამოსულმა შაშიკ ოღლიმ ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. მას განუმარტეს, რომ დიდ პატივს სცემდნენ მორწმუნე ხალხის მოთხოვნებს, მაგრამ ქალაქის ცენტრში სხვა მშენებლობები იყო დაგეგმილი. (აცსა ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 413 გვ. 8)

ჩრდილოეთ ამერიკის საკონსულო განთავსებული იყო მარინეს (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე, ფოსტასთან ახლოს, კონსული ჯონ ჩემბერსი.

ბატონი მალხაზი ასახელებს სახელდობრ ამერიკის საკონსულოს და კონსულ პარი ბრიგსს. ეს უკანასკნელიც დასაზუსტებელია.

ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა ამერიკელ ებრაელთა ორგანიზაცია „ჯოინტ", რომელიც საქველმოქმედო საქმით იყო დაკავებული, მას თავის ხარჯით მწვანე კონცხზე გახსნილი ჰქონდა უპატრონო ბავშვთა სახლი, სულ იყო 39 ბავშვი.

ნიდერლანდიის საკონსულო განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიას) ქუჩაზე. საკონსულოს უფლებები ვრცელდებოდა მთლიანად ამიერკავკასიაზე. კონსული იყო ჰენრიხ ბლეი. თურქეთის საკონსულო მდებარეობდა სმეკალოვის (დღევანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, კონსული იყო აბდულ ქერიმ საბით ბეი.

ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა ორი მეჩეთი, ახმედ ფაშას, სანაპიროს და ქუთაისის ქუჩაზე და აზიზიეს მეჩეთი (თავისუფლების მოედანი)

საფრანგეთის საკონსულო განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კ. გამსახურდიას) ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული იყო დელაკრუა.

შვედეთ-ნორვეგიის საკონსულო მდებარეობდა ბულვარის (დღევანდელი ნინოშვილის) ქუჩაზე, პალაშკოვსკის კერძო სახლში, კონსული იყო ა. ჰააგერი. 1883 წელს ბათუმში ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააშენეს საექსპორტო ჭურჭლის პირველი ქარხანა. მათი დაწყებული საქმე 1886 წელს გააგრძელა როტშილდმა (ნ.ბერძენიშვილი 1958:505)

იაპონიის საკონსულო რეზიდენცია მდებარეობდა სმეკალოვის (დღევანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, შავი კასპიის ზღვის მენავთობეთა სახლში, კონსული იყო ა.ი ეანშეიდტი. (დერჟავინი 1902:57) ბატონ მალხაზს ნ. დერჟავინისგან გასხვავებით მითითებული აქვს 15 საკონსულო, ესპანეთის შტატ გარეშე კონსულად ასახელებს სპადორიოს, რომლის ადგილსამყოფელი დასადგენია. (სიორიძე 2009:67)

საკონსულოებმა და მათთან დაკავშირებულმა სახვადასვა სახის სააგენტოებმა თუ საქველმოქმედო საზოგადოებებმა დიდი როლი ითამაშეს ქალაქ ბათუმის განვითარების საქმეში. ასეთები იყო: „ბლეერდ აუენი" – ინგლისის სახლვაო სააგენტო, შუტცის და ციმერმანის- გერმანიის საზღვაო სააგენტო, მათი რეზიდენციები სანაპიროს ქუჩაზე იყო განთავსებული. ასევე ფრანგულ-გერმანული სახლვაო-სანაოსნო საზოგადოებები „მესაჟერ-მარიტიმი" და „დ.ლ ზილბერმეისტერი," რომელთა მოღვაწეობამ ბათუმში განაპირობა მათი ქვეყნების საკონსულოების გახსნა.

ბათუმში არსებული საკონსულოები თვითმმართველობასთან ერთად ზრუნავდნენ უცხო ენოვანი სკოლების გახსნაზე. 1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის და საზოგადოება „პოლონური სახლის" მიერ კომაროვის და გეორგიევსკის ქუჩების კუთხეში (დღევანდელი დ. თავდადებულის და ზუბალაშვილის) დაფუძნებული იქნა სკოლა და ბიბლიოთეკა.

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის და მისი წინამძღვრის დონ გაბრიელ ასლანიშვილის ინიციატივით პოლონელი, ჩეხი, ლიტველი ბავშვებისთვის გაიხსნა სკოლა. ამ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები (აცსა ფ ი-7, ანწ-1, საქ. 488 ფ. 39) XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმში ლიტვის საკონსულო დაარსდა, კონსული ლეონ ზიკა. (მ. სიორიძე 2009:68)

ამრიგად ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული საკონსულოების ღვაწლს ქალაქის ეკონომიკის და კულტურის განვითარების საქმეში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აცსა ფონდი ი-7, ანაწ 1, საქმე 413 ფ. 8
2. აცსა ფონდი ი-7, ანაწ 1, საქმე 488 ფ. 39
3. ნ. დერუგინი „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან" ბათუმი 1902 წელი.
4. ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორია" თბ 1958
5. მ. სიორიძე „უცხოეთის ქვეყნების საკონსულოები ბათუმში" „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა" I ბათუმი 2009 წელი.

Merab Megrelishvili
The councils in Batumi in 1901-1903

Summary

The presented scientific article deals with the location of councils at the beginning of XX century in Batumi. It investigates as well the activity which was carried by those councils in above mentioned period.

საზღვაო-სააბანძო დაწესებულებები□
ბათუმის და ფოთის ნავსადგურების საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

1908 წლის 30 დეკემბერს ბათუმში მოღვაწე რუსმა ინჟინერმა დიმიტრი სვიშჩევსკიმ ბათუმის თვითმმართველობას გადასცა სტატისტიკური მასალა, სადაც მოცემულია ბათუმისა და ფოთის პორტების საქმიანობის შედარებითი ანალიზი. მასში საუბარია რუსეთის საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების უმნიშვნელოვანეს როლზე. რუსი ინჟინერის დიმიტრი დიმიტრისძე სვიშჩევსკის ბათუმში მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროფესორი თეიმურაზ კომახიძე წიგნში „ბათუმის ამაგდარნი"

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის საერთაშორისო სავაჭრო მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მსოფლიო სტანდარტების დონეზე მშენებლობა და მისი ტექნიკური აღჭურვა.

ამიერკავკასიაში სავაჭრო საქმის განვითარება მოითხოვდა შავ ზღვაზე არა მხოლოდ ორი, არამედ რამოდენიმე სავაჭრო ნავსადგურის არსებობას.

დიმიტრი სვიშჩევსკი საჭიროდ არ თელიდა რამოდენიმე ნავსადგურზე ათეული მილიონი მანეთის ხარჯვას. რუსი ინჟინერი ბათუმისა და ფოთის პორტებს შორის არჩევანს აკეთებს და უპირატესობას ანიჭებს ბათუმს. ფოთის ნავსადგური კი მისი აზრით გათვალისწინებული იყო საკაბოტაჟო მომსახურებისათვის

დიმიტრი სვიშჩევსკისაგან განსხვავებით ზოგიერთი ხაზს უსვამდა ფოთის ნავსადგურის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას და ამასთან

ეროვნულ ასახელებდნენ შემდეგ არგუმენტებს 1. ბათუმთან შედარებით ფოთის ნავსადგური რკინიგზით 38 ვერსზე ახლოს იყო სამომხმარებლო და საწარმოო ბაზებთან. 2. ფოთი მდებარეობს ნაყოფიერი რიონის დაბლობზე, ასევე ნაოსნობისთვის ხელსაყრელ მდინარეებზე. 3. ყოველწლიურად ფოთთან შედარებით ბათუმში ნავთობპროდუქტების გადაზიდვა 50 000. მანეთით ძვირადღირებული იყო 4. ფოთის ნაყმისადგომი უფრო ფართო და ტექნიკურად უკეთ აღჭურვილი იყო. (აჭარის არ სახელმწიფო არქივი ფონდი ი-6 ანაწ.1, საქმე 606, გვ.3)

რუსი ინჟინერი ნავსადგურების შედარებისას უპირატესობას ანიჭებს ბუნებრივ, ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ტვიროის მრავალსახეობას და მის რაოდენობას.

იგი მთავარ პრობლემად თელის რეგიონის ეკონომიკურ აღორძინებას და ამ საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საპორტო სავაჭრო საქმიანობას. დიმიტრი სვიშჩევსკი ასკვნის, რომ ერთი და იგივე არ არის, გაყიდი ათას ფუთ ქვას თუ ათას ფუთ აბრეშუმს.

რუსი სამხედრო ინჟინერის სტატისტიკური მასალის მიხედვით ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობაში ბათუმს მინიჭებული ჰქონდა გადამწყვეტი როლი.

ტვირთის მრავალსახეობით, ტვირთბრუნვითა თუ ფასეული ექსპორტით (თუ არ ჩავთვლით მარგანეცსა და სიმინდს) ბათუმს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში ვაჭრობის განვითარების საქმეში.

ბათუმიდან გაანუსომელი რაოდენობით გადიოდა ნავთობპროდუქტები. ბათუმის პორტიდან ძირითადად გადიოდა რუსული საქონელი. 1907 წელს ბათუმიდან გაზიდეს ნავთობპროდუქტები 20. 534. 199. მან. ღირე-

ბულების. 561. 020. მან. ღირებულების პური და ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტები. ქაღლის და წაბლის ხის მასალა 639. 383. მან. თესლეული 678. 876. მან. ტყავის ნაწარმი 74. 252. მან. აბრეშუმის ქსოვილები 4. 643. 202, აბრეშუმის ნაწარმი 827. 354. მან. შალეული 1. 327. 493. მან. მარგანეცი 457. 098. მან. სპილენძი 224. 846. მან. შალეულის ნოხები 1. 349. 487. მან. ლითონი 731. 230. მან. ამ წელს ბათუმიდან სულ გაიცა სხვადასხვა სახეობის საქონელი. 32. 855. 032. მანეთის ღირებულების (აჭარის არ სახელმწიფო არქივი ფონდი ი-6 ანაწ. 1, საქმე 606. გვ. 5.)

ბათუმიდან გაჰქონდათ კავკასიიდან გასატანი საქონლის დიდი რაოდენობა. ფოთ'სე რჩებოდა მხოლოდ მარგანეცი და ამის ნაწილიც ბათუმიდან გადიოდა.

1906 წელს ფოთიდან საზღვარგარეთ გაიცა 29. 662. 000. ფუთი საქონელი 6. 250. 243. მან. ღირებულების, სოლო ბათუმიდან კი 33. 518. 000. ფუთი საქონელი 30. 017. 390. მან. ღირებულების

(აჭარის არ სახელმწიფო არქივი ფონდი ი-6 ანაწ 1, საქმე 606. გვ. 6.)

ტრანზიტმა და მთლიანმა ტვირთბრუნვამ საგარეო ვაჭრობაში შეადგინა ფოთის გავლით: 29. 832. 098. ფუთი საქონელი 6. 442. 649. მან. ბათუმის გავლით: 35. 357. 620. ფუთი საქონელი 47. 494. 935. მან.

1906 წელს საბაჟო შემოსავლებმა შეადგინა ფოთიდან 60. 876. მან. ბათუმიდან 1. 581. 886. მან. (აჭარის არ სახელმწიფო არქივი ფონდი ი-6 ანაწ 1, საქმე 606 გვ. 7)

ბათუმის ნავსადგურში ტვირთბრუნვის შემცირება იწვევდა ამიერკავკასიაში საქონლის ექსპორტ – იმპორტის შემცირებას. ზოგიერთი სახეობის საქონელი, როგორიცაა აბრეშუმი, შალეული გადიოდა მხოლოდ ბათუმიდან.

რუსი ინჟინერი სვიშჩევსკი იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში ჭოროხის დაბლობს მიეცემოდა დიდი მნიშვნელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დიმიტრი სვიშჩევსკი რუსეთის ხელისუფლებას სთხოვს ბათუმის ნავსადგურის გაფართოებას და თანამედროვე დონეზე მის ტექნიკურ აღჭურვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის არ სახელმწიფო არქივი ფონდი ი-6 ანაწ 1. საქმე 606.

2. თეიმურაზ კომახიძე ბათუმის ამაგდარნი ბათუმი 1993

Merab Megrelishvili
Batumi Shota Rustaveli State University

Resume

The international importance of the Batumi and Foti ports by the end of the 19th century and the beginning of the 20th century

This article, on the basis of the archive materials, including the statistic materials collected by the Russian engineer Svischevski, analyses the international importance of the Batumi and Foti ports by the end of the 19th century and the beginning of the 20th century. It is shown the imperial policy of the Russian Empire in the Black Sea region.

ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში საერთაშორისო კონფერენციის მასალები
ბათუმი 2010

XIX –XX დასაწყისში ბათუმის საბირჟო საზოგადოების საქმიანობის შესახებ

ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების ეპოქაში. ამიტომ მისთვის უცხო არ არის ბურჟუაზიული ეპოქის საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციები. ამ მხრივ საყურადღებოა ბათუმის საბირჟო საზოგადოება. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ არის.

ვიდრე საკვლევ საკითხზე გადავიდოდეთ, ვფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება, მოკლედ მიმოვიხილოთ ბირჟების წარმოშობის და საქმიანობის ზოგადი ისტორია.

პირველი ბირჟები ძირითადად სასაქონლო იყო და დაკავებულნი იყვნენ ყიდვა-გაყიდვით. ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებასთან ერთად მათი ფუნქციები გაიზარდა, ისინი სხვადასხვა სახის იყვნენ და იძლეოდნენ სწრაფ ინფორმაციას საქონლის ფასებთან დაკავშირებით, რითაც ვაჭრებს ხელს უწყობდნენ დროულად ეწარმოებინათ სავაჭრო ოპერაციები. დროთა განმავლობაში ბირჟა სავაჭრო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და მას გარკვეული კავშირები ჰქონდა სამრეწველო ორგანიზაციებთან.

ცნება ბირჟა წარმოიშვა ახალლათინური სიტყვიდან bursa, რაც ნიშნავს ტყავის ქისას. ბირჟა პირველად ჩნდება საგუარეულო სახლთან (იტალია) XIII-XVI საუკუნის ევროპულ ქვეყნებში იგი აღნიშნავდა შენობას, სადაც იკრიბებოდნენ ვაჭრები და ამ საქმესთან დაკავშირებული პირები (მაკლერი-შუამავალი), რომლებიც აწარმოებდნენ სავაჭრო გარიგებას ან მოლაპარაკებას. სავაჭრო სახლის გერბზე

გამოსახული იყო სამი ქისა. XVI საუკუნიდან ნიდერლანდებში ჩნდება თანამედროვე ტიპის ბირჟები, რომლის მსგავსი ძველ რომშიც იყო ეგრეთ წოდებული Gollegia mecratorum. (Брокгауз.Ф.А. П 1891.Стр.879-882.) საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვაჭრები ბირჟიდან სწრაფად ღებულობდნენ საჭირო ინფორმაციას მსოფლიო მას'შტაბით საქონლის ტვირთბრუნვასთან დაკავშირებით.

საბირჟო ორგანიზაციის ერთერთ კატეგორიას შეადგენდნენ საბირჟო საზოგადოების წევრები, რომელნიც ხელისუფლების მიერ კანონიერად იყვნენ აღიარებულნი და რომელთაც უფლება ჰქონდათ აერჩიათ მისი წრიდან ადმინისტრაციული და აღმასრულებელი ორგანოები.მეორე კატეგორიას შეადგენდა საბირჟო ბიურო და კომიტეტი, რომელსაც ირჩევდნენ საბირჟო საეაჭრო პირები და მაკლერები და ამტკიცებდა ხელისუფლება. საბირჟო კომიტეტი შედგებოდა თავმჯდომარისა და სამი წევრისაგან. საბირჟო კომიტეტს აღმასრულებელი და გამანაწილებელი ფუნქციები გააჩნდა და იგი ანგარიშვალდებული იყო საბირჟო საზოგადოების წინაშე. საბირჟო კომიტეტები საეაჭრო და მანუფაქტურის დეპარტამენტის უწყებაში შედიოდა. იგი ძირითადად შემოსული ჯარიმების და მოგების თანხის საფუძველზე არსებობდა.

ბირჟის გარიგების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს გემების ფრახტირება. რუსეთში საბირჟო საზოგადოებები იქმნება ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს. 1830-1840 წლებში რუსეთი ხსნის ბირჟებს საეაჭრო ცენტრებში, კერძოდ 1834 წელი კრემენჩუგი, 1864 წ. კიევი, 1866 წ. რიგა, 1872 წ. ვარშავა. 1886 წ. ბაქო. 1848 წელს რუსეთი საეაჭრო ბირჟას ქმნის ოდესაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმში რუსული მართველობის დამყარებას თან მოყვა საბირჟო საქმიანობის დამკვიდრება. რუსეთში ბირჟები არსებობდა სპეციალური წესდების საფუძველზე,რომელიც საბირჟო საზოგადოებას ავტონომიას ანიჭებდა. რუსული ბირჟის მმართველ ორგანოს წარმოადგენდა საბირჟო კრება და საბირჟო კომიტეტი. ამ პერიოდში საბირჟო კომიტეტი არსებობდა ბათუმშიც. (Гранать А.И. том V Москва 1891г..стр 578)

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმში სასღეაო ყაჭრობისა და სამიმოსვლო მოძრაობის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ. ინგლისის ელჩი ბათუმში დ.პალგრეივი 1872 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ოცი წლის წინათ ქალაქი ბათუმი იყო პატარა დაბა, ხოლო შავ ზღვაზე რუსეთის სანაოსნო საზოგადოების დაარსების წყალობით მან მოიპოვა სავაჭრო მნიშვნელობა.

1867-1868 წელს რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემების მიმოსვლა ბათუმში შემდეგ სურათს იძლეოდა:

საიდან შემოვიდა	წარ მიმართულება	გემების რიცხვი
კონსტანტინეპოლიდან	კონსტანტინეპოლში	52
ოდესიდან ქერჩის გაყლით	ოდესაში ქერჩის გაყლით	26
ფოთიდან (პატარა გემი)	ფოთში	104
სულ		182

გადაზიდვის მთავარი საგანი იყო ხე-ტყე და მარცვალი 1878 წლის ოქტომბრიდან 1879 წლის პირველ იანვრამდე საზღვარგარეთისა და რუსეთის ნავსადგურებიდან ბათუმში შემოტანილი იყო 226.582 მან.

50კაპ.საქონელი ხოლო საზღვარგარეთისა და რუსეთის ნავსადგურებში ბათუმიდან გატანილი იქნა 91.428 მანეთის საქონელი.

1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოება აერთიანებდა 74 წევრს. იგი გაერთიანებული იყო სამხრეთ-რუსეთის ვაჭართა და მრეწველთა კავშირში, რომლის რეზიდენციას წარმოადგენდა ქალაქი ოდესა. ბათუმის საბირჟო საზოგადოება ადგენდა სტატისტიკურ მონაცემებს ბათუმის პორტში არსებული ტვირთბრუნვის შესახებ. ამ პერიოდში საბირჟო საზოგადოების თავმჯდომარე იყო მიხეილ ნაკაშიძე, მდივანი კი ივანე მესხი.

ბათუმის საბირჟო საზოგადოება დიდ მზრუნველობას იჩენდა ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის განვითარებისთვის, რის შესახებაც აღნიშნულია საბირჟო საზოგადოების საქმიანობის ანგარიშში, კერძოდ მასში ჩამოთვლილი იყო უახლოეს პერიოდში ჩასატარებელი ღონისძიებები: პორტში ნავმისადგომი ხაზის გაღრმავება, სანაპიროს კეთილმოწყობა, საბუქსირე ორთქმავლის შეძენა და სხვა (აცსა, ფ. ი-81, ან, 1, ს. 2, ფ. 10)

1907 წლის 7 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობა რუსეთ–ბელგიის მეტალურგიულ საზოგადოებას აცნობებდა, რომ რუსეთის მეტალურგიული ქარხნები საჭიროებენ ჭიათურის მარგანეცს. ფოთიდან ყოველწლიურად უცხოეთში გადიოდა 4–5 მლნ. ფუთი მარგანეცი. შემდეგ წლებში იგი 8 მლნ–დე გაიზარდა. ამ პერიოდში ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ გაამარტივა ბათუმის პორტიდან ქართული მარგანეცის რუსეთის საწარმოებისთვის გაგზავნის ოპერაციები, კერძოდ გაათანაბრეს ფოთისა და ბათუმის პორტიდან რუსეთის იმპერიაში ქართული მარ-

განეცის გაგზავნის ტარიფები და ეს კეთდებოდა, იმ მიზნით, რომ ბათუმის პორტს შეექმნოდა ყველა პირობა მარგანეცით ვაჭრობისთვის (აცსა, ფ. ი-6, ან, 1, ს. 593, ფ. 18)

ტარიფების გათანაბრებით რუსეთის საწარმოებს უბრუნდებოდათ ფრახტის ნაწილი (ფრახტა–გერმ. ფრაცჰტ-გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური). ვაგონზე განსხვაება იძლეოდა სამ მანეთს, ეს კი რუსეთის საწარმოებს დიდ მოგებას აძლევდა.

ბათუმის საბირჟო საზოგადოებას ტვირთგადაზიდვაში კონკურენციას უწევდა ნოვოროსიისკის საზოგადოება, რომელიც წმინდა კომერციული ინტერესების თვალსაზრისით რუსეთის საწარმოების ავტორიტეტს ზრდიდა, რითაც ქართული მარგანეცის ფასი ეცემოდა. 1907 წლის 22 დეკემბერს ნოვოროსიისკის საბირჟო საწარმო საზოგადოება ბათუმის ქალაქის თავს სწერდა: „უკანასკნელ ხანებში ნიკოპოლსკის რაიონი იძლევა კავკასიურის მსგავსი ხარისხის მარგანეს, მაგრამ შეუდარებლად იაფს მასთან შედარებით; ამიტომ ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ სამხრეთ-რუსული ქარხნები დაუბრუნდებიან კავკასიური მარგანეცის მადნის შეძენას" (აცსა, ფ. ი-81, ან, 1, ს. 2, ფ. 20)

1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოების მონაცემებით, ბათუმის პორტიდან უცხოეთში გაუტანიათ მარავალფეროვანი პროდუქცია: ნავთი, წასაცხები ზეთები, მარგანეცი, სიმინდი, აბრეშუმის პარკი, ქსოვილები, ხალიჩები, მატყლი, კაკლის ხე, ძირტკბილა, ბრინჯი, ხილეულობა და სხვა საქონელი, რომელთა ღირებულებამ სულ შეადგინა 43 668 426 რუბლი (აცსა, ფ. ი-81, ან, 1, ს. 2, ფ. 38)

იმავე 1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ აღწერა დასაველეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ბა-

თუმის პორტში შემოტანილი საქონლის ძირითადი სახეები: რკინა, და საერთოდ ლითონის ნაწარმი, გოგირდი, სალებავები, ყავა, მარმარილო, ცემენტი. სადურგლო და სხვა სახის ნაწარმი (იქვე, ფ.43.)

ამრიგად ზემოთ მოტანილი საარქივო მასალა ნათლად წარმოაჩენს ბათუმის საბირჟო საზოგადოების საქმიანობას ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის განვითარებისთვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის არ არქივი ფონდი ი-81. აღწ1.საქმე2
2. აჭარის არ არქივი ფონდი ი-6. აღწ.1,საქმე593.
3. რ. უზუნაძე: „ნაოსნობა ბათუმის ოლქში“. ბათ. 2001
4. Брокгауз.Ф.А. Энциклопедия томIII П 1891
5. Гранать А.И. Энциклопедия том V М 1891 г.
6. მარქსი. კ. ფ. ენგელსი ტომი 9.
7. მ.სულეიმანოვი „აჭარა კაპიტალისტური განვითარების გზაზე 1878-1900 წწ. ბათუმი 1956

ბათუმი
„წარსული და თანამედროვეობა“
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები
ბათუმი 2010 წლის 30-31 ოქტომბერი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ისტორიიდან (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალების მიხედვით)

საქართველოს სახელმწიფო სანაოსნო შეიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო ფლოტის სამინისტროს 1967 წლის 20 იანვრის № 13 ბრძანების საფუძველზე, რომლის ჩამოყალიბებას წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მისი შექმნა ბევრმა მიზეზმა განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში შავი ზღვის სახელმწიფო ფლოტი ნოვოროსისკის რეგიონის სამგზავრო და საეჯრო გემების მიმოსვლის ცენტრს წარმოადგენდა და გადასაზიდი სამუშაოებით ძლიერ გადატვირთული იყო. მისი განტვირთის მიზნით აუცილებელი გახდა სანაოსნოს შექმნა. ამასთან ერთად საზღვაო ფლოტის სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პორტებში განსაკუთრებით გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა, საქართველოს პორტების გაელით ტვირთი იგზავნებოდა მსოფლიოს ყველა მიმართულებით. საქართველოს სახელმწიფო სანაოსნოს შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მგზავრების და ტვირთის გადაყვანა-გადაზიდვის პრობლემური საკითხების ოპერატიულად მოგვარება-გადაწყვეტის აუცილებლობა. უძველესი დროიდანვე საქართველოში არსებობდა ნაოსნობის საუკეთესო ტრადიციები. ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მეცნიერ-მკვლევარებმა ა. ბერაძემ, რ. უსუნაძემ, ტ. ჭანტურიამ, რ. ბერიძემ, ქ. ნაკაშიძემ და სხვებმა. ახალშექმნილი სანაოსნოს ხელმძღვანელების წინაშე დადგა ნაოსნობის უძველესი ტრადიციების აღორძინება-განვითარების და

საზღვაო ფლოტის მუშაკების აღსრდა-განვითარების საკითხი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო უშუალოდ ექვემდებარებოდა სსრკ საზღვაო ფლოტს, ხოლო მის მთავარ რეზიდენციას ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილებით სანაოსნოს გადაეცა ბათუმში, ი. გოგებაშვილის ქუჩა №40-თან არსებული შენობა და 1,4 ჰექტარი მიწის ფართი, რომელიც ადრე თევზის მეურნეობას („წითელი მეთევზე") ეკუთვნოდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელი მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შრომის ანაზღაურების მისედვით მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს. ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტებს ერთი სატელეფონო არხი და დამატებითი 100 სატელეფონო ნომერი გამოუყვეს, სანაოსნოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობათა სარესტავრაციოდ მთავრობამ 50 ათასი მანეთი გამოყო, სანაოსნო ახალი ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მადგილის გ. ჩაგოვაძის ინიციატივით, პროფტექნიკური განათლების ორგანიზების მიზნით 1967-68 სასწავლო წლიდან ბათუმში, ფოთსა და სოხუმში საზღვაო პროფესიების შემსწავლელი სასწავლებლები იხსნება (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, საქმე 3, ფ. 1-2.) ხოლო ფოთში კი სასწავლო-საკურსო კომბინატი (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, ფ. 47.)

სსრკ საზღვაო ფლოტის 1967 წლის 24 ივნისის ბრძანება №123 საფუძველზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გადაეცა გემები: „აქსაი" (ტვირთზიდვა 3800ტ) „ალაგირი", „აქტაშ", „ანაპა", „ალექსეევკა", „აქტაუ", „კიროვი", „კლაიპედა", „იზიასლავი",

„მაიკოპი". გემების გადაცემა ნოვოროსიისკის და საქართველოს საზღვაო სანაოსნოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. 1967-1968 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაქვემდებარებაში იყო სხვა გემებიც: „ფოთი", „თბილისი", „26 კომისარი". მცირე კაბოტაჟი ძირითადად მიემართებოდა ბათუმი-ოდესის და ბათუმი-ჟდანოვის მიმართულებით, ხოლო დიდი ნაოსნობის ფლოტი კი პატაგონ-შელფი-ოდესის, სევასტოპოლ-ფეოდოსია-მონტევიდეოს, პატაგონ-შელფი-ბათუმის, კალიფორნია-პატაგონ-შელფის რეგიონების მიმართულებით. ამავე პერიოდში საზღვარგარეთ რეისები ფიქსირდებოდა ბათუმი-ისლანდიის, ტუაფსე-კანაკრიის, ფეოდოსია-ანტვერპენის, ბუენოს-აირესი-ილიჩოვსკის, კონსტანცა-პამბერგ-რიტერდამის მიმართულებით. 1967-1968 წელს სულ გატანილი იქნა 75645 ტონა ტვირთი, რომელმაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მისცა სუფთა მოგება ვალუტაში 159503 მანეთი. (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, საქმე 33 ფ. 136)

1967 წელს ფოთის პორტმა 2860 ტონა ტვირთი გადაამუშავა. მათ შორის: 1. პურეული 261 (მარცვალი 240); 2. შაქარი- 60 (შაქრის ნედლეული 50); 3. ბამბა-65 4. ლითონები- 280 5. მადანი-1406; 6. ქვანახშირი-610 7. სამშენებლო მასალა-125 8. ქიმიური ტვირთი-15 9. გენერალური ტვირთები-36.

1966 წლიდან 1970 წლამდე ფოთის პორტში ერთიორად გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა.

ბათუმის საზღვაო პორტის უფროსის ბორის ანთიმოსის ძე ლიომთაძის ანგარიშში (პორტის მიერ 1966-1970 გაწეული მუშაობის შესახებ) ნათლად ჩანს როგორც საექსპორტო-საიმპორტო საქონლის ხრდის

მაჩვენებლები, ასევე ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდა. ანალოგიური მდგომარეობა ჩანს სოხუმის პორტის უფროსის რ. ეშბას მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში.

1967 წლის 29 აპრილს, საქართველოს სახღვაო სანაოსნოს მმართველის ა. კაჭარავას მიერ გამოცემული №78 ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პორტის ფლოტის ეფექტურ გამოყენებას, პორტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოესი მიღწევების დანერგვას, მოქმედი მოწყობილობების მოდერნიზაციას, პორტის ფლოტში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, საქმე 4 ფ. 61-62)

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ანატოლი კაჭარავას 1967 წლის 31 მარტის №34 ბრძანებით სანაოსნოს ხელმძღვანელებს შორის უფლება-მოვალეობები შემდეგი სახით გადანაწილდა: სანაოსნოს უფროსი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სანაოსნოსთან არსებულ საბჭოს, ასევე სამხედრო-სამობილიზაციო, იურიდიულ, საფინანსო განყოფილებებს, მთავარ სახღვაო სააგენტოს „ინფლოტი", სათაო კანტორას „სახღვაო-საეაჭრო ტრანსპორტი". მისი მადგილე სახღვაო პორტების მშენებლობის დარგში იყო ბ.ა. ლომთაძე რომლის უშუალო დაქვემდებარებაში იყო პორტის დაცვისთვის განკუთვნილი, სამხედრო დანიშნულების რახმი „ X ", იგი ასევე აკონტროლებდა ჰიდრომოწყობილობებს, კაპიტალურ რემონტს, საწარმოო ნაგებობების გამაროულ მუშაობას, საზღვაო საგენტოს „ტრანსფლოტი", პორტში არსებული სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას.

საქართველოს სახღვაო სანაოსნოს მოადგილე

ფლოტის ტვირთბრუნვის და გადაზიდვების დარგში ა. ნაგნიბედი კურირებდა კომერციულ განყოფილებას, სამხედრო-თავდაცვის შტაბს, სატრანსპორტო ფლოტის გეგმიურ და ორგანიზაციულ მუშაობას.

სანაოსნოს მთავარი ინჟინერი განაგებდა მეურნეობას, კავშირგაბმულობას, ელექტრო-რადიო ნავიგაციას, რადიო ცენტრს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის სამსახურს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს, თბოტექნიკას, გემთმშენებლობას და რემონტს, სანაოსნოს ტექნიკურ საბჭოს, ქიმიური ლაბორატორიას, კონტროლს უწევდა მშრალი ტვირთების, ნავთობჩამოსასხმელი, ქვანახშირის, მადანის, სამგზავრო-სატრანსპორტო ფლოტის ტექნიკურ ექსპლუატაციას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ნაოსნობის დარგში ვ. ჩხაიძე ხელმძღვანელობდა ნაოსნობის სამსახურს, საბაზო ელექტრორადიოსანავიგაციო კამერას, პორტის კაპიტნებს და ლოცმანებს, კონტროლს უწევდა ყველა სახის სანაოსნო გემების უსაფრთხოებას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში ე.ა. ჩერნო, ხელმძღვანელობდა საგეგმო-ეკონომიკურ, საფინანსო-სავალუტო განყოფილებებს, ნორმატიულ კვლევით სადგურს, კორდინაციას უწევდა სანაოსნოს საბჭოს მუშაობას, რეფერირებას უწევდა საბჭოს მიერ გამოცემულ სადირექტივო მასალებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე საყოფაცხოვრებო დარგში დ.გ. რთველაძე ხელმძღვანელობდა სამეურნეო-ადმინისტრაციულ განყოფილებას, პასუხისგებელი იყო სანაოსნოს მიერ მიღებული ბრძანებების, დირექტივების შესრულებაზე, კურირებდა პორტთან არსებულ საბავშვო დაწესებულებებს, საკლუბო-სპორტულ

მუშაობას, პორტის საყოფაცხოვრებო და სანიტარულ პირობებს.

სანაოსნოს უფროსის მადგილე კადრების დარგში ე.ს. ვერესოცკი სელმძღვანელობდა საზღვარგარეთ მოცურავე მეზღვაურების საორგანიზაციო განყოფილებას, კონტროლს უწევდა სანაოსნოს გემებზე მომუშავე კადრების მუშაობას. (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, საქმე 4 ფ. 28-29-30)

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დიდი ყურადღებას აქცევდა საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების საქმეს. ამ მიზნით სანაოსნოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა სანაოსნოებთან. კადრების სამმართველოს 1967 წლის 25 აპრილის მონაცემებით 35 სპეციალისტიდან 15-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება, არასრული უმაღლესი-6, საშუალო სპეციალური-11, ზოგადი საშუალო-3. საზღვაო საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ შორეული ნაოსნობის კაპიტანი ა. კაჭარავა, მისი მოადგილე ბორის ლომთაძე, ასევე ვ. ჩხაიძე, ნ.გაიდაბური, ა. მაქსიმოვი, ე. ჩერნოვი და სხვები. ამათგან უმეტესი წლების განმავლობაში შორეული ნაოსნობის კაპიტნები და თანაშემწეები იყვნენ.

სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი ე.გ. გეგეჭკორი 20 წლის განმავლობაში იმყოფებოდა შორეულ ნაოსნობაში და ეკავა ჯერ ინჟინერ-მექანიკოსის, ხოლო შემდეგ შორეული ნაოსნობის კაპიტნის პირველი თანაშემწის თანამდებობა. გ. ვასაძეს, რომელიც კურირებას უწევდა საზღვარგარეთ ნაოსნობის ორგანიზების საქმეს, გააჩნდა შორეული ნაოსნობის კაპიტნის დიპლომი და 11 წლის განმავლობაში მუშაობდა საზღვაო ფლოტის სამინისტროს სისტემაში.

შრომითი გამოცდილების გაზიარების მიზნით სანაოსნოს სპეციალისტები იგზავნებოდნენ ნოვოროსისკის საზღვაო სანაოსნოში; სემინარები იმართებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბათუმის საზღვაო სასწავლებელი (ე.წ. „მორეხოტკა") სანაოსნოსთვის ამზადებდა სპეციალისტებს.

საექსპორტო-საიმპორტო საქონლის გადაზიდვების უსაფრთხოების მიზნით სანაოსნოს უფროსის 1967 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გასამხედროებული რაზმები ე.წ „X", (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, საქმე 4 ფ. 7-8)

1967 წლის 11 მაისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველმა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 მარტის და საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1964 წლის 24 მარტის ბრძანების საფუძველზე საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთათვის სატარებლად დააწესა ტანსაცმლის ფორმა.

ამ პერიოდისთვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალება: 1. სატრანსპორტო ფლოტი: სამგზავრო კატარღები „ზემოსუფსა" (2 ერთეული) „არკადია"(3 ერთეული) 2. მშრალი ტვირთის ბარჟები და პლაშკოუტები. 3. ბუქსირები (3ერთეული) და ა.შ. მისი სრული სურათი წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტებში.

1959-66 წლებში სოხუმის სამგზავრო ფლოტს ემსახურებოდა გემები: „სოხუმი", „ძიგუა", „ლაკობა", „კიახბა", „ეშბა", „ტყვარჩელი", „აფხაზეთის კომკავშირი", „გალი", „ოჩამჩირე", სატვირთო ფლოტს კი გემები:

„კოდორი", „გუმისმთა", „კელასური", „ბზიფი". სოხუმის საზღვაო პორტის სამმართველოს ხელმძღვანელობდა მ.ცექავა. (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, საქმე 30 ფ. 7)

ზემოდ წარმოდგენილი მცირე საარქივო დოკუმენტური მასალაც კი ნათლად წარმოაჩენს შორეული ნაოსნობის მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ 260 მილიონი ადამიანით მოსახლე მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ფულად მოგებას აძლევდა. ლეგენდად იქცა შორეული ნაოსნობის ქართველი კაპიტნების ა. კაჭარავას, ალ. ზენაიშვილის, ვ. მაქაცარიას, ვ. ჭანტურიას და სხვათა საგმირო საქმეები. საუბედუროდ დღეს აღარ არსებობს ქართველის ხელით დანგრეული საქართველოს საზღვაო სანაოსნო და დავიწყებას მიეცა ნაოსნობის ქართული ტრადიციები.

დამოწმებული საარქივო დოკუმენტები

1. აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ 1, საქმე 1, 2, 3, 4, 10, 27, 30, 33

2. გაზეთი „ბათუმელები", №37(108). 21-28 სექტემბერი, 2005 წელი.

Merab megrelishvili
Shota makharadze

FROM THE HISTORY OF GEORGIA SHIPPING

Summary

By Soviet Navy' s Ministry decree 13 of January 20, 1967 was established Geaorgia maritime navigation. li this period Black Sea navy fleet's Novorossiysk region was the center of travel and merchant ships, because of that it was overloaded by transported works. For this it became necessary to create new navigation. In addition ministry of navy fleet took into consideration this fact, that in this period in Georgia territory ports has increased export-import of goods. In article is presented documentary materials thet shows important of Georgia maritime navigation history.

საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები II
თბილისი 2012
სტატიის თანაავტორია
პროფესორი შოთა მახარაძე.

Банкирские дома и представительства банков в городе Батуми конца XIX начало XX веков

В конце XIX века и в начале XX века при русском правлении в городе Батуми были открыты как государственные, так и частно-коммерческие банкирскиедома.

Российское правительство по усмотрению министра финансов банкирское отделение открывала постепенно в тех городах где это признавали удобным. Кроме постоянных, открывались ещеи временные отделения на период ярмарки или лечебного сезона1. Город Батуми справедливо называли «Теплицей России» и «Окно в Европу» куда банкиры вкладывали денежный капитал.

Банкирские отделения города Батуми финансировали местную промышленность и экспорт нефти, что и способствовало торгово-экономического развития региона. Батумские земли распределены были по разряду I-II-III и этим признаком налаживали процент на земельный участок. Российское правительство награды отдавал тем жителям, которые свободно уступали собственные земли.

В 1900 году архитектор города Батуми А.Бенклянц составил земельный план в размере 1830,32 кв.саж.на улице нефтянный(Сегодня ул. Баку)N6,который был заарендован Киевским промышленным банком. В этот же период в Батуми на улице Набережная(сегодня ул. Я.Гогебашвили) N6 на 10 лет землю в размере 1810,10кв.саж. заарендовал русское товарищество «Нефть», который в основном занимался экспортом продукции. В Батуми земли имели также торговый дом «Анисимов и его компания» и многие другие2.

Одним из них было Батумское общество взаимного кредита, который расположен был на Ериставской улице (сегодня ул. Ген.Мазниашвили)в собственном доме. В основном общество было занято учетом векселей, а также ссуды под

залог: процент, бумаг, товаров, консаментов, покупки и продажи за свой и за счет третьих лиц, всякого рода государственных и частных процент бумаг и драгоценных металлов; переводы денег во все города России, вклады срочные,бессрочные и по текущий счет от членов общества и посторонных лиц, а также страхование выигрышных билетов. Председателем общества был назначен И.Шполянский, директорами А.И.Тогиджанов и князь Н.И. Накашидзе3. В 1803 году годовой денежный оборот Батумского общества взаимного кредита составил 18.676.345 руб.22коп., чистой прибыли 10.568.руб4.

В Батуми на Марийинском проспекте(сегодня прос. М.Абашидзе) в доме Быкова осуществлял свои банкирские работы Батумское отделение государственного банка, основанный в 1886 году. Отделение производило следующие операции: учет векселей и ссуды под товары: керосин и другие нефтянные продукты, шелковые коконы, марганец, табак,кукурузу,хлопок,покупал и продавал переводы, тратты и чеки на загрничные банки и выдавал на них же кредитивы. Управляющим банка был А. Жуковский.

Батумское отделение государственого банка по официальным данным в 1903 г. Январе имел доход 42.094.227.руб. 54 коп.; расход 42.225.772 руб. 36коп. Годовой денежный оборот достигал 84.320.049 руб.

Михайловский дворянский земельный банк в городе Кутаиси основан в 1876г. Он имел агенства в Батуми. Они занимались по примеру в залог Батумских имении и выдаче разных справок касающихся операции банка. Платежи заёмщиков сего банка принимались в Батумское отделение Южно-Русского промышленного банка. Управляющим банка был И. Хоштария. К 1 января 1885 склад капитал его имел =0,5 млн. Зап. 0,037 млн.

Тифлисский Дворянский земельный банк основан 28 мая 1874 года. Батумское отделение сего банка открыли 20 фев-

раля 1890г. для выдачи ссуд под залог недвижимой собственности. Основной капитал насчытывал в 80 тыс.руб. внесенные дворянами и 160 тыс. Руб. Высочаище дарованных на учреждение банка. К 1 январю 1885 г. Складоч. Капитал=0,3 млн; зап.0,045млн. Управляющими банковского отделения в Батуми был Павел Лукьянов и Мчедлов.

Тифлисский коммерческий банк,который был основан 24 января 1872 года (расположен на Ереванском площадесегодн. Руставели)имел свои отделения в городах Баку, Ереван,Батуми. Основной капитал банка составлял 2млн.руб.Запасный капитал 1 млн.руб. Нарицательная цена акции 200руб. В основном банк осуществлял следующие операции: учет русских и иностранных векселей и других торговых обязательств; ссуды под залог процентных бумаг; по коносаментам, накладным, свидетельствам (наррантам) товарных складов, квитанциям транспортных контор, железных дорог и пароходных обществ на неподлежащей легкой порче, товары, драгоценные металлы и ассигновки на золото, добытое на частных приисках, неподлежащих легкой порче товаров. Получение платежей по % бумагам и всякого рода денежных документов как в Тифлисе, так и в других городах, на ярмарках и пристанях в Империи и заграница. Производство платежей по векселям, акцентованным с платежом в банке, по векселям и переводам, трассированным на банке. Перевод денег во все места. Покупка и продажа за свой и за счет третьих лиц всякого рода государственных и частных % бумаг, драгоценных металлов в слитках и монет, трат и переводных векселей внутренных и заграничных. Продажа по поручению частных лиц, учреждении и торговых домов, товаров на комиссию. Открытие на коммиссию подписки на общественные заимы, на акции и облигации частных компании. Прием сумм на вклады; срочные, безсрочные и на текущий счет. Прием на хранение всякого рода % бумаг и всяких других ценностей. Выдачи переводов и аккредитивов на заграничные места и

все курорты. Управляющим банковским отделением был Михаил Худадов. Тифлисский коммерческий банк организовал экспорт нефти в городах: Лондон, Париж, Марсель, Лион, Антверпен, Неаполь.

Южно-русский промышленный банк который был основан в 1871г. (до 1897г. Под именем «Киевского промышленного банка») имел свои отделения в Баку, Батуми (основан в 1896г.),Житомир,Киев,Кишинев, Каменец-Подольск и в Одессе. Батумское отделение было расположено на углу Мариинском проспекте и Шереметевской улице в доме Иваняна. Южно-русский промышленный банк занимался экспортом Чиатурского марганца.

В этот период в Батуми также существовало отделение Российско-Китайского банка, который был основан в 1903г.; его годовой денежный оборот составлял 5.554.429 руб. 87 коп5.

В 1903 году годовой денежный оборот всех банков Батумского отделения составил 346млн.руб.

Таким образом в конце XIX началеXX вв. Банкирские дома и представительство банков в городе Батуми сыграли значительную роль в деле развития торгово-экономических отношении в регионе.

Литература

1.Энциклопедический словарь Ф.А.Брокгауз И.А. Ефрон СП.1801г.

2.Аджарский АР. Госуд архив; фонд И-6, дело 590.

3.Н.С. Державин «Очерки истории Батумского края. Батуми 1902г.»

4. Вл.Сичинава «Из истории Батуми» Батуми 1958г.

5. Научный сборник «Батуми-прошлое и современность» Батуми 2009 г.

Merab Megrelishvili

Bank Houses and Bank Offices in Batumi in 19th-20th Centuries

Summary

The article deals with the offices and agencies of Russian banks in the city of Batumi in 19th-29th centuries that played the most significant part in the development of trade-economic relations in the region.

историко-филологические изыскания VII
Санкт-Петербург 2012 Ватуми

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ბათუმში საზღვაო და სარკინიგზო გზების მშენებლობამ საქართველო დააკავშირა ევროპის დიდ სამრეწველო ცენტრებს. ბათუმით დაინტერესდნენ უცხოელი ინვესტორები.

1883 წელს ბათუმში ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააშენეს საექსპორტო ჯურჯლის პირველი ქარხანა. მათი დაწყებული საქმე 1886 წელს გააგრძელა როტშილდმა. ყოველდღიურად საექსპორტოდ მზადდებოდა 36. 000. ბალონი და 18. 000 კასრი1. ქარხანას გააჩნდა სპილენძის სადნობი ღუმელი, სამჭედლო ბრძმედები და 150-ზე მეტი მექანიკური დაზგა. ბათუმში ამ პერიოდში არსებული ათამდე ქარხანა მარაგდებოდა ტყიბულიდან შემოტანილი ქვანახშირით, ხოლო სპილენძის ნედლეულის დამუშავება იქვე ადგილზე სოფელ ერგეში ხდებოდა. 1890 წელს რობერტ რიხნერის მიერ. ერგეში დაარსებულმა სპილენძის საბადოებმა 1911 წლამდე იარსება2.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ბათუმი თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლების დროისათვის სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს, ხოლო 90- იანი წლების ბოლოს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად იქცა.

XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში მოღვაწე მეცნიერმა ნიკოლოზ დერჟავინმა ჩაისწავლა ბათუმში ამ პერიოდში არსებული საზღვაო - სანაოსნო და სამრეწველო სავაჭრო დაწესებულებები3.

1903 წელს აკადემიკოს ნიკოლოზ დერჟავინის მონაცემებით ბათუმში არსებობდა შემდეგი საზღვაო - სანაოსნო დაწესებულებები:

1. ბლერდ აჟენის ინგლისის საზღვაო სააგენტო, რომლის რეზიდენცია განთავსებული იყო სანაპიროს ქუჩაზე. 2. შუტცის და ციმერმანის - გერმანიის საზღვაო -სააგენტო, რეზიდენცია სანაპიროს ქუჩაზე. 3. „ნებაყოფილობითი ფლოტი" - ოფისი თბილისის ქუჩაზე. 4. „იმედი" - საზღვაო, სამდინარო, სახმელეთო გადაზიდვების პეტერბურგის სადაზღვევო კომპანია, რომელიც აწარმოებდა ტვირთის ტრანსპორ-

ტირებას და ცეცხლისაგან ქონების დაზღვევას. კომპანია დაარსდა 1847 წელს. მის ძირითად კაპიტალს შეადგენდა 1. 650. 000. მანეთი, ხოლო სამარაგო - სათადარიგო კაპიტალი კი 2. 664. 800. მან. საზღვაო სააგენტოს ხელმძღვანელობდა ლ. უ. პოდოლეცკი, მისი ოფისი განთავსებული იყო მარინის (დღევანდელი მემედ აბაშიძის) პროსპექტზე ბრომბერგის კლასიკური სტილით აშენებულ სახლში. 5. „მესაჟე-მარიტიმ" - საზღვაო სააგენტო, რეზიდენცია ქუთაისის ქუჩაზე, სახლი პარაჩას. 6. შავი ზღვა დუნაის სანაოსნო საზოგადოება. სააგენტოს კანტორას ხელმძღვანელობდნენ მ. ტოლე და დ. ტაიროვი. საზღვაო რეისები სრულდებოდა ბათუმსა და გალაცეას შორის, რიზეს, ტრაპიზონის , სულინას და ტულჩის გავლით. 7. „რუსეთის საზღვაო საზოგადოება" - სააგენტო მდებარეობდა ერისთავის ქუჩისა და მარინის პროსპექტის კვეთაში. სამგზავრო და სატვირთო გემები ბათუმიდან ოდესაში სწრაფი რეისით გადიოდა ოთხშაბათს და შაბათს საღამოს 10 საათზე. 8. „რუსეთის საზღვაო სავაჭრო საზოგადოება". სამგზავრო - საფოსტო გემები ბათუმიდან ოდესაში გადიოდა წრიული სახით 24 საათის განმავლობაში, ღამით სამშაბათს და ოთხშაბათს, ხოლო პირდაპირი რეისით დღის 12 საათზე. 9. „დ. ლ. ზილბერმეისტერი" - საზღვაო ტვირთის ტრანსპორტირებას აწარმოებდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან ერთად ასრულებდა საბაჟო ოპერაციებს და იცავდა სხვადასხვა ფირმის ინტერესებს. 10. „პაკე და კომპანია" - რეზიდენცია სანაპიროს ქუჩაზე, თევფიქ ბეგ - ბეჟანიძის სახლში.

1903 წლის ბათუმში საქმიანობას ეწეოდნენ შემდეგი სავაჭრო სახლები: 1. ა.მ. ვარშავსკის - ოფისი განთავსებული იყო მარინის პროსპექტზე მგელაძის სახლში. 2. ბრ. გოლდრიურეკის - ოფისი მარინის პროსპექტზე, სახლი ვოლფენზონის. 3. ო. ე. გილერცის რეზიდენცია საქართველოს ქუჩაზე, სახლი შელოვიცკის. 4. ვ. ლ. ლივენის ოფისი საზღვაოს ქუჩაზე, სახლი რინხერის. 5. ა. ა. მნაცაკანოვი - აწარმოებდა შალეულის, კაკლის ხის ექსპორტს. 6. ფ. ა. მატიევიჩი და კომპანია -ოფისი მარინის პროსპექტზე.

მსოფლიოს მასშტაბით ჩაის საბითუმო ვაჭრობას

აწარმოებდა ფირმა „ქარავანი ვოგაუს". მისი რეზიდენცია იყო შეპელევის ქუჩაზე, ძმები ოგანეზოვების სახლში.

სამწუხაროდ საქართველოს მიწა-წყალზე მოპოვებულ ჩაის პროდუქციას ასაღებდნენ რუსული ჩაის სახელითნ.

საკუთარი ჩაის პლანტაციებიდან წარმოებულ „რუსული ჩაის „ექსპორტს აწარმოებდნენ: 1. ბ. ა. ვუჩინო. მისი პროდუქცია იყიდებოდა მსოფლიოს ბაზრობებზე. 2. ბრ. პოპოვი ჩაის საკუთარი პლანტაცია გააჩნდა ბათუმთან ახლოს. 3. ა. ი. სტოიანოვი - ბათუმში გააჩნდა საკუთარი ჩაის პლანტაცია და საწყობი მაღაზიით. 4. ჩაქვის ჩაის საწყობი.

ბათუმში საზღვაო გზით ყიდვა გაყიდვის საგანს წარმოადგენდა კრამიტი. კრამიტით ვაჭრობას აწარმოებდა „ ი. ნ. ბრუნოს სავაჭრო სახლი „. იგი განთავსებული იყო სანაპიროს ქუჩაზე, სიმონიდის სახლში. მეწარმე უ. მარმო ბათუმში ვაჭრობდა მარსელის კრამიტით, სამშენებლო მასალებით, ყველა სახის რკინით, ცინკით, ცეცხლგამძლე მასალებით.

1903 წელს ბათუმში საქმიანობას ეწეოდა ვ. გ. კაპლანის თუჯჩამომსხმელი, მექანიკური და საქვაბე ქარხანა. მექანიკური ქარხნის ინჟინერი იყო ნ. ბ. პასეკი. ქარხანასთან არსებობდა სასოფლო - სამეურნეო იარაღების განყოფილება, რომელიც აწარმოებდა სხვადასხვა სისტემის გუთანს, ფუთი ღირდა 5 მან. და 50 კაპ. ასევე ბამბის და თივის საწნეხს, დაკვეთებს ღებულობდა როგორც ბათუმში, ისე თბილისში მიხაილოვის ქუჩაზე №116.

ბათუმიდან მარგანეცის ექსპორტს აწარმოებდა ბლერ დჟონი და ძმები ოგანეზოვები, ხოლო აბრეშუმითა და სიმინდით ვაჭრობდნენ რუბენ შაბანიანი და სპირიდონ ივიროპულო.

ბათუმში ნავთობის პროდუქციის ექსპორტს ემსახურებოდა კასპა შავი ზღვის სავაჭრო საზოგადოება. სააქციო ორგანიზაციის ძირითად კაპიტალს შეადგენდა 6 მლ. მანეთი. მისი მთავარი სამმართველო ბათუმში იყო, ხოლო განყოფილება კი ბაქოში. საზოგადოების მთავარი სააგენტოები გააჩნდა პარიზსა და კონსტანტინოპოლში. სამმართველოს ხელმძღვანელობდნენ დირექტორ - განმკარგულებელი მ. ი.

ეფრუსი, დირექტორები კ. ა. სკალკოვსკი, თავადი გ. ა. გრუზინსკი. ბაქოს განყოფილების უფროსი იყო ა. მ. ფეიგელი, მმართველი ა.ი. ვანშეიდკი, ტექგანყოფილების უფროსი მ. ლ. ბარდსკი, კანტორის უფროსი ე. გეინე. საზოგადოება აწარმოებდა ნავთობის გადამუშავებას და ჩამოსხმას სპეციალურ ბიდონებში.

1903 წელს ბათუმში მოქალაქე ე. მალლარს გააჩნდა მინერალური ზეთების, ნავთობის ნარჩენების, კასრების საწყობები.

ამავე დროს ბათუმში მსხვილ სააქციო საზოგადოების მეპატრონე იყო ა. ი. მანთაშევი და მისი კომპანია."მის ძირითად კაპიტალს შეადგენდა 22 მილ. მანეთი მთავარი სამმართველო არსებობდა ბაქოში, ხოლო განყოფილებები კი - ბათუმში, ვარშავაში, ცარიცინში, სარატოვში, კონსტანტინოპოლში, სალონიკაში, სმირნში, ლონდონში, ალექსანდრიაში, კაიროში, კალკუტაში, შანხაიში, საიდში, რომაეში. საზოგადოების მმართველ ელიტაში გაერთიანებულნი იყვნენ მ. ო. არამიანცი, უნანოვი, პომერი, ნეონოვი. ბათუმის განყოფილება რუსეთის იმპერიას ამარაგებდა ნავთობის პროდუქციით. საზოგადოებას გააჩნდა სპეციალური ჭურჭლის ჩამოსასხმელი ქარხანა და სარეზერვუარო სადგური, რომლის უფროსი იყო ს. ტარუმოვი.

1903 წლის ბათუმში სამრეწველო - სავაჭრო საქმიანობას აწარმოებდნენ შემდეგი ფირმები: 1. „ ნანოიანი და კომპანია „ - ოფისი სანაპიროს ქუჩაზე. 2. „ ძმები ნობელების ამხანაგობა = რეზიდენცია ბულვარის ქუჩაზე. 3. ს. ა. სიდერისი (ლორის მელიქოვის ქუჩა). 4. „ ხაჩატურიანი და კომპანია" (სანაპიროს ქუჩა). 5. ცოვიანოვი (სანაპიროს ქუჩა). 6. რუბენ შაბანიანი (შეპელევის ქუჩა). 7. „ შაბაევი და კომპანია " (მარინის პროსპექტი). 8. ბ. ი. შხიანცი - მას ეკუთვნოდა მინერალური ზეთების, ნავთის ჩამოსასხმელი სადგური.

სამხრეთ რუსეთის ქარხნებს ბათუმში გააჩნდა საკუთარი კანტორა „პორლლანდ" ცემენტის „ გასაყიდად. იგი განთავსებული იყო ასათიანის ქუჩაზე სიმეონიდის სახლში. მისი წარმომადგენლები იყვნენ რ. კ. ეგგერცი, ნ. ს. ფანდეევი, პ. ო. შპოლიანსკი.

ბათუმში არსებული თამბაქოს ფაბრიკა „ თამარა და საკუთარი მაღაზია ეკუთვნოდა ა. ლ. ლევბურგს. იგი განთავსებული იყო პეტერბურგისა და საზღვაო ქუჩების კუთხეში. ა. კასპარიანცის თამბაქოს მაღაზია „ ეკონოიმია „ მდებარეობდა სასტუმრო „ ფრანციასთან". ი. მ. კახიანს და ხ. ა. მარტიროსიანს თამბაქოს, სიგარებისა და პაპიროსების საუკეთესო ნაწარმი შემოჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

ამრიგად, ზემოთ წარმოჩენილი დოკუმენტური მასალა ნათლად ადასტურებს ბათუმის წამყვან როლს საქართველოს ეკონომიკური განვითარების საქმეში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1.ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორია". თბ. 1958

2.რ. უზუნაძე „ ნაოსნობა ბათუმის ოლქში". ბათ. 1993

3.ნ. ს. დერჟავინი „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან". ბათ. 1903

4.მ. სიორიძე „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან". ბათ. 2011

5. ვლ. სიჭინავა „ბათუმის ისტორიიდან". ბათ. 1960

თდასუ XVIII სამეცნიერო კონფერენციის შრომები
თბილისი 2011

□

ბათუმის ქრისტიანული ეკლესიები

XX საუკუნის დასაწყისში გურია-სამეგრელოს ეპარქიას ეკუთვნოდა ბათუმში არსებული ქრისტიანული ეკლესიები, რომლებსაც განაგებდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე. მისი რეზიდენცია იყო ქალაქ ფოთში. მას ექვემდებარებოდნენ ბათუმის ოლქის მღვდელმთავრები არსენ თოხაძე და კონსტანტინე ცანდეკოვი. ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა მართლმადიდებლური აღმსარებლობის შემდეგი ეკლესიები: ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1888 წლის 25 სექტემბერს.1 აღნიშნული ტაძარი ექვემდებარებოდა სამხედრო უწყებას. ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი სმიაგინი და მისი მოადგილე პოლკოვნიკი დრიაგინი. აღნიშნული ტაძრის დეკანოზი იყო ა.პ. რალცევიჩი. საალმშენებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ინჟინერი პ.ე. აპიშკოვი. ტაძარი განთავსებული იყო დღევანდელი სასტუმრო „ინტურისტის" ადგილას.

წმინდა მიხეილის სახელობის ტაძარი მდებარეობდა ყოფილი მარინის, დღევანდელი მემედ აბაშიძის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის კუთხეში. ეკვდერი აგებული იყო წმინდანების დაეითისა და კონსტანტინეს სახელზე. ტაძრის წინამძღვარი იყო ა. რალცევიჩი, სოლო მღვდლები ს.თოთიბაძე, ა.იევანიცკი, მთავარი დიაკონი ი.ნადირაძე, მამასახლისი ი.ს გედევანოვი.

სასაფლაოს წმინდა სამების ეკლესიის წინამძღვარი იყო მ.ჩხიკვაძე.

ღვთისმშობლის ეკლესია განთავსებული იყო ყოფილი სმეკალოვის და შეპელევის ქუჩების კუთხეში, დღევანდელი წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან. მისი წინამძღვარი იყო გრ.ხახუტოვი.

წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია განთავსებული იყო გორიდოკში, რომელიც სამხედრო უწყებას ექვემდებარებოდა, რაზედაც მიუთითებს მისი დამატებითი სახელწოდება „ბატალიონი". ეკლესიის წინამძღვარი იყო მღვდელი ა.ლუბომუდროვი.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ეპარქიაში მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნ.ს. დერჟავინი, რომელმაც შეისწავლა ბათუმში არსებული ქრისტიანული ეკლესიები.

წმინდა ბარბარეს კერძო ეკლესია არსებობდა სასაფლაოს ტერიტორიაზე. მთავარდიაკონი ისიდორე ნადირაძე.

ოჯახის მფარველი ეკლესია, განთავსებული ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში.

წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია, ყოფილი მიხაილოვის და ბერ[illegible]ს ქუჩების კუთხეში, დღევანდელი ფარნავაზის ქ-ია, წინამძღვარი კონსტანტინე ცანდეკოვი, მღვდელი ნიკოლოზ კონსტანტინიდი, მეფსალმუნე მღვდელი მათე მანოსი, მამასახლისი ა.დიმიტრიადი.2

სომეხ გრიგორიანების ეკლესია დაარსდა 1885 წელს. აჭარის ცაკის 1923 წლის 18 აპრილის დადგენილების საფუძველზე სომეხ გრიგორიანებს ჩამოართვეს ეკლესია და გადასცეს მეტყავეთა კავშირს. 1959 წლიდან ეკლესიის შენობაში განათავსეს პლანეტარიუმი. 1992 წელს სომეხ გრიგორიანებს

დაუბრუნეს ეკლესიის შენობა. დღეს ამ ეკლესიას მფარველობს საქველმოქმედო საზოგადოება „ვერაცნუნდ". ეკლესია მდებარეობს ყოფილი დონდუკო კორსაკოვის და ლორის მელიქოვის, დღევანდელი ნოე ჟორდანიას ქუჩაზე.3

სომხურ-კათოლიკური ეკლესია, დონდუკო კორსაკოვის და კათოლიკური ქუჩების კუთხე, დღევანდელი ჯახტანგ გორგასლის ქუჩა, წინამძღვარი ტერ გრიკორ პუჩინიანი.

1898 წლის 14 მარტს რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მორწმუნენი ბათუმის თვითმმართველობისაგან ითხოვდნენ მიწის ნაკვეთს ეკლესიის ასაშენებლად, კერძოდ კი ბათუმელი ვაჭარის ნიკოლოზ ანტონის-ძე საბაევის (მისი კუთვნილებას წარმოადგენს კ.გამსახურდიას ქუჩაზე არსებული ყოფილი პროკურატურის შენობა) მიერ არენდით გაცემულ მიწას, რომელიც მდებარეობდა ყოფილი თბილისის, გეორგიევსკის, კომაროვის ქუჩების კუთხეში, რაზედაც თვითმმართველობამ მისცა ნებართვა 1903 წელს ეკლესიის წინამძღვარი იყო პატრი ანსელმ მღებრიშვილი და მღვდელმსახური ა.ამირხანოვი.4

ევანგელიკურ-ლუთერანული სამლოცველო სახლი არსებობდა ყოფილი კომაროვის და ფეფელოვის ქუჩების კუთხეში, რომლის პატრი იყო ბერნგოფი.5

ბათუმის ეკლესიებთან არსებობდა სკოლები, კერძოდ, ბათუმის საეკლესიო სკოლა ყოფილი ახიზიეს, დღევანდელი თავისუფლების მოედანზე. საეკლესიო სკოლას განაგებდა დეკანოზი ა.არალცევიჩი. აღნიშნულ სკოლას ემსახურებოდნენ ცნობილი მასწავლებლები ნიკოლოზ ზალსკი და ეკატერინე ნაუმოვა.

ბათუმის ქალთა ბერძნული საეკლესიო სკოლის

გამგე იყო მღვდელი კონსტანტინე ცანდეკოვი, მასწავლებლები ნინა პეტრეს ასული ნაიტაკი და ელენე დერეკა.

სომხურ-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, არსებული კათოლიკის, დღევანდელი სტეფანე წუბალაშვილის ქუჩაზე. სკოლის გამგე იყო ტერ გრიგორ პუჩინიანი, მასწავლებლები ევგენია სოგოროვა და ს.კლადბიში.

ამრიგად ბათუმში XX საუკუნის დასაწყისში არსებული ქრისტიანული ეკლესიების რაოდენობა ნათლად მიგვანიშნებს მათ დანიშნულებასა და როლზე ქალაქის კულტურის განვითარების საქმეში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში" (დოკუმენტების კრებული) ბათ.2010;
2. ნ.ს. დერჟავინი „ბათუმის ოლქის ისტორიული ნარკვევი" ბათუმი 1902;
3. აცსა ფონდი რ-4 აღწ.1. საქმე 31;
4. აცსა ფონფი ი-6 აღწ.1 საქმე 177;

„ჩვენი სულიერების ბალავარი IV"
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები
თბილისი 2012

ბათუმის წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია

ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია მდებარეობს ფარნავაზის ქუჩა № 20-ში (ყოფილი ტელმანის ქუჩა).

დიმიტრი ბაქრაძე წიგნში: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში აღნიშნავს: ბათუმის წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია ახლახან აიგო რუსეთის ვიცე კონსულის ჯუდიჩის ოფიციალური ხარჯის წყალობით. დ. ბაქრაძემ აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს. ეკლესიის მარცხენა კედელზე არსებული წარწერა წმინდა ნიკოლოზის გამოსახულებით მიუთითებს, რომ ეკლესია აშენდა 1865 წელს. თავდაპირველად იგი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესია წარმოადგენს ქვის შენობას, გუმბათოვანს, ოვალური სარკმლებით და ქვის სამრეკლოთი(1).

ეკლესის კუთვნილებას შეადგენდა სოფელ ყოროლისთავში 1898 წელს აშენებული წმინდა პანტელეიმონის ქვის ეკლესია. ეკლესიასთან არსებობდა ერთკლასიანი ქალთა და ორკლასიანი მამაკაცთა სასწავლებელი.

XX საუკუნის 70-იან წლებში ეკლესიის კედლები ფრესკებით დაუმშვენებია მხატვარ სტეფანეს. XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო და მიმდინარეობს ეკლესიის რესტავრაცია. ფრესკები ძირითადად შეიქმნა ბიბლიურ თემებზე.

ეკლესიის კედლთან დამარხულნი არიან ექიმი ტიმოთე პერიკლეს ძე, ტრიანტაფილიდისი (1858-1908, ვიცე ადმირალი ალექსანდრე ივანეს ძე გრიოევ. იქვეა

უცნობი საფლავი, რომელსაც ეკლესიის მსახურნი ხუროთმოძღვარს მიაკუთვნებენ. განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებენ ეკლესიის წინამძღვარს ეფრემ ილიას ძე ეფრემიდის. 90 წელს მიტანებული ეკლესიის მსახური მარია ბელიჩენკო იგონებს: მხატვარი სტეფანე ილია მეორემ მოიყვანა. საქართველოს კათალიკოსის საპატიოცემულოდ სტეფანეს შეუქმნია მისი ორი პორტრეტი, რომელიც ეკლესია'ში ინახებოდა. ასევე აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი ქეთევან დედოფლის, თამარ მეფის, დაეით აღმაშენებლის, კონსტანტინეს, ვლადიმირის და სხვათა ისტორიული პორტრეტები. დღეს ეს ფრესკები აღარ არსებობს

განსაკუთრებული პატივი მიაგეს და ეკლესიის კედელთან დამარხეს, ექიმი ტიმოთე პერიკლეს ძე ტრიანტაფილიდისი, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქალაქის გაშენებაში. მისი პროექტით არის აშენებული ბარბარეს ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს არსებული თეთრი ქვის შენობა. ტიმოთე პერიკლეს ძე სწავლობდა ბათუმის კლიმატს. მას ეკუთვნის შრომები: „Малярийная астма" (1891) „Малярийная кашель и бронхит" (1891) „Нервоз и малярия" (1896) და ა.შ. მისი მეუღლე პირველი გინეკოლოგი ქალი იყო აჭარაში.

1932 წელს ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია დახურეს. ქალაქის საბჭოს 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე ეკლესიის ქონების აღწერისა და მისი სათანადო ორგანიზაციებზე გადაცემის მიზნით შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. ბათუმის საბჭოს საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი, იგივე ქალაქის ლომბარდის დირექტორი ევსტატე მიხეილის ძე სემიონიდი. 2. აჭარის ხელოვნების სამმართველოს წარ-

მომადგენელი – ილია სეფეროელაძე. 3. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკი დავით იუსტინეს ძე მამფორია (2) ხატები, წიგნები, საეკლესიო ინვენტარი, მღვდლის ტანისამოსი გადასცეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ტანსაცმლის ნაწილი გადასცეს აჭარის ხელოვნების სამმართველოსთან არსებულ ხალხური შემოქმედების კაბინეტს. ნაწილი ქონებისა გადაეცა ქ. ბათუმის საბავშვო ბაღებს და სახელმწიფო თეატრს. მთელი ფერადი ლითონი ჩაბარდა ფერადი ლითონების ტრესტის წარმომადგენელს. ხელნაწერი ფონდი გადაეცა სახელმწიფო არქივის სამმართველოს. ერთ-ერთ ყუთში არსებული მეფის დროინდელი ოქროს ხუთმანეთიანი გადაეცა სახბანკს.

ჩვენს მიერ აღწერილი და შესწავლილი იქნა ეკლესიაში 1992 წელს არსებული შემდეგი განძი:

1. ხატი „წმინდა ეიქტორია“ ოსტატი, ფ.დ. XIX ს. დასასრული ზეთი. მოვარაყებული ვერცხლით, ნაწილობრივ ოქროთი მორთული, გრავირებული. ზომა 30 35 სმ. წონა 350 გრ.

2. ღვთისმშობლის ხატი. XIX ს. დასასრული. ავტორი უცნობია. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული, მოოქროვილი, მთლიანად გრავირებული. ზომა 29 25 სმ. წონა 300გრ.

3. ხატი „ღვთიური სიხარული“ XIX ს. დასასრული. ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული, ნაწილობრივ მოოქროვილი, გრავირებული, საზიკოვის სახელოსნო.

4. ხატი „წმინდა პეტრე და პავლე“ XIX ს. დასარული. ოსტატი „მ.გ.“ ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული მოოქროვილი, მთლიანად გრავირებული. ზომა 29 35სმ. წონა 300 გრ.

5. ხატი „წმინდა ალექსანდრე ნეველი“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „ს.ს.“ ხეთი. ვერცხლით მოვარაყებული, ნაწილობრივ მოოქროვილი. გრავირებული. ზომა 42 37 სმ., წონა 400 გრ.

6. ხატი „წმინდა პანტელეიმონი“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „ტ.ნ.“. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული. ადგილებზე მოოქროვილი, გრავირებული. ზომა 46 42 სმ. წონა 400 გრ.

7. ხატი „ღვთიური ძალა“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „ა.ს.“. ხე. ზეთი ვერცხლით მოვარაყებული, ნაწილობრივ მოოქროვილი. ზომა 30 26 სმ. წონა 250 გრ.

8. ხატი „წმინდა დღესასწაულები“. ავტორი უცნობია. XIX ს. დასასრული. ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 51 47 სმ. წონა 500 გრ.

9. ხატი „ღვთისმშობელი“ ავტორი უცნობია. ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 28 31 სმ. წონა 410 გრ.

10. ხატი „წმინდა მიხეილი“ XIX ს. დასასრული. ვერცხლით მოვარაყებული. გრავირებული. ზომა 35 30 სმ. წონა 400 გრ.

11. ხატი „იესო ქრისტე“ 1798 წელი. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 29 24 სმ.

12. ხატი „ივერიის ღვთისმშობელი“ XIX ს. დასასრული. ხე. ტემპერა. მოვერცხლილი. გრავირებული. ზომა 22 20 სმ.წონა 150 გრ.

13. ხატი „ წმინდა ნიკოლოზი - სასწაულმოქმედი XIX ს. დასასრული ხე. ზეთი. მოვერცხლილი. გრავირებული. ზომა 47 38 სმ. წონა 500 გრ.

14. თასი დისკო. სახელოსნო „ა.რ.“ - ოსტატი „ე.ა.“ 1888 წელი. ვერცხლი. წონა 1385 გრ.

15. თასი დისკო. სახელოსნო „ა.კ. ოსტატი „ა.რ.“ 1895 წელი. ვერცხლი. წონა 1350 გრ.

16. თასი. სახელოსნო „ე.ფ.“ ოსტატი „რ.კ.“ ორთა-

ვიანი არწივის გამოსახულებით. 1861 წელი. ვერცხლი. სიმაღლე 26 სმ. წონა 860 გრ.

17. ჯვარი. ოსტატი „ე.ქ.“. 1890 წელი. ვერცხლი. ზომა 30 18 სმ. წონა 305 გრ.

18. ლამპადა. XIX ს. დასასრული. ემალი. 60 სმ.

19. ლამპადა. ავტორი უცნობია. XIX ს. დასასრული. ემალი., ფერი – თეთრი, ცისფერი, ლურჯი, წითელი.

20. ხატი. „ვლადიმირის ღვთისმშობელი“. 1874 წელი. ხე. ხეთი. „ვერცხლით მოვარაყებული. ოსტატი, „ნ.ს.“. სახელოსნო „ ა.ს.“-ის. ზომა 33 22 სმ. წონა 300 გრ.

21. ხატი „ყაზანის ღვთისმშობელი“. XIX ს. დასასრული. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 25 10.

22. ხატი „წმინდა ბარბარე“, ხე. ზეთი. ზომა 125 75.

23. ხატი „წმინდა გაბრიელი“. ზეთი. ზომა 55 13.

24. წმინდა ნინოს ხატი. ზეთი. ზომა 130 50

25. წმინდა გიორგის ხატი. ზეთი. ზომა 130 55

26. ხატი „იოანე ნათლისმცემელი“. ზეთი. ზომა 130 50.

27. ხატი „საიდუმლო სერობა“ ზეთი. ზომა 100 70.

28. „მახარობელი მათე“. ზეთი. ზომა 24სმ.

29. „მახარობელი მარკოზი“. ზეთი. ზომა 21 სმ.

30. „მახარობელი ლუკა“. ზეთი. ზომა. 24 სმ.

31. „მახარობელი იოანე“, ზეთი. ზომა 24 სმ.

32. ხატი „ იოანე ნათლისმცემელი“. XIX ს. ხე. ზეთი. მოოქროვილი. ზომა 31 26 სმ.

33. ხატი „ღვთისმშობლის გამოცხადება“ XIX ს. ხე. ზეთი ზომა 35 30.

34. ხატი „იერუსალიმში შესვლა“. XIXს. ზეთი.

35. ხატი „შიო მღვიმელი“. ხეთი. ზომა 55 32სმ.

36. ხატი „ღვთისმშობელი“. 1901წ. ხე. ზეთი. მოოქროვილი. ზომა 118 69.

37. წმინდა ნინოს ხატი. XIX ს. ხე. ზეთი. მოოქროვილი. ზომა 22 18.

38. „გოლგოთა„. ხე. ზეთი. ზომა 200 70.

39. ხატი „წმინდა იოანე“ სეთი. ხომა 88 44.
40. ხატი „დავით აღმაშენებელი“. სეთი. ხომა 50 40.
41. ხატი „დიდებული მეფე„. XIX ს. ტემპერა. ხომა 55 41.
42. ხატი „ნათლობა“. XIXს. ხე. ტემპერა.
43. საქართველოს პატრიარქის ილია მე-2-ის პორტრეტი. 2 ც. XXს.
44. სახარება XIX ს. მოვერცხლილი.
45. ბრინჯაოს ჯვრები, ქართული, ბერძნული და სლავური ენაზე.

ბოლოს მოგაწვდით ზოგიერთ ისტორიული ცნობას აჭარაში არსებული ქრისტიანული სალოცავების შესახებ. ფერისცვალების ეკლესია ახალშენში დაარსდა 1912 წელს. ეს იყო ქვის შენობა, ხის სამრეკლოთი. ეკლესიასთან არსებობდა ერთკლასიანი შერეული სახის სასწავლებელი. დაგვის ღვთისმშობლის ეკლესია აშენდა 1908 წელს. ქვის შენობა, ხის სამრეკლოთი. 1910 წელს ეკლესიასთან დაარსდა ერთკლასიანი მამაკაცთა, ხოლო 1911 წელს ქალთა სასწავლებელი. ეკლესია გურია-სამეგრელოს ეპარქიას ეკუთვნოდა.

წმინდა ელენეს და კონსტანტინეს სახელობის კვირიკეს ეკლესია აშენდა 1882 წელს. ქვის შენობა, ხის სამრეკლოთი. იგი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში. მიწები ეკლესიას არ გააჩნდა.

წმინდა გიორგის სახელობის აჭყვის ბერძნული ეკლესია აშენდა 1891 წელს. ქვის შენობა, სამრეკლოს გარეშე. ეკლესიას ემსახურებოდა ერთი მღვდელი და ერთი მედავითნე. ეკლესიასთან არსებობდა ერთკლასიანი სასწავლებელი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივი. ფონდი 54, აღწ. 1, საქმე 25, ფონდი 56, აღწ. 1, საქმე 5. ფონდი 60.აღწ 1, საქმე 1, ფონდი 689, აღწ. 1, საქმე 776.

2. დ. ბაქრაძე „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში". ბათუმი,1987

საისტორიო მაცნე
შრომების კრებული XVI–XVII
ბათუმი 2008

ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიიდან

ამასწინათ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე დაისვა კითხვა: იყო თუ არა დასანგრევი ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი? მიმაჩნია, რომ ტაძართან დაკავშირებით ყოველგვარი შეკითხვის დასმა ასეთი ფორმით არასწორია. ქალაქის ცენტრში, ზღვის სიერცით გარემოში არსებული ტაძარი გამოირჩეოდა არქიტექტურული სილამაზით. ამის შესახებ ბევრი დაიწერა. ხელოვნებათმცოდნეებმა მაღალი შეფასება მისცეს ყოფილ ტაძარს, რასაც გვიდასტურებს დღემდე შემორჩენილი ტაძრის ფოტოსურათები. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ტაძრის სახელით ბათუმში რუსიფიკატორული პოლიტიკა წარმოებდა.

1908 წლის 17 მარტს გამართულ ბათუმის სათათბიროს სხდომაზე დეპუტატმა სასულიერო სფეროდან ო.ცენდეკოვმა დასვა საკითხი ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის (სობორო) ეპარქიისათვის გადაცემის შესახებ მის წინააღმდეგ გამოვიდა საზოგადოების ეროი ნაწილი და მოითხოვა ტაძრის გადაცემას სამხედრო უწყებისთვის.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს „სობორო" შენდებოდა არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირთა მიერ. ბათუმის ტაძრისგან განსხვავებით თბილისის სამხედრო ტაძარი შეიძლება ყოფილიყო სამხედრო უწყების კუთვნილება, რადგან იგი აშენდა სამხედრო უწყების თანხებით.

ზემოთ აღნიშნულ სხდომაზე დეპუტატმა ლ. ქიქოძემ საკმაებით სამართლიანად აღნიშნა, რომ

ტაძარი აშენდა ქალაქის ცენტრში მრევლისთვის და დასვა საკითხი თუ რატომ ითხოვდნენ მოქალაქეებისგან იქ შესვლისთვის ქალაქის კომენდანტის ნებართვას. სხდომაზე კრანიცკიმ ყველა კითხვას გასცა პასუხი, როცა განაცხადა, რომ სამხედრო ტაძარი აშენდა ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთების აღსანიშნავად. (იხ აცსა ფონდი ი-7 ანაწ. 1 ს. 476 ფ. 10) სინამდვილეში ტაძრის მშენებლობა უკავშირდება 1888 წელს ბათუმში რუსეთის მეფის ალექსანდრე III-ის ვიზიტს. მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორის ბათუმში დახვედრისა და მიღების კომიტეტის თავმჯდომარე სტატს სოვეტნიკი გაურონსკი 1888 წლის 16 სექტემბერს იუწყებოდა, რომ კავკასიის მხარეში იმპერატორის სამოგზაურო მარშრუტის საფუძველზე მისი უდიდებულესობა დაესწრებოდა ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ. არსებულ მოედანზე ახალი ტაძრის საძირკველის ჩაყრას. (იხ აცსა „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში" (დოკუმენტების კრებული ფ.7)

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის მრჩეველს გავრონსკის აძლევს ბრძანებას, რომ ბათუმში რუსეთის იმპერატორის მაღალ დონეზე მიღება შეხვედრის მიზნით შედგეს ბათუმის საპატიო მოქალაქეებისა და უმაღლესი სამოქალაქო წოდების მქონე ადამიანების სია. ბათუმის საპატიო მოქალაქეებს შორის იყვნენ: ისმაილ ბეგ აბაშიძე, იბრაიმ ბეგ აბაშიძე, დიმიტრი გურგენიძე, ილია გვარამაძე, პაველ ჭყონია, ლეონიდე გრიგოლია, ლეონიდე ქიქოძე, ივანე ავალიანი, ყარამან მელაძე, სიმონ ყიფიანი, პეტრე ღლონტი, ნიკოლოზ ჩარუა. (იხ აცსა ფონდი ი-6 ანაწ. 1 ს. 9 ფ. 230)

რუსეთის იმპერატორის ბათუმში ჩამოსვლასთან

დაკავშირებით თვითმმართველობამ არქიტექტორ ცეზარეიჩის ხელმძღვანელობით შეადგინა ქალაქის გალამაზებისათვის საჭირო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ზღვისპირა პარკში შესასვლელი კარიბჭის, ბესეტკისა და მესრული ღობის მშენებლობას. (ის აცსა ფონდი ი-9 ანაწ. 1 ს. 17 ფ. 39)

ამავე დროს მოწესრიგდა და გალამაზდა ქუჩები, ბაღები, სკვერები, განსაკუთრებით ის გზები სადაც უნდა გაევლო მის აღმატებულებას. თვითმმართველობის სხდომაზე განიხილებოდა საკითხი რუსული წესისამებრ იმპერატორის დახვედრისათვის საჭირო პურისა და მარილისთვის განკუთვნილი სპეციალური ჭურჭლის დამზადების შესახებ. სპეციალურად დამზადდა იმპერატორის მეუღლისთვის განკუთვნილი ყვავილების ლარნაკი. იმპერატორის ჩამოსვლის დღეს ქუჩაზე გამავალი ყველა ფანჯარა უნდა ყოფილიყო განათებული.

მთავარი კითხვა მაინც იმაში მდგომარეობს თუ ტაძრის სახელით რა საქმიანობას ეწეოდნენ რუსი მოხელეები. დასმულ კითხვას სავსებით სამართლიანად პასუხობს აჭარის სახელმწიფო არქივის მიერ გამოცემულ დოკუმენტების კრებულში „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში" დაბეჭდილი 1914 წელს სამხედრო-სასულიერო პირთა ყრილობაზე დამტკიცებული სამოქმედო პროგრამა. მოცემული პროგრამის საფუძველზე შედგენილი იყო ინსტრუქცია, რომლითაც კონტროლირდებოდა მღვდელმსახურის ყოველი ნაბიჯი. ღვთისმსახურებას სამხედრო ტაძარში განსაკუთრებული ემოციური ზეგავლენა უნდა მოეხდინა მრეცლზე. მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას, საკლესიო ქადაგებას სამხედრო ყაზარმაში. პატრიოტული

სულისკვეთების ამაღლებისა და რუსული სამხედრო მუნდირის გაცნობის მიზნით რელიგიური ნიშნით უნდა წარმართულიყო რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის სწავლება. სამხედრო მესვეურთა მიერ მთელი რიგი ღონისძიებები იყო დასახული მღვდელმსახურთა გასაეროვანებლად სამხედრო ხელმძღვანელობასა და ოფიცერთა შემადგენლობასთან, რათა ეროვნებლივი მუშაობით აემაღლებინათ სამხედრო მოსამსახურეთა განათლება, რწმენა და ერთგულება რუსეთის მეფისა და სამშობლოსადმი. დრო და დრო იხვეწებოდა მოსახლეობაზე ზემოქმედების ფორმები და საშუალებები. ყოველდღიურად რუსი ოფიცრებისთვის იმართებოდა საღვთისმეტყველო კითხვა. ყოველივე ამას კი ემსახურებოდა ტაძართან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ამრიგად აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტური მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძართან არსებული სხვადასხვა სახის დაწესებულებები აშკარად ემსახურებოდნენ რუსული იარაღის დიდებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აცსა ფონდი ი-7 ანაწ. 1 ს. 476;
2. აცსა ფონდი ი-6 ანაწ. 1 ს. 9, ს. 17;
3. აცსა „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში" (დოკუმენტების კრებული) ბათუმი 2010;

ჟურნალი „არხეიონი"
ბათუმი 2011

რუსეთის სინოდის დამოკიდებულება გურია-სამეგრელოს ეპარქიის მიმართ და ბათუმის რელიგიური დაწესებულებები XIX-XX სს. მიჯნაზე

საქაროველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეპარქიათა რაოდენობა შემცირდა. ასევე შეიკვეცა მათი უფლებები.

რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიებს ავალებდა ეგზარქოსისთვის გადაეცათ ზუსტი ცნობები შემოსავლების, კუთვნილი მიწების, შენობა-ნაგებობების თუ სხვა საკუთრების შესახებ. რუსეთის სინოდი საქართველოს ეპარქიათა საკუთრებაზე აწესებდა ზუსტ აღრიცხვას. შემოსავლების 3 % ხმარდებოდა ეკლესიებთან არსებულ სკოლებს. (აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი-ი 58 ანაწ. 1, საქმე 1, გვ 26).

ამ პერიოდში ბათუმის რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებობდა რუსეთის იმპერატორის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის გიმნაზია. იგი ეკუთვნოდა კავკასიის სასწავლო ოლქს. სკოლაში საღეთო სჯულის სწავლება წარმოებდა რუსულ ენაზე.

პატრი ანსულ მღებრიშვილის მიერ ბათუმის რომაულ კათოლიკური ეკლესიის მღვდლის ასლანიშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ რომაული კათოლიკური ეკლესია მთლიანად აშენებულია სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სახსრებით.

რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული საზოგადოება შემოწირულობების თუ სხვა შემო-

სული თანხების საფუძველზე აწარმოებდა საქველმოქმედო საქმიანობას.

სტეფანე წუბალაშვილის ქვრივმა ეკლესიას შემოწირულობის სახით გადასცა 30 000 მანეთი იმ პირობით თუ მის მეულლეს დაასაფლავებდნენ ეკლესიაში. რუსეთის სინოდმა დაარღვია პირობა და სტეფანე წუბალაშვილი არ დაასაფლავა მის მიერ აშენებულ ეკლესიაში (აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი 59 ანაწ. 1, საქმე 4, გვ 16).

1894 წლის 9 ნოემბერს რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა გამოსცა ცირკულარი, რომელიც იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპარქიებს ავალებდა ღვთისმსახურების დროს დიდი პატივით მოეხსენებიათ მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი და ასევე სამეფო ოჯახის წევრები. ღვთისმსახურება უნდა წარმოებულიყო თავდაპირველად რუსულ, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე (აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი-ი 58 ანაწ. 1, საქმე 1, გვ 28).

ყოველი წლის 17 ოქტომბერს ქართულ ეკლესიებს, მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორის და სამეფო ოჯახის სადიდებლად უნდა გადაეხადათ პარაკლისი, რათა როგორც აღნიშნული იყო მიმართვაში კეთილსახიერებითა და მოწყალებითა თვისითა გარდამოიხილოს უფალმა ღმერთმან ჩვენმან უკეთილმსახურესსა რუსეთის იმპერატორისა ჩვენსა ზედა, მეულლესა მისსა, დედასა მისსა ზედა, მემკვიდრესა მისსა და სრულიად სამეფოსა სახლსა ზედა და უბრძანოს ანგელოზთა თვისთა, რათა დაიცვან ისინი ყოველსა გზასა ზედა და მარადის დაიფარონ, განარიდონ და იხსნან ისინი ყოველთა ჭირთა და ბოროტებისაგან. (აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი-ი 58 ანაწ. 1, საქმე 1, გვ 30).

რუსეთის სინოდი ავალებდა ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებს ლოცვა-დიდებას რუსთა მხედრობისათვის, ხოლო ლოცვის ბოლოს უნდა ეთქვათ მრავალჟამიერი. ქართველი მღვდელმთავრები ლოცვას ამთავრებდნენ სიტყვებით: „ყუენსაცა მფლობელი ხელმწიფე იმპერატორისა, მეუღლისა მისისა, დედისა მისისა, მემკვიდრისა მისისა და სრულიად სამეფო სახლისათვის". (აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი-ი 58 ანაწ. 1, საქმე 1, გვ 35).

ერთმორწმუნე რუსეთთან სიახლოვეს უარყოფითთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უსრუნველყოფდა ქართული ეკლესიის დაცვას ყოველგვარი სექტანტებისაგან.

1891 წლის 18 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა მისიონერთა მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო სექტანტებთან ბრძოლის გეგმა. ყრილობამ სექტანტობა აღიარა როგორც ქრისტიანული სახელმწიფოებისათვის საშიში მოვლენა. რუსეთის სინოდი მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებს ავალებდა სექტანტური ორგანიზიციების მუშაობის აღკვეთას.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი გრიგორი ბათუმის ოლქის ეკლესიების მმართველს ალექსანდრე რალცევიჩს ცირკულარით ატყობინებდა, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის 1893 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნებადართული იყო ყოველწლიურად, მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის დღეს, იმპერიის ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეეგროვებინათ თანხა პალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ. სამღდელოებისაგან შემოწირული თანხა უნაწილდებოდათ ობლებსა და ქვრივებს (აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი 56 ანაწ. 1, საქმე 2, გვ 48).

გურია-სამეგრელოს ეპარქიას ეკუთვნოდა აჭყვის წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია, რომელიც 1891 წელს აკურთხა დეკანოზმა სიმონ ქიქოძემ. ამ პერიოდში აჭყაში 42 ბერძნული ოჯახი დასახლდა.

1898 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი გრიგორი ბათუმის ეკლესიების მმართველს რალცევიჩს წერდა, რომ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართმადიდებლური ეკლესიის მღვდელმა იოანოვმა არ იცოდა ბერძნული ენა და წირვა-ლოცვას რუსულ ენაზე აწარმოებდა. ასევე იგი ეკლესიაში ამკვიდრებდა რუსულ წესებს, რაც ბერძენი მღვდელმსახურების კონსტანტინიდის და ჩაკირიდის უკმაყოფილებას იწვევდა. ბერძნებსა და რუსებს შორის არსებული კონფლიქტის შედეგად ბერძნებს აუკრძალეს მღვდელმსახურება ბერძნულ ეკლესიაში.

რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით აფხაზეთის გარდა, ყველა ეპარქიაში წირვა-ლოცვა უნდა წარმოებულიყო რუსულ ენაზე. რუსეთის სინოდი აფხაზეთის ეპარქიას განუსაზღვრელ უფლებებს უწესებდა და ამით აფხაზეთის ეპარქიას გამოყოფდა ყველას სხვა დანარჩენი ეპარქიებისაგან. რუსეთის სინოდი მხარს უჭერდა რუსეთის ხელისუფლების მერ წარმოებულ აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების პოლიტიკას. რუსეთის სინოდი წინ აღუდგა ილია ჭავჭავაძის მიერ აფხაზეთში ფშაველების, მთიულების, ხევსურების ჩამოსახლებას.

ამრიგად ზემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალა ნათლად წარმოაჩენს რუსეთის სინოდის მიერ საქართველოს ეპარქიების მიმართ წარმოებულ ანტიეროვნული, ანტიეკლესიური ხასიათის ქმედებებს.

გამოყენებული წყარო

1. აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი, ფონდი 56 ანაწ. 1, საქ 2. ფონდი-ი 58 ანაწ. 1 საქმე 1. ფონდი 59 ანაწ. 1 საქმე 4.

Мераб Мегрелишвилии
Отнашение Синода Российской Империи а Гурийско-Мингрельской епархии на рубеже XIX-XX вв
Резюме

В статье на основе архивных материалов описывается Имперское отнашение Синода России а епархиям Грузии. В ней показана сущность антигрузинской политики Синода.

Указано также на наличие определеннйх позитивн

„ჩვენი სულიერების ბალავარი"
ბათუმი 2009 22-24 აპრილი

ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიის მიმართ ბათუმში XX საუკუნის 20-იან წლებში

1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე გამეღაერდა ათეისტური მთავრობის მტრული დამოკიდებულება რელიგიის მიმართ. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიღებული პირველივე კანონი მიზნად ისახავდა სახელმწიფოს რელიგიისგან და ეკლესიის სკოლისგან გამოყოფას. ისინი მიმართაეღნენ შენიღბულ, მიზანმიმართულ პოლიტიკას რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთმანეთს დაუპირისპირეს რელიგია და ხალხი, რელიგია და მეცნიერება, ეკლესია და სკოლა და ა.შ.

საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგიის მსახურნი ხალხის მტრებად გამოაცხადა და დაუწყო მათ დევნა. უთანასწორო, უაზრო ბრძოლას შეეწირნენ მდიდარი ქრისტიანული კულტურული ტრადიციების მქონე სალოცავები, კერძოდ 1912 წელს ახალშენში დაარსებული ფერიცვალების ეკლესია, ხის სამრეკლოთი და ერთკლასიანი შერეული სახის სასწავლებლით, 1908 წელს აშენებული დაგვის ღვთისმშობლის ეკლესია რომელიც გურია-სამეგრელოს ეპარქიას ეკუთვნოდა. ეკლესიასთან არსებობდა 1910-1911 წელს დაარსებული ერთკლასიანი ქალთა და მამაკაცთა სასწავლებელი. 1882 წლის კვირიკის წმინდა ელენეს და კოსტანტინეს სახელობის ეკლესია და 1891 წელს აშენებული აჭყვის წმინდა გიორგის სახელობის ბერძნული ეკლესია. ბათუმში არსებული ქრისტიანული ძეგლები ხელისუფლების მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული. საბჭოთა პერიოდში ბათუმის ღვთისმშობლის

ტაძარში მცირე ჰესი იყო განთავსებული, ებრაული სინაგოგა მიაკუთვნეს სპორტულ ორგანიზაცია „სპარტაკს", ხოლო სომხური გრიგორიანული ეკლესიის შენობაში პლანეტარიუმი განათავსეს. რეგიონში არსებული ზოგიერთი შენობა დღესაც საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის არის გამოყენებული.

ახალდამკვიდრებული საბჭოური ცხოვრების წესი ვერ ეგუებოდა რელიგიურ ტრადიციებსა და წესჩვეულებებს და ებრძოდა მას, როგორც მაუნე გადმონაშთებს. „ლოზუნგების ქვეყანაში" მთავარ დოგმად აქციეს გამონათქვამები: „რელიგია ხალხის ოპიუმია" „მარქსიზმი ყოვლისშემძლეა, იმიტომ რომ სწორია და ა.შ.

ხელისუფლება ადამიანის აზროვნებაში რელიგიის მარქსიზმით ჩანაცვლების მიზნით აწარმოებდა ათეისტურ პროპაგანდას, დიდ ყურადღებას უთმობდა ურწმუნოთა ორგანიზაციების მუშაობას. აარსებდა მებრძოლ უღმერთოთა უჯრედებს. გაზეთებში ცალკე გვერდი ჰქონდა დათმობილი რელიგიიდან განდგომილთა სტატიებს, ანტირელიგიური ხასიათის მოთხრობებს, იბეჭდებოდა რელიგიის მსახურთა კარიკატურები. გაზეთის ამ გვერდს უღეთოთა კუთხეს უწოდებდნენ. მუშათა კლუბები ატარებდნენ ლექციებს ანტირელიგიურ თემებზე, იმართებოდა ანტირელიგიური საღამოები, დისპუტები, თეატრალიზებული სასამართლო პროცესები. 1923 წლის 19 მაისს ხელისუფლების ინიციატივით აჭარის პროფკავშირების კლუბში ღვთის მსახურთა წინააღმდეგ მოეწყო თეატრალიზებული სასამართლო პროცესი, ანტირელიგიური ხასიათის ინსცენირებული სასამართლო პროცესები მოსახლეობაში უარყოფით რეაქციას იწვევდა. 1925 წლის 4 ივნისს ბათუმის „უღვთოთა"

ორგანიზაციამ სამყაროს, ადამიანის და რელიგიის წარმოშობის საკითხზე მოაწყო დისპუტი. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბაპტისტები და უღვთოთა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ბაპტისტები ადამიანის ცხოვრებაში რელიგიის დიდ დანიშნულებაზე მუოთიებდნენ, „უღვთოები" კი აცხადებდნენ, რომ რელიგია ხალხის ექსპლუატაციას ემსახურება.

1923 წლის 6 იანვარს ბათუმის სახელმწიფო თეატრის შენობაში ათეისტების ინიციატივით მოეწყო ანტირელიგიური საღამო, რომლის დამთავრების შემდეგ კათოლიკურ ეკლესიასთან წითელი დროშებითა და ტრანსპარანტებით „ძირს რელიგია, გაუმარჯოს მეცნიერებას" გაიმართა ანტირელიგიური ხასიათის მიტინგი. აგიტაცია-პროპაგანდის, იდეოლოგიური ზემოქმედების გზით ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობის თავის მხარეზე გადმობირებას.

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოში მოსახლე სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანთა ყოფა-ცხოვრების თავისებური ხასიათის გამო საჭირო იყო განსაკუთრებული პოლიტიკის წარმოება.

1921 წლის მოწოდებაში აჭარის ხელისუფლება ჰპირდებოდა ხალხს, რომ არ დაუშვებდა მორწმუნეთა მიმართ დევნას და შევიწროებას და სრულ თავისუფლებას ანიჭებდა მათ რელიგიურ აღმსარებლობაში. აჭარის ხელისუფლება თავდაპირველად ერთგვარ დათმობაზე მიდიოდა და რელიგიური დღესასწაულების დროს აცხადებდა დასვენებას. ამით ხელისუფლება სამუშაო საათების გაცდენას ამცირებდა და ასევე მორწმუნეთა ინტერესებსაც იცავდა. პარა-

ლელურად მთაერობა აძლიერებდა მოსახლეობაში გეგმაზომიერ ათეისტურ მუშაობას.

1924 წლამდე აჭარაში სახალხო სასამართლოს გვერდით მოქმედებდა შარიათის სასამართლო (შარიათი-მუსლიმანურ სამყაროში გაბატონებული რელიგიური და იურიდიული ნორმების ერთიანობა).

საბჭოთა ხელისუფლება აჭარაში პოსიციების გაძლიერებასთან ერთად პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ცვლიდა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებს და მეთოდებს. ხელისუფლება თავის მუშაობაში იყენებდა როგორც დათმობის, ახსნა-განმარტების, ასევე ხელოლის, იძულებისა და ადმინისტრირების მეთოდს.

1926 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგიურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს გამოუცხადა დაუნდობელი ბრძოლა, რასაც მოჰყვა ანტისაბჭოთა ამბოხება ხულოს რეგიონში (ჭვანა, ღორჯომო, სხალთა).

ი.ბ სტალინმა კაპიტალისტური სახელმწიფოთა თვალში ანტისაბჭოთა გამოსვლის დამცირების მიზნით ხულოს ამბები შეაფასა როგორც „მიკროსკოპული ამბოხება".

ამრიგად XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჭარაში რელიგიის წინააღმდეგ წარმოებული ყოველგვარი ბრძოლის მიუხედავად მოსახლეობა რელიგიური ტრადიციების და წეს-ჩვეულებების ერთგული იყო.

აღნიშნულ ბრძოლაში რაც უფრო დაუნდობელი იყო ხელისუფლება, მით უფრო ძლიერდებოდა მოსახლეობის სიყვარული რელიგიისადმი.

Merab Megrelishvili

Attitude of Soviet Authority Towards Religion
in Adjara 1920s

Summary

In the present paper it is shown the attitude of soviet authority towards the traditions and religious beliefs and customs existed in Adjara based on archival materials.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის არ სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-5, ან. I ს.3, 11, 31

2. აჭარის საბჭოების ყრილობები, დოკუმენტებისა და მასალების კრებული (1921-1937), ბათ; 1971.

3. გაზ. „უწყებები", 1921 .წ. 20 მარტი, 11 ნოემბერი, 6 დეკემბერი

4. გა'ზ. „ტრუდოვოი ბატუმი", 1923 .წ. 19 მაისი,

5. გაზ. „ფუხარა", 1926 .წ. 24 მაისი,

თდასუ XVI სამეცნიერო კონფერენციის შრომები
თბილისი 2009


ბათუმის კულტურის ისტორიიდან (XX საკუნის დასაწყისი)

XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში რუს ხელისუფალთა მიერ წარმოებული რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად ქალაქის თვითმმართველობის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის კულტურულ აღმშენებლობითი საქმიანობა.

ბათუმის თვითმმართველობის მიერ ზღვისპირა პარკში მოეწყო ნიჟარის ფორმის საკონცერტო მოედანი, სადაც იმართებოდა სიმფონიური ორკესტრის საღამოები. აკუსტიკური და კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით საკონცერტო მოედნის ადგილად შეარჩიეს ყოფილი თბილისისა და კომაროვის ქუჩებს შორის არსებული მონაკვეთი. (აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-6, აღწ.1,საქმე721,გვ 1)

1908 წლის 13 მარტს, ივანე მიხეილის ძე სანტრუსოვის მიერ წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე ქალაქ ბათუმში, ალექსანდრეს სახელობის ბაღში მოეწყო ევროპული ტიპის სა ხულო თეატრი. ასევე აიგო ცირკის შენობა, ხელოვნური მღვიმე, ტრიუმფალური თაღი, ველოტრეკი, საცურაო აუზი, სამხეცე. 1909 წელს, ნურიგელის ტბაზე აიგო წყლის კარუსელი. მეცენატი ყველა ამ ზემოთხსენებულს უტოვებდა საკუთრებად ბათუმის მცხოვრებთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ 5 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი დარჩებოდა მას და 5 წლის შემდეგ კი იღებდა ყოველწლიურად 5 000 მანეთის გადახდის ვალდებულებას. (აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-6, აღწ 1.საქმე 615,გვ 8).

1912 წლის აგვისტოში ნიკოლოზ დავითის ძე ბროვალის გეგმით ზღვისპირა პარკში მოეწყო კინემატოგრაფის სახლი. ჩვენი ქალაქის ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი პირველი კინოთეატრის შენობა. წარმოგიდგენთ აღნიშნული კინოთეატრის გეგმა-პროექტს.



(აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-6, აღწ.1,საქმე 614)

10 წლის შემდეგ კინემატოგრაფიის სახლი გადაეიდა ქალაქის საკუთრებაში.

რუსები ბათუმს უწოდებდნენ ფანჯარას ევროპაში. არა მარტო გეოგრაფიული, არამედ კლიმატური პირობების გამო (თბილი ზღვის ჰაერი)

ბათუმში რუსეთის გუბერნიის შიდა ნაწილებიდან აგზავნიდნენ ბავშვებს სასწავლებლად.

სწორედ ამ მიზნით 1893 წლის 22 მარტს ქალაქის თვითმმართველობამ გადაწყვიტა ზღვასთან ახლოს

გაეხსნა 4 კლასიანი ვაჟთა გიმნაზია (ეხლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა).

თავდაპირველად გიმნაზია მოთავსებული იყო ორსართულიან შენობაში. იგი წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით, მთავარი კორპუსი შედგებოდა საკლასო ოთახებისა და პანსიონისაგან.

პირველ სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, რვა საკლასო ოთახი, კანცელარია, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ხოლო მეორე სართულზე კი ეკლესია, სააქტო დარბაზი, რვა საკლასო ოთახი, სამხატვრო კლასი, ფიზიკის კაბინეტი, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. (აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-6, აღწ.1,საქმე 251,გვ 3)

ამავე პერიოდში საყურადღებო ეერება ქალთა 6 კლასიან გიმნაზიას. ქვის ერთსართულიანი შენობა გათვალისწინებული იყო 225 მოსწავლეზე. ქალთა გიმნაზიაში ისწავლებოდა ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, საღვთო სჯული, ხატვა, მუსიკა. (აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-6, აღწ.1,საქმე 163,გვ 109)

1913 წლიდან მოყოლებული იხსნებოდა მექთებისა და მედრესეს ტიპის სულმანური სკოლები, რომლებიც რუს ხელისუფალთა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდნენ. აღნიშნულ სკოლებში ვითარების შესწავლის მიზნით მათ მიერ შედგენილი იყო შემდეგი სახის მკითხვარი: 1. როდის და ვისი გადაწყვეტილებით გაიხსნა სკოლა 2. რა საგნები ისწავლება და რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება 3. რომელი სახელმძღვანელოებია სწავლებისათვის განკუთვნილი, ავტორის, გამოცემის წელისა და ადგილის მითითების მიხედვით 4. მასწავლებელთა პირადი შემადგენლობის ვინაობა, განათლების ცენზი 5. არსე-

ბობს თუ არა რაიმე პროგრამა 6. მოსწაელეთა რაოდენობა და ა.შ (აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-1, აღწ.1, საქმე 654, გე 1).

1902 წლის აგვისტოში აჭყვაში იხსნება ბერძნული სკოლა. ამავე პერიოდში ბათუმში არსებობდა ბერძნული მართლმადიდებლური სკოლა. (აჭარის /არ/არქივი .ფ. ი-1, აღწ.1,საქმე 412, გე 44)

1912 წლის თებერვალში ინგლისის მოქალაქე მებოლ ნეიტი ბათუმში ხსნის ინგლისური ენის სწაელების კერძო სკოლას.

(აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-1, აღწ.1,საქმე 541,გე 17)

1902 წლის პირველ ივლისს ბათუმში გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა კავკასიის განყოფილებით. (აჭარის/არ/არქივი .ფ. ი-6, აღწ.1,საქმე 235,გე 8)

ამრიგად, ზემოთმოტანილი საარქივო მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის თვითმმართველობა აჭარაში ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას აწარმოებდა.

გამოყენებული წყარო:

1. აჭარის არ არქივი.ფონდი ი-1, აღწ.1, საქმე 541, 654.

2. აჭარის არ არქივი.ფონდი ი-6, აღწ.1, საქმე 163, 235, 251, 614, 615, 721.

შრსუ, შრომები XIII
ბათუმი 2009

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან

1895 წლის 26-27 ივნისს ბათუმის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიის შენობისთვის სლვის სანაპიროსთან გამოჰყო ერთ-ერთი საუკეთესო ნაკვეთი მიწისა 2623,95 კვ.საჟ-მოცულობით. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა დ.მ. სელელნიკოვმა. იგი შედგებოდა ორი სართულისაგან. პირველ სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, რვა საკლასო ოთახი, კანცელარია, დირექტორის კაბინეტი,სამასწავლებლო,ხოლო მეორე სართულზე ეკლესია, სააქტო დარბაზი, რვა საკლასო ოთახი, სამხატვრო კლასი, ფიზიკის კაბინეტი, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

1935 წელს ბათუმის გიმნაზიის სასწავლო მატერიალურ ბაზაზე გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი ოთხი ფაკულტეტით: ქართული ენის და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიის და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის. 1936 წელს მას დაემატა ფიზკულტურის, ხოლო 1938 წელს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო ხუსეინ ნაკაიძე. სამასწავლებლო ინსტიტუტს თავდაპირველად ადგილზე არ ჰყავდა მეცნიერული ხარისხის მქონე სპეციალისტები და მას უანგარო შრომით დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის დედა უნივერსიტეტის და ქუთაისის პედინსტიტუტის პროფესორმასწავლებლებმა. აქ ერთ დროს უმოღვაწიათ საქმაოდ ცნობილ მეცნიერებს: გიორგი ახვლედიანს, გიორგი წერეთელს, იასე ციხციძეს, სარგის კაკბაძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, გიორგი თაქთიშვილს,

რაჟდენ ხუციშვილს, დიმიტრი გედევანიშვილს, გიორგი ჯავახიშვილს, ვუკოლ ბერიძეს და ა.შ.

1936 წლის 2 იანვარს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ პროფ. ვუკოლ ბერიძე, გრიგოლ გიორგაძე, ხუსეინ ნაკაიძე, ჯემალ ნოღაიდელი, მოისმინა კათედრის გამგის პროფ. ვუკოლ ბერიძის მოხსენება ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მართლწერისა და სწორმეტყველების განმტკიცებისათვის საჭირო იყო სტუდენტების მეტი ვარჯიშობა. ისტორიის სპეციალობაზე ქართულ ენას ასწავლიდა პროფ. ჯემალ ნოღაიდელი. ამავე პერიოდში ინსტიტუტის დირექტორის ხუსეინ ნაკაიძის ინიციატივით დაარსდა სტუდენტთა სამეცნიერო სალიტერატურო წრე და მას ხელმძღვანელობდა გრიგოლ გიორგაძე.

1936 წლის 10 მაისს ისტორიულ დისციპლინათა კათედრის სხდომაზე პროფ. სარგის კაკაბაძეს წაუკითხავს ორი მოხსენება თემებზე; 1595 წლის კანონი ოსმალეთის საქრთველოსა და 1830-1840 წლების საბუთები ქობულეთის მხარის შესახებ. აღნიშნულ კათედრას საკუთარი ბიუჯეტი გააჩნდა.

ამ პერიოდში ბიოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა გ. კოკოჩაიშვილი, ქიმიის დოც. ციციშვილი, გეოგრაფიის ა. ჯავახიშვილი და ნ. ლორთქიფანიძე, პედაგოგიკის გ. თავზიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის დოც. ა.კაკუშაძე, სოციალ-პოლიტიკურის ა. დარახველიძე და ფიზკულტურის პ.კილაძე.

1938-1939 წლებში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო ა. ბეგიაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მ. სტამბოლიშვილი, ისტორიის ვ.

იაშვილი, გეოგრაფიის ნ. ნიუარაძე, ფიზკულტურის პ. კილაძე. სამასწავლებლო ინსტიტუტს ემსახურებოდა 11 კათედრა; 1. ქართული ენის-კათედრის გამგე შ.ძიძიგური. 2. ქართული ლიტერატურის მ.კ ა.ჩაველეიშვილი. 3. მათემატიკის მ.კ.ა. ბეგიაშვილი. 4. ფიზიკის პროფ. რ. ხუციშვილი. 5. ისტორიის მ.კ.ე. ებანოიძე. 6. მარქსიზმ-ლენინიზმის უ.მ.მ. სტამბოლიშვილი. 7. პედაგოგიკის მ.კ.ვლ. ჭანტურია. 8. ბიო-ქიმიის დოც. გ.კოკოჩაშვილი. 9. გეოგრაფიის უ.მ. ნ. ნიუარაძე. 10.სპორტის უ.მ. პ.კილაძე. 11. ტანვარჯიშის უ.მ.ჯ. მინდოდაური. ამ პერიოდში სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი იყო ნ. ნიუარაძე, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე ალ. ჩაველეიშვილი.

კარგთან ერთად ეს ის დროც იყო, როცა მისეულ ზანდუკელის წიგნებს იწუნებდნენ მარქსისტულად მაინცდამაინც დაუსვეწლობის გამო.და ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს ხალხის მტრებად აცხადებდნენ და ასახლებდნენ.

1939 წელს პირველად გამოიცა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, მასში 11 მეცნიერული ნაშრომი იყო დაბეჭდილი.1938 წელს ინსტიტუტეს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. 1945 წელს შეიქმნა პედაგოგიური ინსტიტუტი სწავლების ოთხი წლიანი კურსით. 1941-1942 სასწავლო წელს ინსტიტუტს უკვე ჰყავდა 4 დოცენტი და 5 მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1960 წელს 32 მეცნიერული ხარისხის და 47 უფროსი მასწავლებელი. 1941 წლამდე სასწავლო დაწესებულებას გააჩნდა 16 კაბინეტლაბორატორია, 1960 წელს 25, დღეს კი ათჯერაა მისი რაოდენობა გაზრდილი.

დაარსებისას ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 15 ათასამდე აღწევდა, 1960 წელს 80 ათასამდე

გაი'სარდა,დღეს კი 242 ათას გადააჭარბა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიისგან მემკვიდრეობით მიიღო უნიკალური ისტორიული მნიშვნელობის წიგნები. დღეს უნივერიტეტის ბიბლიოთეკაში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმის მაღალ დონე წარმართვისთვის.

1960 წელს ბათუმის პედინსტიტუტში ისტორიის სწავლება შეისწყდა დამას ჩაენაცვლა უცხო ენები. 1960 წელს პედინსტიტუტში შეიქმნა კინო-მოყვარულთა სტუდია, რომლის გადაღებულმა ფილმებმა „გაზაფხული ბათუმში" და „თოლია" თბილისში გამართულ კინომოყვარულთა პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. უიურიმ ფილმი „თოლია" აღიარა ორიგინალურ ნაწარმოებად. ამ დროს ინსტიტუტში ლექციები წაუკითხავთ აკადემიკოსებს: ალ.ჯავახიშვილს, ნ.კეცხოველს, ი.ვეკუას, ვ.ვინოგრადოვს, ვ. ბარკოვსკის და სხვებს.

1960 წელს ბათუმის პედინსტიტუტში მუშაობას ეწეოდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ვიზუალური დაკვირვების სადგური, რომელიც საბჭოთა კავშირის ასტროსაბჭოს მიერ აღჭურვილი იყო უახლესი ასტრონომიული ხელსაწყოებით, ასევე ინსტიტუტს გააჩნდა კინო და რადიო კვანძი.

საბჭოთა დროს სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში განთავსებული პლანეტარიუმის უახლესი დანადგარები გადაეცა ბათუმის უნივერსიტეტს. 1990 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად,რომელსაც დიდი პერსპექტივები გააჩნია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

სამეცნიერო კონფერენციის მასალები ბათუმი
2010 წლის 20-22 მაისი

ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში

1888 წლის პირველ ოქტომბერს ბათუმმა იზეიმა თვითმმართველობის დაფუძნება. თვითმმართველობამ თავისი არსებობის პირველივე დღიდან მოსახლეობისათვის დააწესა ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობისთვის საჭირო მოსაკრებელი. შემოსული თანხების დიდი ნაწილი სმარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. (ფონდი ი-7, ანაწ. 1 საქმე 5, გვ.5-7)

1889 წლის 12 ივნისის ბათუმის თვითმმართველობის სხდომის ოქმიდან ვგებულობთ, რომ ქალთა სასწავლებლის შენობად შეარჩიეს ზღვისპირა პარკთან მდებარე გენერალ-მაიორ, თავადი ერისთავის სახლი, საკარმიდამო ნაკვეთით. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 52, გვ.101)

1889 წლის 12 აგვისტოს თვითმმართველობის სხდომაზე განიხილეს საიდუმლო მრჩეველის იანოვსკის წერილი, რომელიც ით' და ბათუმში ტექნიკური სახელოსნო სასწავლებლის გახსნას (სამკლასიანი). თავდაპირველად სახელოსნოში ასწავლიდნენ სადურგლო და საზეინკლო ხელობას. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 61, გვ.16)

1889 წლის 24 ივლისს თვითმმართველობამ გამოჰყო მიწა ბერძნული და სომხური სკოლების ასაშენებლად. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 58, გვ.19)

1895 წლის 26-27 ივნისს, ბათუმის თვითმმართველობამ ვაუთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოჰყო ერთ-ერთი საუკეთესო

ნაკვეთი მიწისა 2623,95 კვ.საჟ. მოცულობით. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა დ.მ. სედელნიკოვმა. ამაყე პერიოდში დადგა იქვე აგერდით არსებული ციხის გადატანის საკითხი. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 228, გვ.23) 1897 წლის 29 სექტემბერს ბათუმის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიასთან გახსნა პანსიონი. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 277, გვ.17)

ბათუმი თაყისი დაარსების დღიდანვე ინტერნაციონალური ქალაქი იყო. აქედან გამომდინარე, ბათუმის თვითმმართველობა დიდ მნიშვნელობას იჩენდა სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებისთვის შესაბამისი სასწავლო დაწესებულებებით უზრუნველსაყოფად. ბათუმში თითქმის ყველა ეროვნებას გააჩნდა საკუთარი სკოლები. 1909 წლის 16 დეკემბერს თვითმმართველობამ საზოგადოება „პოლონური სახლისთვის" კომაროვისა და გიორგიევსკის ქუჩების კუთხეში სკოლისა და ბიბლიოთეკის ასაშენებლად გამოჰყო 137,32 კვ.საჟ. მიწის ნაკვეთი. ბათუმის რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ სურვილი გამოთქვა გაეხსნა სკოლა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავშვი მიიღებდა განათლებას, კერძოდ ქართველები, პოლონელები, ფრანგები, ჩეხები. ამ იდეით თვითმმართველობის წინაშე გამოვიდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი. ამ დროს ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 488, გვ.39)

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუსეთის განაპირა მხარიდან საქართველოში სასწავლად ჩამოსულ ახალგაზრდებს. 1910 წლის 24 მაისს ბათუმის თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის გახსნას. თვითმმართველობის სხდომის ღღიურში ვკითხულობთ: „Наши дети, не

выдерживающися в болшинстве случаев сурового климата Российских университетских городов, будут учится высшим наукам у пас, здесь в Грузии, мы ничего не должны шадить для того, чтобы дело это осуществилось и как можно скорее". (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 491, გვ.10).

ამ მიზნით, ერთროულად დაინიშნეს 5.000 მან. დახმარება, ხოლო უნიეერსიტეტის გახსნის დღიდან ყოველწლიურად დაინიშნა დახმარება 5.000 მან. ოდენობით. 1902 წლის 25 აპრილს ბათუმის რუსეთთან შეერთების 25 წლისთაეთან დაკაეშირებით დაისვა საკითხი თეატრისა და სახალხო ბიბლიოთეკის მშენებლობის შესახებ (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 386, გვ. 101).

ბათუმის თვითმმართველობამ თეატრის მშენებლობა სასურველ და აუცილებელ საქმედ მიიჩნია, რომელიც მოემსახურებოდა სამ მიზანს 1. საკეთესო საშუალება მასებში პუმანიტარულ-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობისთეის 2. ქალაქს მოუტანდა კარგ შემოსავალს 3. თეატრის შენობა გაალამაზებდა ქალაქს. თეატრის შენობის პროექტზე გამოაცხადეს კონკურსი. თავდაპირეელად თეატრი გათეალისწინებული 100 მაყურებელზე. თეატრის ადგილსამყოფელად აირჩიეს ნურიე-გელის მიდამოები. უფრო ადრე, 1889 წლის 17 აპრილს, თავადაზნაური სტეფანე ოსიპის–ძე სტეფანოეი თეითმმართველობას სთხოეს ზღეისპირა პარკში მიწის გამოყოფას სააფხულო თეატრის მოსაწყობად. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 44, გვ.14).

ხემოთ აღნიშნულ იუბილესთან დაკაეშირებით თეითმმართველობამ ასეე გადაწყეიტა მოეწყო ერთი უფასო დაწყებითი სკოლა: „под знаменем осущественной Росиискои империи, в смисле развитие гражданствен-

ности". (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 386, გვ.20) თვითმმართველობის წეური ჯაყელი წინადადებით გამოვიდა იუბილესთან დაკავშირებით გამოეშვათ კრებული, სადაც მოცემული იქნებოდა ბათუმის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა.

1908 წლის 19 მარტს, თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა მოქალაქე გ. გომანის იდეას და ქალაქის ა. პუშკინის სახელობის დაწყებით სკოლაში გახსნა მუზეუმი ზოოლოგიის, ბოტანიკის, მინერალოგიის განყოფილებით, ზოოლოგიური ბალითა და აკვარიუმით. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 476, გვ.24)

1907 წლის 10 სექტემბერს ბათუმსა და მის შემოგარენში საფუძველი ჩაეყარა კლიმატურ სადგურს. ამასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვალთან გაიგზავნა დეპუტაცია ი. ანდრონიკაშვილის, ტ. ტრიანტაფილიდისის, გ. კვიცინსკისა და ს. დუნინის შემადგენლობით. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 439, გვ.10)

1907 წლის 10 აგვისტოს ბათუმის თვითმმართველობამ შავი ზღვის სანაპიროზე მოაწყო კავკასიის მხარის საზღვაო-სამედიცინო-სამეთვალყურეო სადგური. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 438, გვ.2)

1910 წლის 24 მაისს, ბათუმში მცხოვრები ი.ა. ბაიადუანი თვითმმართველობისაგან ითხოვს მიწის ფართის ზღვისპირა პარკში ზღვის აბაზანების მოსაწყობად. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 491, გვ.19)

1908 წლის 19 მარტს, მოქალაქეებმა ვეიდემანმა და ზგურიცისმა ზღვისპირა პარკში მოაწყვეს თეატრი „ილუზიონი". (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 471, გვ.25) ბათუმში მცხოვრებმა შტენბერგმა თვითმმართველობას წარუდგინა კინემატოგრაფიის სახლის პროექტი.

1908 წლის 19 მარტს ბათუმელი ნ. რუსეიშვილი ზღვისპირა პარკში ხსნის ატრაქციონებს.

1910 წელს, მოქალაქე ივანე მორუსი ზღვისპირა პარკში საფუძველს უყრის კულტურულ კერას, ამავე დროს ალექსანდრე სტეფანის – ძე ტკაბოემა იქვე ააშენა კინემატოგრაფიის სახლი და მუსიკალური დარბაზი, ხოლო ზღვასთან ახლოს გამოიყო ადგილი სკეტინგ-რინკის მოსაწყობად (ინგ სკატინგ რინკ-მოასფალტებული მოედანი ან ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად) (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 991, გვ.20)

თვითმმართველობამ ბევრი რამ გააკეთა ქალაქის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობისათვის, ასე მაგალითად, 1898 წლის 20 აპრილს თვითმმართველობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლ. ასათიანი, ნიკოლაძე, სეფერინი, საბაშვილი, ვოლსკი და სხვები განიხილეს ქალაქის დაგეგმარების საკითხი. სხდომაზე წარმოდგენილი იყო ქალაქის ყოველი ქუჩის, ესოსა თუ მოედნის მათემატიკური სიზუსტით, პროპორციების დაცვით შესრულებული ფოტოგრაფიული აღწერილობა. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 224, გვ.7)

1889 წლის 10 ივლისს თვითმმართველობამ ნება დართო ვიქტორ პოლიშევსკის მოეწყო ცენტრალური სატელეფონო ხაზი. (ფონდი ი-7, ანაწ.1 საქმე 56, გვ.2)

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითმმართველობის წევრი ფიცს დებდა ღვთის წინაშე, რომ მის მოვალეობას შეასრულებდა კეთილსინდისიერად და პასუხისმგებელი იქნებოდა ღვთის წინაშე.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის თვითმმართველობამ XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში დიდი მუშაობა გასწია ქალაქის კულტურული განვითარებისთვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ა/რ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 5;
2. იქვე, ს.44;
3. იქვე, ს.52;
4. იქვე, ს.56;
5. იქვე, ს.58;
6. იქვე, ს.61;
7. იქვე, ს.224;
8. იქვე, ს.228;
9. იქვე, ს.386;
10. იქვე, ს.438;
11. იქვე, ს.439;
12. იქვე, ს.476;
13. იქვე, ს.488;
14. იქვე, ს.491;
15. სიორიძე მ. „ბათუმის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა 1888-1920 წლებში", რსუ, შრომები 5, ბათუმი, 2003 წელი.

Merab Megrelishvili

The Cultural and Educational Activities of Batumi Self-Government at the Boundary of XIX-XX Centuries

Summary

The present article deals with the problem of cultural and educational activities of Batumi self-Government at the boundary of XIX-XX centuries depending on the archival materials.

ბათუმი „წარსული და თანამედროვეობა"
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ბათუმი 2009

ბათუმის სახალხო განათლების ისტორიიდან 1921-1924 წ.წ.

სახალხო განათლებამ აჭარაში თავისი განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და ძნელი პერიოდი განვლო. რთულ პირობებში მიმდინარეობდა აჭარაში ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების პროცესი. სკოლაში სუსტი საგანმანათლებლო მუშაობა წარმოებდა. ამასთან საჭირო იყო მათი რეორგანიზაცია. ასეთები იყო: აჭარის წყლის 3 წლიანი სკოლა დაარსებული 1910 წელს. შახინჯაურის 3 წლიანი სკოლა (1921 წ.), ახალშენის 4 წლიანი (1895.წ), ბარცხანის 4 წლიანი (1908 წ), ანგისის 4 წლიანი (1918.წ), ყოროლისთავის 3 წლიანი (1904 წ.), ზემო ჯოჭოს 3 წლიანი (1920 წ), ერგეჯოჭოს 4 წლიანი (1919 წ.). გოროდოკის 5 წლიანი (1902 წ.), მახუნცეთის 4 წლიანი (1912 წ.) და სხვა სკოლები (1, გვ.49)

პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა სახალხო განათლების საქმის ორგანიზება. 1912 წლის 18 მარტიდან აჭარაში იქმნება ქ. ბათუმის განათლების განყოფილება, ხოლო შემდეგ საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტის თანახმათ აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი, რომელიც განიყოფებოდა ცენტრალურ, სოციალური აღზრდის და პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოდ. ცენტრალურ სამმართველოს მიეკუთვნებოდა კანცელარია და ბუღალტერია. სოციალური აღზრდის სამმართველოს თავიდან ერქვა სასკოლო განყოფილება, შემდეგ სოციალური აღზრის განყოფილება, ხოლო 1923 წელს სექტემბრიდან სოციალური აღზრდის სამმართველო. მასში შედიოდა: ა) სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილება. ბ)

სასკოლო განყოფილება. გ) სკოლის გარეშე სწავლის განყოფილება. დ) მცირეწლოვან ბრალდებულთა საქმეების გამრჩევი კომისია.

სკოლის გარეშე განყოფილების მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა სახალხო უნივერსიტეტის, ჭრაკერვის, ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნა, ხელმძღვანელობა სპორტულ საზოგადოებაზე. 1922 წლის 2 აგვისტოს ქ. ბათუმში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი შემდეგი ფაკულტეტებით: 1) ეკონომიკური 1 წელი. 2) სასოფლო 2 წელი. 3) ტექნიკური 2 წელი. სახალხო უნივერსიტეტში ასწავლიდნენ: საქართველოს და რუსეთის ისტორიას, ლოგიკას, ფსიგოლოგიას, ფილოსოფიას, ქართული ლიტერატურის ისტორიას, პოლიტეკონომიას დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, და ა.შ. (1. გვ. 115)

1923-24 წელს კომისარიატთან დაარსდა 1. საინსტრუქტორო აპარატი. 2. სამეცნიერო პედაგოგიური სექცია 3. სამხატვრო სალიტერატურო სექცია 4. მცირეწლოვანთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის განყოფილება.

სოციალურ-უფლებრივი დაცვის განყოფილებასთან მოქმედებდა მცირეწლოვანთა საქმეების გამრჩევი კომისია, რომელშიაც შედიოდა თითო წარმომადგენელი იუსტიციისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებიდან. მისი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა უპატრონო ბავშვების მოვლა-პატრონობა. მცირეწლოვანთა დანაშაულობებთან ბრძოლა. მცირეწლოვანი ობლების მეურვეობის საქმეს პირველად განაგებდა სახალხო სასამართლო, შემდეგ კი განყოფილებას გადაეცა. ბათუმელ ებრაელთა სათემო კომიტეტი და ამერიკელ ებრაელთა ორგანიზაცია „ჯოინტ" თავის ხარჯზედ უპატრონო ბავშვთა

სახლს პატრონობდა, სულ 39 ბავშვს. მწვანე კონცხზე არსებობდა ბავშვთა შრომითი კოლონია.

ბავშვთა კულტურული დონის ამაღლებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის იქმნება საბავშვო კლუბები. ბავშვთა საეროო კრება ბავშვებისაგან ირჩევდა სამართველოს. სამართველო კი ირჩევდა ამხანაგურ სასამართლოს, რომელიც უღირსი საქციელისათვის კლუბის წევრს სჯიდა. ეწყობოდა დისპუტები, დილა-საღამოები, ექსკურსიები. კლუბთან მუშაობდა ბიბლიოთეკა, ლიტერატურულ-დრამატული წრეები, გამოსაცემდნენ გაზეთს.

პროფესიული განათლების სამმართველო დაარსდა 1922 წლის სექტემბერში. მას აკადემიური ცენტრის ყველა განყოფილებები და სექციები გადაეცა. სამმართველო ეწეოდა თეორიულ და პროგრამული მუშაობას, აწყობდა მასწავლებელთა კონფერენციებს და წარმოადგენდა აჭარაში პედაგოგიურ აზრის ცენტრს. ამ სამმართველოსთან არსებობდა 2 სექცია: 1) სამეცნიერო 2) მხატვრული. სამეცნიერო სექცია თავის მხრივ იყოფოდა ა) სამეცნიერო-პოლიტიკურ, ბ) სამეცნიერო-ტექნიკურ) სამეცნიერო პედაგოგიურ სექციებად, მხატვრული სექცია ლიტერატურისა და თეატრის სექციად. სამმართველოს ექვემდებარებოდა ტექნიკუმის განყოფილება. (2გვ.112)

კომისარიატთან არსებობდა 5 კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომლის მთავარი დანიშნულებას სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენდა მასწავლებელთა გაწესება სკოლებში. ყველა სკოლას თავისი გამგე ჰყავდა. სკოლების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა სასკოლო შენობებისა და ინვენტარის უქონლობა, მასწავლებელთა კადრების უკმარისობა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (განსაკუთრებით გურიიდან) აჭარაში ჩამოდიოდნენ პედაგოგები და სათავეში უდგებოდნენ განათლების საქმეს. ერთერთი პირველთაგანი იყო ალექსანდრე მგელაძე. ღარიბი გლეხის ოჯახ'ში აღზრდილი გორის სამასწაელებო სემინარია დამთავრებ'ული. 1885 წელს, 26 წლის ალექსანდრე მგელაძე სოფ. დეაბ'ხუ'ში. (ო'სურგეთის რაიონი) იწყებს მუ'შაობას მასწავლებლად. რევოლუციური საქმიანობისათვის დევნილი სამუ'შაოდ გადმოდის ხულო'ში. აქედან მოყოლებ'ული მან დიდი ღვაწლი დასდო აჭარის სახალხო განათლების განვითარების საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშ'ნავია მისი მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა'ში. სკოლა'ში იმართებოდა მესამე დასელთა ფარული სხდომები. აქვე იბეჭდებოდა საპროკლამაციო ფურცლები და დაბეჭდვის შემდეგ აქედანვე ვრცელდებოდა. ალექსანდრე მგელაძის სტატიები ხ'შირად იბეჭდებოდა გაზეთებ'ში: „იევრია", „ცნობის ფურცელი". 1925 წელს პირველად აჭარა'ში მას გადა'უხადეს მასწავლებლის იუბილე, მიმართვა'ში რომელსაც ხელს აწერს საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარე, აჭარის სახალხო განათლების კომისარი სულეიმან ვარშანიძე, აღნიშ'ნულია: „მასწავლებელი იყო მშრომელ გლეხთა შვილების აღმზრდელი მაშინ, როცა გლეხის ოჯახიდან არც ისე ხალისით უშვებდნენ ბავშვებს სკოლა'ში და უკანასკნელ შემთხვევაში მასწავლებელი იძულებ'ული ხდებოდა პედაგოგიური სახარება ეკითხა მშობლებისთვის, რათა დაეჯერებინა ისინი განათლების საჭიროება'ში. მასწავლებელი ერთსა და იმავე დროს აღმზრდელიც იყო და ჭირისუფალიც. (1. გვ. 5)

უსახსრობის გამო ბევრი მუ'შაკი თავს ანებებდა

მუშაობას. ბათუმის სახალხო განათლების კომისარიატი შემოსავალს იღებდა კინო-თეატრებიდან, საკრებულო დარბაზებიდან. უსახსრობის გამო იძულებული გახდნენ ქალაქის ყველა სკოლები, გარდა ტექნიკუმისა გადაეცათ კომუნალური მეურნეობისთვის.

9-7 წლიანი სკოლები მასწავლებელთა სიმცირის გამო მხოლოდ ბათუმში იყო, რაიონებში კი ძირითადად ოთხწლიანი სასწავლებლები იყო.

სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლას თავდაპირველად ერთი საკლასო ოთახი გააჩნდა. ამიტომაც მოწაფეები რიგრიგობით მეცადინეობდნენ, როცა ერთი ჯგუფი მოსწავლეებისა მეცადინეობდნენ, სხვები ცოტა მოშორებით ხესთან ჩაცუცქული უცდიდნენ თავიანთ რიგს. დღეს კი ბობოყვათის საშუალო სკოლა ოთხსართულიან შენობაშია განთავსებული. სკოლას გააჩნია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზებ, კლუბი. სკოლას ემსახურება ორმოცამდე მასწავლებელი.

თავდაპირველად სკოლები იყოფოდა 2 საფეხურად. პირველი საფეხურის კოლაში სწავლა გრძელდებოდა 4 წელს. მეორე საფეხურის სწავლება 2 პერიოდად იყოფოდა: პირველი პერიოდი 3 წელს გრძელდებოდა, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უფლება ეძლეოდა სწავლა გაეგრძელებინა ტექნიკუმში. სადაც მიიღებდა საშუალო განათლებას. მეორე პერიოდში /ცხრაწლედი/ ხდებოდა ახალგაზრდის მომზადება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. 1921 წელს ქალაქში იყო 1 საფეხურანი 8 სკოლა, ქართული-2, რუსული-2, მუსულმანური, სომხური, ბერძნული, ებრაული. მე-2 საფეხ-

ურის 5 სკოლა: ქართული, რუსული, მუსულმანური, ბერძნული, ებრაული. აჭარაში სულ 38 სკოლა იყო. აქედან 13 ქალაქ ბათუმში, 25 სოფლად, 3 ტექნიკუმი, ჰუმანიტარული, ინდუსტრიული, პედაგოგიური. სოფ. ახალშენში მოქმედებდა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ხოლო ხუცუბნის საშუალო სკოლასთან აგრონომიული განყოფილება. პირველდაწყებით სკოლებში სწავლა მიმდინარეობდა ქართულ, რუსულ, სომხურ, ბერძნულ, თურქულ ენებზე. ბათუმის განათლების კომისარიატი ღებულობს მიმართვას სკოლის გამგეებისადმი რომელშიც ნათქვამია: „ბავშვები უნდა სწაელობდნენ მშობლიურ ენაზე. არის ცნობები, რომ ქართველები სწავლობდნენ სხვა ეროვნების სკოლებში. დაუყოვნებლივ იყვეს ბავშვები გადაგზავნილი იმ ეროვნების სკოლებში, რომელსაც ეკუთვნიან. (1. გვ.38) ამასთან, განათლების კომისარიატის ცირკულარი აჭარის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლის გამგეს ავალებდა, რომ 1923 წლის 1 იანვრიდან მთელი საქმის წარმოება ქართულ ენაზე ეწარმოებინათ. ამავე პერიოდში იდგა საკითხი კერძო სკოლებისა და შრომით სკოლასთან მოწაფეთა კოოპერატივის გახსნის შესახებ. მოქალაქე არნოლდი განსახკომის წინაშე შემოდის წინადადებით საჩვენებელი სანიმუშო სკოლის დაარსების შესახებ. მას უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ საჩვენებელი სკოლის კერძო ინიციატივით დაარსება დაუშვებელი იყო. ამასთან განსახკომი ასეთი სკოლის დაარსებას ფიქრობდა პედაგოგიურ ინსტიტუტთან.

1924 წლის მაისიდან განათლების კომისარიატთან დაარსდა ბეჭდვისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველო, 7 ივლისს კი გაიხსნა პედაგოგიური კურსები, სადაც იკითხებოდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგია,

ქართული ენა-ლიტერატურა, თურქული ენა, არითმეტიკა, მეთოდიკა, გეოგრაფია, პოლიტეკონომიკა და სხვა. 1923-1924 წელს პედაგოგიურ კურსებზე ჩაირიცხა 422 მსმენელი, აქედან ქართულ სექციაზე 210. (ი. გვ. 50) ამავე წელს ყოფილ ქალთა გიმნაზიაში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი.

აჭარის სახალხო ორგანოების მიერ წარმოებული საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად 1923-1924 წელს რესპუბლიკაში სკოლების რიცხვი გაიზარდა 43-მდე, ხოლო მოწაფეთა რაოდენობა 2500-მდე. ქალაქის ორივე საფეხურის სკოლაში 5500-მდე მოწაფე იყო, რომელსაც ემსახურებოდა 129 მასწავლებელი. აჭარაში სულ 391 მასწავლებელი მოღვაწეობდა (ი.გვ.57).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ა/რ სახელმწიფო არქივი. ფონდი რ-5, ანაწ. 1, საქმე 3,11,31.
2. აჭარის საბჭოს ყრილობები. დოკუმენტებისა და მასალების კრებული /1921-1937წ/ ბათუმი 1971 წ.

M. Мегрелишвили

из истории Народного образования Аджарии

(резюме)

в статье освещается работа, проведенная органами просвещения Аджарии в 1921-1924 г г.

საისტორიო მაცნე
შრომების კრებული XIII
ბათუმი 2008

ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (XIX საუკუნის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი)

ჩვენი სტატის მიზანია წარმოვაჩინოთ ქალაქ ბათუმის ისტორიული იერსახე, თვალი გადავაყოლოთ ამ პერიოდში არსებულ კულტურულ ცხოვრებას, დავსვათ კითხვები თუ რატომ იცვლიდა დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ქალაქი თავის პირვანდელ სახეს და მისი წარსული ყოფა-ცხოვრებიდან რა დაგვრჩა დღეს. კულტურულ ნაგებობათა მშენებლობა ძირითადათ წარმოებდა ქველმოქმედი ადამიანების მიერ შემოწირული თანხების და საკუთარი მიწების საფუძველზე, ასეთები იყვნენ: ზია ბეგ აბაშიძე, სტეფანე ზუბალაშვილი, ნ.საბაევი, იეანე სანტრუსოვი და სხვები. ამ უკანასკნელმა 1908 წლის 13 მარტს ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე განაცხადა „все устроенное мною имущество оставляю в собственности города батуми" (აცსა, ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 615, გვ.9).

1907 წელს მოქალაქეებმა ვეიდემმანმა და სგურიცისმა საკუთარი პროექტის საფუძველზე ქალაქის ზღვისპირა პარკში ააგეს კინოთეატრი „ილუზიონი". თავდაპირველად კინოთეატრი განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის, ხოლო 1908 წელს იგი გაფორმდა და მისაწვდომი გახდა მთლიანად ქალაქის მოსახლეობისთვის(აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 476, გვ. 25).

1909 ბათუმში ნურის ტბაზე დაიგეგმა წყლის კარუსელის მოწყობა (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 615, გვ. 49).

ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე იხილებოდა ქალაქის ყოველი ქუჩის, ეზოსა თუ გზის დაგეგ-

მარების საკითხი. 1898 წლის 20 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლუკა ასათიანი, ნიკოლაძე, სეფერინი, საბაშვილი, ვოლსკი და სხვები, განიხილეს ქალაქის დაგეგმარების საკითხი. ასევე მოეწყო ყოველი ქუჩის, ეზოსა თუ გზის მონაკვეთის ფოტოგრაფიული აღწერა, ქალაქის გეგმაში შეტანილი იყო ყოველი ქუჩის სიგრძე-სიგანე, გზაჯვარედინები და მათზე ქუჩების მათემატიკური სიზუსტით პროპორციული განლაგების საკითხი. ზღვიდან მონაბერი საჰაერო სივრცის შენარჩუნების მიზნით, იკრძალებოდა ზღვასთან ახლოს საცხოვრისის მშენებლობა. არქიტექტორები ზღვის ფონზე უპირატესობას ანიჭებდნენ ორი და სამი სართულიანი საცხოვრისების მშენებლობას (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 294, გვ. 54).

1902 წლის 16 სექტემბერს ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე, დაისვა საკითხი ყერანდით ზღვის მხარეს აეგოთ სამკითხველო დარბაზი და ღია ესტრადა სიმფონიური ორკესტრისთვის. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამკითხველო დარბაზები გააჩნდა ქალაქში არსებულ ყველა სასტუმროს (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 393, გვ. 6-7).

1897 წელს, ქალაქის თვითმმართველობის მიერ ვაჟთა გიმნაზიის მშენებლობისთვის ზღვის გარემო იქნა შერჩეული.

1898 წლის 16 მარტს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ს. სტოიანოვი თვითმმართველობას გიმნაზიასთან ფუნდამენტური ბიბლიოთეკის შექმნის ნებართვას სთხოვდა (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 292, გვ. 8).

1900 წლის 28 თებერვალს ნურიეს ტბის მიდამოებში დაგეგმილი იყო უფასო სახალხო ბიბ-

ლიოთეკის მშენებლობის საკითხი (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 339, გვ. 8).

ბათუმში ჭაობის ამოშრობას ემსახურებოდა სპეციალურად გახსნილი სამმართველო (სმეკალოვის და სობოროს ქუჩების კვეთა). სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ პეტერბურგიდან მოწვეული სპეციალისტები, გენერალ-ლეიტენანტი ი.პ. ჟილინსკი, ინჟინერი მ.ფ. რიტელი, სამუშაოთა მწარმოებელი, ტოპოგრაფი პ.იონკინი.

ქალაქის მოსახლეობას ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო ცივი სასმელებით ემსახურებოდა სხვადასხვა ფირმა. ერთ-ერთი ასეთი იყო ფირმა „ალა'ხანი", რომელიც ეკუთვნოდა მოქალაქე კ.ს, ანდრონიკაშვილს. იგი განთავსებული იყო მიხაილოვის ქუჩაზე (დღეს ზ. გამსახურდიას ქუჩა). საინტერესოა აღნიშნული ფირმის შემუშავებული წესდება. რომელიც თითოეულ მოქალაქეს უფლებას აძლევდა, ვინც კი ეჭვს შეიტანდა მათი ფირმის მიერ წარმოებული ღვინის ნატურალურ თვისებებში, მოეწყოთ ადგილობრივ ლაბორატორიებში მათი ქიმიური შემოწმება და თუ წარმოებული ანალიზის საფუძველზე ღვინო აღმოჩნდებოდა ფალსიფიცირებული, მაშინ ფირმა უკლებრივ აანაზღაურებდა ყველა დანახარჯს ექსპერ- ტიზასთან დაკავშირებით და ასევე მოქალაქეს გადასცემდა 500 მანეთს. ფირმა „ალაზანის" მთავარი რეზიდენცია მდებარეობდა თბილისში, სოლოლაკის უბანში №12, ხოლო განყოფილება – ბათუმში, ოლღას ქუჩაზე №28, აღნიშნულ ფირმას გააჩნდა საწყობები ბაქოში, ვლადიკავკაზში, ეკატერინოდარში, როსტოვში, ასტრახანში, პეტერბურგში, ასევე წარმომადგენლები სევასტოპოლში და იალტაში. (державин, 1902:93-94).

ბათუმში ანალოგიური ფირმა გააჩნდა მოქალაქე

ვ.ნ კლუევს. ფირმას საკუთარი ბაღები ჰქონდა გაშენებული ანაპასთან ახლოს (ყუბანის ოლქი). ძირითადად, ღვინო ფრანგული ვენახის იყო, მრავალი წლის განმავლობაში ღვინის სარდაფში ინახებოდა და ერთ წელზე ადრე გაყიდვაში არ გაიცემოდა. მათ მიერ ჩამოსხმულ ღვინოს, ჯილდოები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ გამოფენებზე. ბათუმში აღნიშნული ფირმა არსებობდა მიხაილოვის და სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩების გადაკვეთაში (დღეს ზ. გამსახურდიასა და ახ. მელაშვილის ქუჩები).

ბათუმში, კახური წარმოების ღვინით ვაჭრობდა მოქალაქე კ.კ მაკაევი. ფირმას გააჩნდა საკუთარი ბაღები. მისი რეზიდენცია განთავსებული იყო, დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე (დღევანდელი კ. გამსახურდიას ქუჩა). ასევე ღვინის სარდაფები გააჩნდა მოქალაქე ი.ტ სალაძეს და ბრ. ფორერს. ისინი სვირის ღვინოთი ვაჭრობდნენ და არაერთი ოქროს მედალი ჰქონდათ მიღებული გამოფენებზე. ქალაქის მოსახლეობას ლუდით ემსახურებოდა კომპანია „ენცი" სადაც ძირითადად ოდესის ლუდის ქარხანაში წარმოებული პროდუქციით ვაჭრობდნენ. კომპანიის რეზიდენცია იყო თბილისის ქუჩაზე და ბათუმში მისი მთავარი წარმომადგენელი იყო გრიგოლ დანელია.

აღნიშნულ პერიოდში ბათუმში არსებობდა საველოსიპედო ტრეკი და ბათუმის ველოსიპედისტების საზოგადოება. სხვადასხვა წარმოების ველოსიპედების საწყობები გააჩნდა მოქალაქეებს: მ. იუსეფოვიჩს, ენფილდს, გუმბერს, ლეიტნერს, ფანდეყს. ეს უკანასკნელი ვაჭრობდა პირველი კლასის ველოსიპედით "უხ" (მარინის პროსპექტი).

მოქალაქე დ.ს პეტრუსოვი ვაჭრობდა ველოსი-

პედებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, საკერავი მანქანებით და იარაღებითაც კი. მისი სავაჭრო სახლი განთავსებული იყო ბათუმში, თბილისის ქუჩაზე რკინის თეატრის წინ (დღეს ბარათაშვილის ქუჩა). ბათუმში ქუთაისის ქუჩაზე საკუთარი საფირმო მაღაზიები გააჩნდა ს.ს ანასტასიადის, გ.მ ოგოროდნიკოვს, ა.რ. ოთხმეზურს, ა.ი პარასკევოპოლოს, ბრ.პ. სიმეონიდს. ისინი ძირითადად ვაჭრობდნენ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმით.

ბათუმში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისთვის ქალაქის ცენტრში არსებობდა ულამაზესი სასტუმროები. ერთ-ერთი ასეთი იყო „ბელ-ვუ" სანაპიროს ქუჩაზე, ასევე სასტუმროები: „გერმანია" (კათოლიკის ქუჩა). „იმპერიალ" – hotel de l-e ordre installe au centre de la ville cuisine fransaise et, indigene, Bains, tellephon #7 Bibliotheque, interprete, chambre de 1 a 8 rubles (დონდუკოვ-კორსაკოვის და სკობელევის კვეთა).

ბათუმში ამ პერიოდში არსებობდა ულამაზესი სასტუმრო „პეტერბურგი", რუსულ-ფრანგული სამზარეულოთი, სასტუმროს ნომერი ღირდა 1-დან 5 მანეთამდე (დონდუკოვ-კორსაკოვის და სკობელევის კვეთა, დღევანდელი კ.გამსახურდიას ქუჩაზე)

ასევე აღსანიშნავია სასტუმროები: „კომერციული" აკოფოვის (დღეს დემეტრე თავდადებულის, ყოფილი კომაროვის ქუჩა), „ლონდონი" - პირველი კლასის რესტორნით (მიხაილოვის და ოკლობჟიოს ქუჩების კვეთა), „ნეაპოლი" (სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩა) პირველი კლასის სასტუმრო „ორიენტალი", სპეციალურად აგებული შენობა პორტთან და სავაჭრო სახლებთან ახლოს, სანაპიროს ქუჩაზე, ზღვის აბაზანებით, სასტუმროს მფლობელი იყო ე.ს. ბერძენიშვილი.

ევროპული სამზარეულო გააჩნდა სასტუმრო „ფრანციას", მფლობელი რ.კახიანი (მიხაილოვის ქუჩა) და ბოლოს სასტუმრო „იალტა" სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩაზე. დღევანდელ თავისუფლების მოედანთან, თავადი გურიელის სახლში

გახსნილი იყო მ.ი ნიკოლაძის წიგნის მაღაზია ბიბლიოთეკით. აქ იყიდებოდა წიგნები, გაზეთები, ჟურნალები რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. წიგნის მაღაზია ქალაქის მოსახლეობას ამარაგებდა სასკოლო სახელმძღვანელოებით. ასევე წიგნის მაღაზიები გააჩნდათ მოქალაქეებს გ. თავართქილაძეს (ლორის მელიქოვის ქუჩა), ს.მ. ჭელიძეს (შერემეტიევის ქუჩა). მიხაილოვის ქუჩაზე არსებობდა წიგნის მაღაზია „იუნიონ".

ზემოდ წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები XIX-XX სს. მიუხნაზე ნათლად წარმოაჩენს ბათუმს, როგორც ევროპული სახის ქალაქს, რომლის ისტორიული ნაწილი მოითხოვს დაცვა-შენახვას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აცსა: ფონდი ი-6, ანაწ. 1, საქმე 615, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 476, ს.292, ს.294, ს.393.

2. державин н. история батумского края. батуми. 1902.

merab megrelishvili (batumi, Georgia)

Cultural life in Batumi in the late 19th end early 20th Centuries

tsummary

The article deals with the historical documents preserved at the adjaria Contral State Archive which show convincingly (in the authos's opinion) that Batumi wes a European city by the beginning of the 20th century.

ბათუმის კულტურის ისტორიიდან
(XX ს. 60-იანი წლები)

XX ს. 60-იან წლებში გაძლიერდა ბრძოლა ფორმით ეროვნული, შინაარსით კი სოციალისტური კულტურის დამკვიდრებისათვის. ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ქადაგების ლოზუნგით იკრძალებოდა ეროვნული, ნაციონალური კულტურის პროპაგანდა. სოციალისტური კულტურის აპოლოგეტები მათივე აზრის საწინააღმდეგოდ აცხადებდნენ, რომ არაფერი არ არის ინაციონალურში ისეთი, რაც არ გულისხმობდა ნაციონალურს. აბსურდული იყო მათი მტკიცება სოციალისტური ერების და მათი კულტურების ურთიერთდაახლოების, შერწყმისა და ერთიანი ენის „ესპერანტოს" წარმოშობის შესახებ. ამ უკანასკნელს ისინი ობიექტურ პროცესად ნათლავდნენ.

რუსი კულტუროლოგი, აკადემიკოსი დ. ლიხაჩოვი ბოლოდროინდელ საბჭოების ყრილობაზე აცხადებდა, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ მასში შემავალი რესპუბლიკების ეროვნულ კულტურებს საფრთხე ემუქრებოდა. ცნება „ნაციონალიზმი" საშიშ, საბჭოთა ადამიანისათვის წარმოუოქმელ, შეურაცხმყოფელ სიტყვად იქცა.

60-იან წლებში მოეწყო შ. ნუცუბიძის ნაშრომის „შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი" გასამართლება. შ ნუცუბიძეს არ აპატიეს სოციალისტური კულტურის „აყვავების" პერიოდში ეროვნული კულტურის პროპაგანდა. მთავარი მსაჯული იყო თვით წიგნის რედაქტორი. აკად. კ. კეკელიძე რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსნის" 800 წლის იუბილეზე შ. ნუცუბიძე არც კი მიიწვიეს, საბედნიეროდ შრომა და ღვაწლი არ იკარგება და ბოლოს

მაინც ფასდება. საიუბილეო დღეს რუსათაეელის თეატრში გამოსული ქეელა რუსთეელოლოგი ერთხმად აღიარებდა შ. ნუცუბიძის დიდ დამსახურებას.

ანტიეროვნული, სოციალისტური პროპაგანდა განსაკუთრებული ძალით წარმოებდა ნაციონალური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

60-იან წლებში აჭარაში რეეოლუციის სახელმწიფო მუზეუმის გაუქმებას და მის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან გაერთიანებას წინ აღუდგა საზოგადოების ერთი ნაწილი იმ მოტივით, რომ ერთ ეთნოგრაფიულ მხარეში არ იყო საჭირო რამოდენიმე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არსებობა. კულტურა და ხელოვნება საბჭოური პოლიტიკის საგანი იყო. კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობას. კულტურისა და ხელოვნების მუშაკს ყველგან და ყოველთვის უნდა ესრუნა კლასობრივი სახის შენარჩუნებისთვის, ხოლო ხელმძღვანელობას კი „კლასობრივი სიფხიზლე" გამოეჩინა. მ.კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მუშაობის შესახებ 1965 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: ანსამბლში დაბალ დონეზე დგას პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა, რაც ხელს უშლის ანსამბლის ნორმალურ მუშაობას. ანსამბლის მომღერალმა ე. აბულაძემ მიატოვა ცოლ-შვილი და პირველ ცოლთან განქორწინების გარეშე შეირთო მეორე ცოლი (ვითომც მეორე ცოლის მოყვანა ამ კაცს სიმღერაში ხელს შეუშლიდა). სცენაზე თმების არასწორად გაკეთებისთვის ამხანაგებს ვერულა შვილს, ჯღარკაეას, კვესელავას, ტრაპაიძეს მოეხსნა პირველი კატეგორია (1; 492;6, 35)

თეატრის რეპერტუარს კულტურის სამინისტრო ამტკიცებდა. მსახიობებს კვარტლის მიხედვით დატვირთვის გეგმა გააჩნდათ. ყოველ სპექტაკლში მთავარი იყო „კაპიტალისტური სამყაროს" კრიტიკა. ასე მაგ: 1965 წლის 6 თებერვალს აჭარის კულტურის სამინისტრო უშვებს ბრძანებას (№18) ბათუმის სახელმწიფო თეატრში გილერმე ფიგეირედოს პიესის „მელია და ყურძენის" დადგმის შესახებ, რომელშიაც ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ავტორის მიერ გადატანილია ანტიკურ სამყაროში, პიესაში მოცემულია თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ტრაგედია. რეჟისორმა შ. ინასარიძემ სპექტაკლი დადგა არა მელია და ყურძენზე, არამედ ეზოპეზე, დადგა როგორც ჰეროიკული კომედია, სადაც ლირიკა კი არ არის მთავარი, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი (1, 45) უარყოფითად იქნა შეფასებული ქსანთეს როლის გროტესკულად შემსრულებელი მსახიობი ინწკირველი, რომელიც დაისაჯა. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 3 მარტის დადგენილებით (№217) ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარის თანამედროვე პიესებით გამდიდრების მიზნით 1963-1964 წლის რეპერტუარში გეგმით გათვალისწინებული ა.მაკარენკოს „პედაგოგიური პოემის", ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" და მოლიერის „ძალად ექიმის" ნაცვლად დაამტკიცეს რ.ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი" ა. აბშილავას „განთიადის დედოფალი" და ვ. კანდელაკის „დონ კიხოტი საქართველოში." თეატრის მთავარი რეჟისორი იყო გაიოზ ჟორდანია. საქართველოს კულტურის სამინისტროს 1963 წლის 24 დეკემბრის დადგენილებაში „სახალხო თეატრებში

თანამედროვეობის ამსახველ საუკეთესო სპექტაკლებზე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ" აღნიშნულია, რომ „პიესის თემა უნდა ესებოდეს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლასა და მათ შრომით საქმიანობას, საბჭოთა მორალის საკითხებს" (1,477,90) კონკურსის ჩატარებას ხელმძღვანელობდნენ და დამთვალიერებელ კომისიებში შედიოდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებობდა რუსული და სომხური დრამის სახალხო თეატრები. მასში გაერთიანებული იყვნენ ბათუმის წარმოება-დაწესებულებათა მუშები. რუსული თეატრის სამხატრო ხელმძღვანელი იყო გენრიეტა ალექსის ასული ფუქსმანი, ხოლო სომხურისა კი ამბარცუმ სარქისის ძე ავეტისიანი. სომხური თეატრი თავის არსებობის 75 წელს ითვლიდა. სახალხო თეატრის რეპერტუარში ნაკლებად იყო წარმოჩენილი ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებები.

1964 წლის 1 ივნისიდან 10 ნოემბრამდე აჭარაში ჩატარდა ქართული თეატრის ფესტივალი. თეატრის ხებული დღესასწაულის სარეკომენდაციო სანიმუშო თემებში დასახელებულია შემდეგი ნამუშევრები: „არის ასეთი პარტია", „იმ დღეთა დიდება არ შეწყდება", „კარგია ცხოვრება საბჭოთა ქვეყანაში", „ერთიან და დიდ ოჯახში", „ქველაფერი რჩება ადამიანებს", „მე შენ მიყვარხარ საცოლეე", „ჩემი სამშობლოა — რუსეთი", „კომუნიზმის ნაბიჯები", „საბჭოთა შრომითი პასპორტი" (1,475, 181) და ა.შ

უცხოელი სტუმრების და ტურისტებისთვის წინასწარ არჩევდნენ სპექტაკლებს და კონცერტებს.

რეპერტუარს ამტკიცებდა კულტურის სამინისტრო.

სსრკ კულტურის სამინისტროს 1965 წლის 23 მარტს №98 ბრძანებით სსრკ-ში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისა და სტუმრების კულტურული მომსახურების შემდეგი წესები არსებობდა: თეატრისა თუ სხვა კულტურული დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებულნი იყვნენ გამოეცათ „სემოდან" დამტკიცებული პროგრამები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. მთარგმნელ-გიდებისთვის ტარდებოდა სემინარები (1,490,45)

ბათუმში მუშაობდა ბავშვთა საბალეტო სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეკატერინე ნიკოლოზის ასული ფროლოვა.

1964 წლის 26 ივნისს აჭარის კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომის დადგენილებაში აღნიშნულია ბერმანის ტრიო და მისივე თოჯინების კოლექტივი.

ბათუმის კულტურის სახალხო უნივერსიტეტში ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის, თეატრის ისტორიის საკითხებზე ლექციებს კითხულობდნენ: ლ.აბაშიძე, შ.ინასარიძე, ა.ფარცხალაძე, ე.გოგაძე.

1964 წლიდან ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან შეიქმნა ფოლკლორის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ლ.ბეჟანიძე, რ.ართილაყვა, ა.ნადირაძე, ქ.ანანიძე, ც.ჩიჩუა.

ქალბატონი ციალა ჩიჩუა და მისი ვაჟი კახა ფირცხალაიშვილი ენერგიულად იღვწიან აჭარაში უძველესი მუსიკალური კულტურის აღორძინებისთვის. 60-იან წლებში ბევრი რამ კეთდებოდა როგორც სასოფლო, ისე საქალაქო ბიბლიოთეკის ქსელის გაფართოებისთვის. წლების მიხედვით მათი ხრდის დი-

ნამიკა შემდეგ სურათს იძლევა: 1960 წელს 165; 1963 წელს – 173; 1966 წელს – 180; 1967 წელს – 184; 1968 წელს – 188; 1969 წელს – 190; 1970 წელს -194 (1,490,750). მარტო ბათუმს, საუწყებო სისტემის ბიბლიოთეკებთან ერთად ემსახურებოდა 50-ზე მეტი ბიბლიოთეკა. დღეს კი მკითხველის სიმცირის გამო დგას საკითხი მათი შემცირების შესახებ. ასეთივე ბედი ეწია კინოთეატრებსაც.

60-იან წლებში მოსკოვში, ლუნიკებში მოეწყო ავანგარდისტთა გამოფენა, რომელსაც დაესწრო საბჭოთა მთავრობა ნ.ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით. „უიდეობის" გამო მათ დაგმეს ეს მიმდინარეობა და საგამოფენო დარბაზი ტრაქტორებით მიწასთან გაასწორეს. ამის შემდეგ „სოციალისტური რეალიზმი" საბოლოოდ დამკვიდრდა საბჭოთა ფერწერის ისტორიაში, ხოლო ყველა დანარჩენი კი აიკრძალა. პაშა ანგელინის, ტრაქტორისტი ქალის დაკუნთული ხელები, გმირული სახე გადაიქცა საბჭოთა მხატვრების იდეალად.

60-იან წლების დასაწყისში ბათუმში მოეწყო აჭარის მხატვართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო შემდეგი ნამუშევრები: შ.ხოლუაშვილის „რევოლუციური აჯანყება აჭარაში", დ.ინაიშვილის „ჩაი", ტ-ჭანტურიას „მეჩაიე ქალის პორტრეტი", შ.ზამთარაძის „ტელევიზორი ფერმაში", „ინდუსტრიალური პეიზაჟები", შ.კვერნაძის „მანდარინის კრეფა", „მექანიზატორის პორტრეტი", თ.ჯალაღონიას „ვ.ლენინი და ს.ორჯონიკიძე რაზლივში", გ.მესხის „წინ კომუნიზმისკენ" და ა.შ

მარქსიზმ-ლენინიზმმა თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მტრად რელიგია გამოაცხადა „მარქსიზმი ყოველისშემძლეა, რელიგია კი ხალხის ოპიუმიაო"

ბრმად იმეორებდნენ სოციალისტური კულტურის მიმდევრები. ერთმანეთს დაუპირისპირდა რელიგია და მეცნიერება, კულტურა და რელიგია.

ინგრეოდა და იხურებოდა ეკლესიები, ნიაყდებოდა საეკლესიო ქონება. ჩიტების ბუდედ გადააქციეს ბათუმის კათოლიკური ეკლესია და მასში განათავსეს მცირე ჰესი. ეს ამბები კარგადაა გადმოცემული კინორეჟისორ თ.აბულაძის „მონანიებაში". ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ქონება გაინაწილეს ხელოვნების სამმართველომ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

განსაკუთრებულ დონეზე იყო ანტირელიგიური ლექციური პროპაგანდა. ატარებდნენ კონფერენციებს თემებზე: „მეცნიერება და რელიგია", „ქრისტიანობის წარმოშობა და მისი რეაქციული არსი", „კომუნიზმის მშენებლობა და რელიგიურ ცრურწმენათა დაძლევა". კლუბებში, ბიბლიოთეკებში ეწყობოდა პერიოდული გამოფენები ათეისტურ თემებზე.

საქართველოს კულტურის სამინისტროს სარეკლამო ბიუროს ევალებოდა გამოეშვა პლაკატები ათეისტურ თემებზე.

კულტურულ ავტონომიას ხშირად აიგივებდნენ პოლიტიკურ ავტონომიასთან, 1960 წლამდე აჭარის ფილარმონია დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყო. 1960 წელს კი საქართველოს ფილარმონიის აჭარის განყოფილებად გადაქცეთდა.

1963 წლის 13 მარტს აჭარის მინისტრთა საბჭოს №199 დადგენილებით, საქართველოს ფილარმონიის აჭარის განყოფილება ისევე დამოუკიდებელ ორგანიზაციად გარდაიქმნა. საქართველოს ფილარმონიიდან აჭარის ფილარმონიის გამოყოფა საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია და

ამის მთავარ მიზეზად დაასახელა შემდეგი: „აჭარის ფილარმონიის ცალკე გამოყოფა საბჭოთა კავშირში მიღებული სტრუქტურული დაყოფის საწინააღმდეგოა. დეცენტრალიზაცია მარტო სტრუქტურულ სხვაობას კი არ იწვევს, არამედ ფინანსურ სიძნელეებსაც წარმოქმნის. საქართველოს ფილარმონიის აჭარის განყოფილების მოგებით იფარება თბილისის ზოგი მუსიკალური კოლექტივების ხარალი და ამის გამო გამოყოფა არ შეიძლებაო (1,495)

და ბოლოს, როგორც პროფესორი რევაზ სირაძე აღნიშნავს: დღეს აღარ აქვს მნიშვნელობა იმ დროს გაბატონებულ იდეოლოგიურ-მეთოდოლოგიურ თვალსაზრისთა კრიტიკას, თუმცა ბევრი მათგანი დღესაც „დაძლეულია" მხოლოდ დეკლარირებით და არა არსებითად. უფრო მნიშვნელოვანია იმგვარი კრიტიკა, რამაც შეიძლება კონკრეტული პოზიტიური შედეგები მოგვიტანოს. (2,70)

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური არქივი, ფონდი 972, ან. 1, საქმე 475,477,492,495.

2. რ.სირაძე ქართული კულტურის საფუძვლები, თბ, 2000.

М. Мегрелишвили

из истории культуры Аджарии 60-ых годов XX веке

резюме

в работы дается достаточно широкая картина развития культуры Аджарии в 60-ые годы XX века, анализируются процессы, имеющие место в данной сфере, рассмотрено развитие театра, расширение сети библиотек, культурно-просветительной учреждений. в работе указано, что развитию культуры в Аджарии удалялось большое внимание со стороны государства, что хорошо видно хотя бы по имеющимся расходам этой отросли. вместе с тем, указаны и недостатки, тормозящие процесс в данной сфере.

საისტორიო მაცნე №10
ბათუმი 2001

სარჩევი

1. ბათუმის ისტორიის მკვლევარები 3
2. პროფესორი იური სიხარულიძე 4
3. დოცენტი ვლადიმერ სიჭინავა 7
4. პროფესორი აბელ სურგულაძე 10
კულტურულ - გეოგრაფიული გარემო 15
5. ბათუმში მიწათსაკუთრებისა და სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების შესახებ 18
6. 1874-1911 წლებში ბათუმის და ართვინის ოლქების სახელმწიფო მმართველობითი მოწყობის და ბათუმის სავაჭრო მიწების შესახებ 22
7. ტ. ფარბერი ბათუმის ოლქის შესახებ 28
8. საზოგადოებრივ – პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში XX საუკუნის დასაწყისში 34
9. საკონსულოები ბათუმში 1901-1903 წლებში 40
საზღვაო-საბანკო დაწესებულებები 45
10. XIX –XX დასაწყისში ბათუმის საბირჟო საზოგადოების საქმიანობის შესახებ 49
11. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ისტორიიდან 55
12. Банкирские дома и представительства банков в городе Батуми конца XIXначало XX веков 64
13. ბათუმის ისტორიიდან 69
რელიგიური დაწესებულებები ბათუმში 74
14. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია 78
15. ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიიდან 85
16. რუსეთის სინოდის დამოკიდებულება გურია-სამეგრელოს ეპარქიის მიმართ და ბათუმის რელიგიური დაწესებულებები XIX-XX სს. მიჯნაზე 89

17. ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიის მიმართ ბათუმში XX საუკუნის 20-იან წლებში 94
კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ბათუმის კულტურის ისტორიიდან XX ს დასაწყისი 99
18. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან 103
19. ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში 107
20. ბათუმის სახალხო განათლების ისტორიიდან 113
21. ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან XIX ს. დას. XX დასაწყისი 120
22. ბათუმის კულტურის ისტორიიდან XX ს. 60-იანი წლები 126

გამომცემლობის დირექტორი – მურმან ცეცხლაძე
გამომცემლობის რედაქტორი – შუშუნა შაინიძე